რატომ მცირდება საქართველოში ექსპორტი A4

პოლიცია სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელყოფს A7

"რუსულ ვარიანტში" მოქმედ პირთა ნაწილი უკვე სცენაზეა, "ქართული ვარიანტის" გმირები ჯერ მხოლოდ ემზადებიან A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 11 ივლისი, 2002 წელი. №39

ფასი 50 თეთრი

## შევარდნაძემ ჯორბენაძის ინიციატივა არ წაახალისა

თამარ ხორბალაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ძალოვანი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ვეღარ გაბედა. ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგების განხილვას არც ერთი მინისტრის გადაყენება არ მოჰყოლია.

მართალია, ავთანდილ ჯორბენაძემ სცადა, "საკუთარი თავის ჩათვლით", ყველა მინისტრის, განსაკუთრებით კი ფინანსთა მინისტრის, პასუხისმგებლობისთვის გაესვა ხაზი, მაგრამ ეს მცდელობა საქართველოს პრეზიდენტმა დასაწყისშივე ჩაახშო.

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ მირიან გოგიაშვილი აქტიურად დაიცვა და განაცხადა, რომ არ შეიძლება ერთი თვის დანიშნულ ფინანსთა მინისტრს პასუხისმგებლობა აკიდო.

თავად სახელმწიფო მინისტრი გაღიზიანებული ჩანდა. **"თუ მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული ბიუჯეტის ბედი, კი ბატონო..."** - განაცხადა მან.

პრეზიდენტმა კი მის მიერ დაწყებული ფრაზა თავის კომენტარში ასე გახსნა **"თუ ჩემზეა დამოკიდებული, წავალ, ამის თქმა დღეს ყველაზე ადვილია."**

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ავთანდილ ჯორბენაძე აქტიური მოღვაწეობისთვის რამდენჯერმე შეაქო, მისი სამშაბათის ინიციატივა ქვეყნის პირველი პირის მიერ გაზიარებული არ აღმოჩნდა.

სახელმწიფო მინისტრს ძალოვან მინისტრებზე სასაუბროდ მწვანე შუქი არ ჰქონდა მიცემული.

შევარდნაძემ კომენტარის გარეშე დატოვა ჯორბენაძის გუშინდელი მინიშნება უშიშროების მინისტრის თაობაზე: **"როცა ვიღაცეებს შენიშვნა მივეცი, ჩემს კომპეტენციაზე დაიწყეს საუბარი. თუნდაც, როგორც მოქალაქეს, არ მაქვს უფლება აზრი გამოვთქვა?"** - იკითხა მან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დარბევა



ლევან რამიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო ბუკია

*დიდი ალბათობაა, გამართლდეს მათი ვარაუდი, ვინც საშემოდგომოდ არეულობას წინასწარმეტყველებდა. რევოლუციურ შემოდგომაზე პოლიტიკოსები ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში ალაპარაკდნენ. თუმცა, შესაძლოა, შემოდგომამდე ლოდინი არც მოგვიხდეს, რევოლუციისთვის მიზეზი ყოველთვის მოიძებნება...*

**"თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში კოლექტიური შევარდნაძე შემოიჭრა, ჩვენი თანამშრომლები სცემა და თითქმის მთელი ოფისი გაანადგურა,"** - კომენტარს აკეთებს "თავისუფლების ინსტიტუტის" "გადარჩენილი" წარმომადგენელი გიგა ბოკერია.

გუშინ, დაახლოებით, სამის ნახევრისთვის "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში თხუთმეტიოდე კუნთმაგარი, 25-30 წლამდე უცნობი შეიჭრა. მათ "თავისუფლების ინსტიტუტის" თანამშრომლები სცემეს, დაამტვრიეს ორი კომპიუტერი, დალეწეს ავეჯი, გაანადგურეს დოკუმენტაცია და წავიდნენ... გზად, რატომღაც, კეშელავას თვალის კლინიკაში შეიარეს ("თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისის გვერდითაა), იქაურობაც ანალოგიური მეთოდით "დაალაგეს", გავიდნენ ეზოში, გაუყვნენ გრიბოედოვის ქუჩას, ჩაუარეს იუსტიციის სამინისტროს და რუსთაველის გამზირისკენ გაუხვიეს. უცნობებმა შენობაში, დაახლოებით, შვიდი წუთი დაჰყვეს. თავდამსხმელები შეიარაღებულნი არ იყვნენ, მარტო "კასტეტები" ჰქონდათ.

**"დავინახე, შენობაში როგორ შემოვიდნენ... ყველაფერი ისე მომენტალურად მოხდა, რეაგირება ვერც მოვახდინეთ. აივანზე გავვარდი, ქუჩაში ერთი პოლიციელი იდგა, ვიღაცას ელაპარაკებოდა, დავიყვირე, გვიშველეთ-მეთქი, მაგრამ, არ ვიცი, ვერ გაიგო თუ არ გაიგო, საერთოდ არ ამოუხედავს. პოლიციას მერე მეზობლებმა გამოუძახეს. არ ვიცი, ზუსტად რამდენი იყვნენ, რამდენიმე მათგანი ომონის ფორმაში იყო, უნიღბოდ იყვნენ, არაფერი უთქვამთ, მხოლოდ იგინებოდნენ... ნახეთ, იმ ოთახში რამხელა სისხლის გუბეა..."** - გვიყვება თსუ-ს სტუდენტი თეა თუთბერიძე, რომელიც ამ ინციდენტის დროს "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში იმყოფებოდა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევას ევროსაბჭოს უცხოელი ექსპერტებიც დაესწრნენ. სტაჟიორი სტუდენტები და უცხოელები, ოფისში უცნობების შემოჭრის მომენტში, განაპირა ოთახში ისხდნენ, თავდაცვის მიზნით ოთახის კარს კარადები მიადგეს და თავი ასე გადაირჩინეს. "თავისუფლების ინსტიტუტის" თანამშრომელთა თქმით, უცხოელებმა გაოგნებულებმა დატოვეს ოფისი.

ყველაზე სასტიკად თავდამსხმელები ლევან რამიშვილს გაუსწორდნენ. **"ავადმყოფს მიღებული აქვს დაჟეჟილობა მთელ სხეულზე. აუცილებლად საჭიროებს ნევროპათოლოგის დახმარებას, შესაძლოა, მძიმე ფორმის ტვინის შერყევაც ჰქონდეს მიღებული,"** - აცხადებენ 03-ის ექიმები. უცნობებმა დავით ზურაბიშვილი, სოზარ სუბელიანი და გიგა ფრანგიშვილიც სცემეს, "თავისუფლების ინსტიტუტის" მდივანს, დალი ცქიტიშვილს კი სკამი ესროლეს.

დავით ზურაბიშვილი: **"შემოვიდა რამდენიმე "ახვარი". არაფერი არ უთქვამთ, პირდაპირ მიზანმიმართულად წამოვიდნენ ჩემკენ და ლევანისკენ. საკმაოდ ჯანიანები იყვნენ. ლევანი ძალიან მძიმედაა, თუმცა, მეც მაგრად მომხვდა. სხვები ისე, უბრალოდ, შემოელახათ. სახეში რომ ჩამარტყეს, ცხვირიდან სისხლი წამსკდა, იფიქრეს, ეს უკვე მზადააო და თავი დამანებეს. ეს ინციდენტი აუცილებლად ხელისუფლების თანხმობით მოხდა. თუ ვინმე ცდილობს, შეგვაშინოს, ცდება. ჩვენს საქმიანობას გავაგრძელებთ. ოღონდ, ამჯერად ჩვენი გამოსვლები უფრო მწვავე იქნება. ეს ფაქტი ყველასათვის საგანგაშო უნდა იყოს და არა მარტო "თავისუფლების ინსტიტუტისთვის".**

გაგრძელება A3 გვერდზე

ირაკლი ბათიაშვილი ამერიკული პროგრამის ჩავარდნის საფრთხეზე საუბრობს, მაგრამ... A2

მთავრობის პრეტენზიები პარლამენტის მიმართ A3

რუსული ნავთობი ამერიკის დასაპყრობად ემზადება A4

უკრაინას ნატო-ში გაწევრიანება სურს A5

ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორი სასამართლოში იმუქრება A6

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | ☼ |
| ქუთაისი | 34 | ☼ |
| ბათუმი | 33 | ☼ |
| სოხუმი | 33 | ☼ |
| ფოთი | 33 | ☼ |
| თელავი | 34 | ☼ |
| ზუგდიდი | 33 | ☼ |
| გორი | 30 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2150 |
| ევრო | 2.1904 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4153 |
| რუბლი | 0.0701 |

## მოგებულნი რჩებიან „ნაციონალები"

### საოლქო სასამართლო სახალხოელებისა და ედეპ-ელების სარჩელს არ აკმაყოფილებს

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ კანონმდებლობის უცნაური ინტერპრეტაციით, თბილისის ძველი მოწვევის საკრებულომ პოზიციები აღიდგინა და სხდომაც გამართა, მაგრამ, ჩანს ეს მართლაც ძველი საკრებულოს ბოლო შეკრება იყო, რადგან, როგორც იქნა, თბილისს ახალი მოწვევის საკრებულო ეღირსა. გუშინ საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეროვნულ-დემოკრატიული და სახალხო პარტიების გაერთიანებული სარჩელი და თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგები არ გააუქმა. ეს კი ნიშნავს, რომ ძალაში რჩება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული არჩევნების შედეგების ოქმი და თბილისის ახლადარჩეულ საკრებულოს უკვე შეუძლია, თავისი პირველი სხდომა გამართოს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როდის დანიშნავს ამ სხდომას ცენტრალური საარჩევნო კომისია.*

გუშინდელი დღე საოლქო სასამართლოში მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. დილით დაწყებული პროცესი სასამართლო კოლეგიის სულ სხვა შემადგენლობამ გამართა. დაძაბული დებატების შემდეგ, მოსამართლეებმა ჯერ "ნაციონალებისა" და შემდეგ "ლეიბორისტების" შუამდგომლობები დააკმაყოფილეს და საკუთარ თავს აცილება მისცეს.

გაგრძელება A2 გვერდზე



სასამართლოს გადაწყვეტილებამ "ნაციონალები" აღაფრთოვანა

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## მარეგულირებელი კომისიების კანონი ოქტომბრამდე არ ამოქმედდება

### ანუ რას დაადო პრეზიდენტმა ვეტო

გიორგი კალანდაძე

*გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ვეტო დაადო კანონპროექტს "დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", რომელსაც პარლამენტმა გასულ კვირას მხარი დაუჭირა. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, მარიამ ცაცანაშვილის განცხადებით, კანონპროექტში გათვალისწინებული არ იყო მარეგულირებლების საქმიანობის მიმართ პრეზიდენტის ზედამხედველობის საკითხი. ცაცანაშვილი აღნიშნავს, რომ კანონპროექტს შევარდნაძე ხელს მოაწერს მასში რამდენიმე შესწორების შეტანის შემდეგ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თქმით, ამის თაობაზე საპარლამენტო ძალებთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## ყველაზე პოპულარული კრიმინალი საიდუმლო გრიფით

ინგა ალავიძე

*შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ბოლო პერიოდში ყველაზე პოპულარული დანაშაულის – ადამიანის გატაცების შესახებ აქამდე გასაიდუმლოებული ინფორმაცია გახსნა.*

მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებს პიტერ შოუს გათავისუფლება დაუგვიანდათ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეახსენა დაკისრებული მოვალეობა და კიდევ ერთხელ დაანამუსა ისინი: სიცოცხლის ფასად რომ დაგიჯდეთ, პიტერ შოუ უნდა გაათავისუფლოთო. ედუარდ შევარდნაძის დამატებითმა ინფორმაციამ ქართველი კანონდამცავები დაამშვიდა კიდეც. როგორც აღმოჩნდა, ისეთი დანაშაული, როგორიცაა ადამიანის გატაცება, თურმე განვითარებული ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კრიმინალად ითვლება და მას ვერც ამერიკელი, გერმანელი და ინგლისელი პოლიციელები ვერ უმკლავდებიან.

ინფორმაცია, რომელიც სპეციალურად საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისთვის მომზადდა და რომელსაც გრიფი "საიდუმლო" ედო, უახლოეს დღეებში სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტთან გამართულ სამართალდამცველთა გაფართოებულ თათბირზეც გამოქვეყნდება.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატების" წევრი, საგადასახადო შემოსავლების ყოფილი მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ 2003 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტი უნდა იყოს შემოღებული, რომელზეც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა აიღებს პასუხისმგებლობას.

მიხეილ მაჭავარიანს პოლონეთის მოდელი მოსწონს - პრეზიდენტის ინსტიტუტის შენარჩუნებით, საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემაზე გადასვლა.

მაჭავარიანის აზრით, პრობლემა ამჟამად არა ინდივიდუმებში, არამედ გუნდური პასუხისმგებლობის არარსებობაშია.

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ის ფინანსთა მინისტრი პოლ ო ნილი 10-დან 18 ივლისამდე უკრაინას, ყირგიზეთს, უზბეკეთს და საქართველოს ეწვევა.

მინისტრი აპირებს, შეკრიბოს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამერიკა დაეხმაროს ქვეყნებს კერძო ინვესტიციების განვითარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში.

მოლაპარაკებები, აგრეთვე, შეეხება საერთაშორისო საფინანსო დახმარებების ეფექტიანობის, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგიონში ვაჭრობის განვითარების საკითხებს.

ვიზიტის მიზანი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ეკონომიკურ კონტექსტში ამ ქვეყნების ამერიკასთან ურთიერთობის განმტკიცებაა.

■ ■ ■

**ლონდონი.** ლონდონში ახლახან ხელი მოეწერა მემორანდუმს სამხრეთ კავკასიის საპარლამენტათაშორისო საბჭოს შექმნის შესახებ.

მემორანდუმში საუბარია სამი ქვეყნის პარლამენტის ურთიერთთანამშრომლობის მზადყოფნაზე, რეგიონში დემოკრატიის განმტკიცებასა და არსებული კონფლიქტების მოგვარების აუცილებლობაზე.

საბჭო 10 წევრისგან დაკომპლექტდება. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სამი ქვეყნის პარლამენტისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, თუმცა რიგი საკითხების განხილვისას მას მნიშვნელოვნად გაითვალისწინებენ.

■ ■ ■

**თბილისი.** ორი თვის წინ მთავრობის სხდომაზე უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ აფხაზეთი ნარკოტიკების წარმოებისა და გავრცელების მნიშვნელოვანი წყაროა, სადაც არსებული მონაცემებით ფუნქციონირებს ქიმიური ლაბორატორია ნარკოტიკების წარმოებისთვის. ამასთან ხაბურძანიამ აღნიშნა, რომ ნარკობიზნესში მონაწილეობენ არძინბას უახლოესი ნათესავები, მათ შორის - ლევან არძინბა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოპერატიული ინფორმაციის დამატებით შესწავლის შემდეგ დაადგინა, რომ ლევან არძინბას ამ კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია.

■ ■ ■

**თბილისი.** 25 აპრილის მიწისძვრის შემდეგ, დედაქალაქის 45 სასწავლო დაწესებულება უმძიმეს ავარიულ მდგომარეობაშია, დაფინანსების არარსებობის გამო კი, შესაბამისი სამუშაოების დაწყება ჭიანურდება.

დედაქალაქში 417 სასწავლო დაწესებულებაა შესაკეთებელი, თითოეული ობიექტისთვის საჭირო თანხა კი 30 ათასიდან 150 ათას ლარამდე მერყეობს.

"45 ობიექტის აღსადგენი პროექტი უკვე მზადაა. თუ დაფინანსება იქნება, პირველ სექტემბრამდე შენობები, შეიძლება, იდეალურად ვერ გარემონტდეს, მაგრამ მათ გამაგრებას და იქ სასწავლო პროცესისთვის საჭირო პირობების შექმნას აუცილებლად მოვასწრებთ" – აცხადებს განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩიაშვილი.

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი ქონების მართვის სამინისტროს უპირისპირდება.

მისი განცხადებით, რუსთავში ყველა ობიექტი ქალაქის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად არის პრივატიზებული. რუსთავის მერი ქონების მართვის სამინისტროს წინაშე საკითხს სვამს, რომ დღეიდან არცერთი ობიექტი მერიის თანხმობის გარეშე არ გაიყიდოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ტყეშელაშვილის განცხადება უკვე დაგვიანებულია, რადგან რუსთავში პრივატიზების პროცესი თითქმის დასრულებულია.

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ვიზიტით მყოფმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა **ვლადიმერ რუშაილომ,** სახელმწიფო მინისტრმა - **ავთანდილ ჯორბენაძემ** და საგარეო საქმეთა მინისტრმა - **ირაკლი მენაღარიშვილმა** დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს.

შეხვედრების შინაარსი გასაიდუმლოებულია პრეზიდენტთან შეხვედრამდე – ყოველ შემთხვევაში, რუშაილომ ასე განაცხადა.

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის თქმით, ბრიტანელი ბანკირის პიტერ შოუს გატაცების საქმის გამოძიება ძალიან ახლოს არის მის გახსნასთან.

გატაცებიდან ერთი თვის შემდეგ დადგენილია დამნაშავეთა ჯგუფი, რომლებსაც, შეიძლება, კავშირი ჰქონდეთ პიტერ შოუს გატაცებასთან. როგორც ძალოვანები ამბობენ, ამ ეტაპზე საუბარია არა მათ დაკავებაზე, არამედ პიტერ შოუს უსაფრთხო გათავისუფლებაზე.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ ჩეჩენი ბოევიკები პანკისის ხეობას არ ტოვებენ.

ინისტრი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადების შემდეგ პანკისის ხეობაზე კონტროლის აღსადგენად ერთობლივ ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლების ძალისხმევით ჩეჩენი ბოევიკები რუსეთ-საქართველოს დაღესტნის მონაკვეთის გავლით პანკისის ხეობას ტოვებენ.

■ ■ ■

**გორი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის იურისდიქციას დაქვემდებარებული ქართული სოფლების მოსახლეობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

2 ივნისის არჩევნები, ყოფილი ზნაურის რაიონის ორ სოფელში ავნევში და დულში ჩატარდა. თოთხმეტ სოფელში კი, რომლებიც თოღვის თემის გამგეობაშია გაერთიანებული და ოსური მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მდებარეობს არჩევნები არ ჩატარებულა.

აღნიშნული სოფლების ქართული მოსახლეობა ამ ფაქტს საქართველოს მხრიდან მათი ინტერესების იგნორირებად მიიჩნევს. ამ სოფლებში 1500 ქართველი ამომრჩეველი ცხოვრობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ მიეცა აღნიშნული სოფლებიდან დევნილ 600-მდე ამომრჩეველსაც.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მოთხოვნით თოთხმეტივე სოფლის მოსახლეობამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს მიმართა.

■ ■ ■

**თბილისი.** ტერორიზმის წინააღმდეგ სამმხრივი თანამშრომლობის საკითხის განხილვა მიმდინარეობს, - განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველმა მოადგლემ **ირაკლი ალასანიამ.** მან აღნიშნა, რომ საუბარია ოპერატიული ინფორმაციის გაცვლაზე და არა პანკისის ხეობაში ერთობლივი ოპერაციის დაგეგმვასა და ჩატარებაზე.

ალასანიას თქმით, საჭიროების შემთხვევაში საქართველო საკუთარი ძალებით შეძლებს პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარებას.

თუმცა, წყაროს ცნობით, პანკისის ხეობაში რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა მესამე მხარის ჩართვით "იდეის დონეზე" განხილული იყო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ვლადიმირ რუშაილოს მიერ თბილისში გამართული მოლაპარაკებების დროს.

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, საქართველომ თანხმობა განაცხადა აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელებაზე, რომლის მოქმედების ვადაც 30 ივნისს ამოიწურა.

ამავე დროს, **საქართველოს ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს სამშვიდობოთა მუშაობის დახვეწასა და სრულყოფას.**

აღნიშნულ თემატიკაზე, დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებები თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურებს ოქტომბერში დაგეგმილ სამიტზე წარედგინება.

■ ■ ■

**მოსკოვი.** სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით რუსულ-ქართული კონსულტაციები მოსკოვში ივლისის ბოლოს გაიმართება.

როგორც რუსეთის უშიშროების საბჭოში განაცხადეს, კონსულტაციებზე მხარეები საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების მთლიანად გაყვანის თაობაზე შედარებებსა და პოზიციათა დაახლოებას გააგრძელებენ.

ოფიციალური თბილისი რუსეთის სამხედრო ბაზების ბათუმიდან და ახალქალაქიდან 3 წელიწადში გაყვანას მოითხოვს.

მოსკოვი თავის მხრივ აცხადებს, რომ საქართველოდან ბაზების სრულ გაყვანასა და რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებას დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი და 10-15 წელი დასჭირდება.

■ ■ ■

**თბილისი.** 88 მილიონიანი ძველი დავალიანების არსებობის პირობებში საპენსიო ფონდმა დავალიანების გასტუმრების რამდენიმე გენიალური მექანიზმი მოიფიქრა, რომელსაც განსახილველად მთავრობას წარუდგენს. მათ შორისაა ჩათვლა, ანუ, გლეხი არ მიიღებს პენსიას, სამაგიეროდ, მიწის გადასახადი გასტუმრებული ექნება.

თუ ეს გლეხებმა გააპროტესტეს, მეორე მეთოდიც არსებობს – საპენსიო დავალიანებების დასაფარად და იმისთვის, რომ გლეხი ინფლაციამ არ შეჭამოს, სახელმწიფო მათ ობლიგაციებსა და სახელმწიფო ვალდებულებების ფასიან ქაღალდებს დაურიგებს. ვალდებულება 5 წლიანი იქნება და გლეხი ყოველ წელს ვალის 20 პროცენტს გაისტუმრებს.

შეუერთდებიან თუ არა ობლიგაციით ხელდამშვენებული გლეხები მოტყუებულ მეანაბრეთა მრავალათასიან არმიას, საპენსიო ფონდი არაფერს ამბობს.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩაშლაში დადანაშაულებული საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის როლანდ გვათუას გადადგომის მოთხოვნით ზუგდიდის მერიის შენობის წინ პოლიტიკურმა პარტიებმა მიტინგი გამართეს.

მერობის ექვსი კანდიდატიდან ოთხი როლანდ გვათუას გადადგომას მოითხოვდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 2 ივნისს ზუგდიდში ჩაშლილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები განმეორებით 14 ივლისისთვის დაინიშნა.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** რაიონის გამგებელი ნუგზარ ანთელავა ზუგდიდის გამგებლობისა და საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატებს შეხვდა. მან შეკრებილებს სთხოვა, ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიონ იმას, რომ ხელმეორედ დანიშნული არჩევნები კვლავ არ ჩაიშალოს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ განაცხადა, რომ ადგილობრივი პოლიცია, რომელსაც თბილისიდან დამატებით ჩამოსული შსს ძალები დაეხმარებიან, უზრუნველყოფს არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებას.

# მოგებულნი რჩებიან „ნაციონალები"

## საოლქო სასამართლო სახალხოელებისა და ედეპ-ელების სარჩელს არ აკმაყოფილებს



*სასამართლო განხილვა, რომლის შედეგი წინასწარაა ცნობილი*

პირველი გვერდიდან

საქმე ის არის, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე მიკერძოებასა და პოზიციის წინასწარ დაფიქსირებაში დაადანაშაულა, ლეიბორისტებმა კი მთლიან შემადგენლობას გამოუცხადეს უნდობლობა. დილის პროცესი სასამართლოს ეზოში "ნაციონალების" მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მომიტინგეები დაიშალნენ და საოლქოს ეზოში სიმშვიდემ დაისადგურა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევიდან სულ ცოტა ხანში, ცნობილი ხდება, რომ საოლქო სასამართლო პროცესს გააგრძელებს. საღამოს ექვს საათზე განახლებულ სხდომას უკვე საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით სალუქვაძე ხელმძღვანელობს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ფაქტით მოსარჩელე მხარე აღშფოთებული რჩება. სწორედ ამ დროს მამუკა გიორგაძე "24 საათს" უცხადებს, რომ **"პროცესი ისე დასრულდება, როგორც ეს ნაციონალურ მოძრაობას სურს"**. ამავე დროს, სასამართლოს ეზოში აღარ იკრიბებიან მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები. ამას ვანო მერაბიშვილი ასე ხსნის: **"ნაციონალები დარწმუნებულები არიან სასამართლო კოლეგიის მიუკერძოებლობაში"**.

თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატები აცხადებენ, რომ სასამართლო პროცესის მოულოდნელი განახლება სწორედ "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევას უკავშირდება. მათივე ვარაუდით, პროცესის ამგვარი შედეგით დასრულება უკვე აბსოლუტურად პროგნოზირებადი იყო, რადგან რეალურად იქმნებოდა თბილისში მასობრივი არეულობების დაწყების საფრთხე. მათი ადვოკატის, ლევან ჩხეიძის თქმით, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს **"პირდაპირი დაკვეთა ჰქონდა მიღებული"**.

"ნაციონალური მოძრაობა" დარწმუნებულია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომას უახლოეს დღეებში დანიშნავს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცესკომ თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს და ბიულეტენები გადაითვალოს. ასე რომ, შესაძლოა სხდომის დანიშვნა კიდევ გადაიდოს.

# ირაკლი ბათიაშვილი ამერიკული პროგრამის ჩავარდნის საფრთხეზე საუბრობს

## ქართველი სამხედროები შეშფოთების საფუძველს ვერ ხედავენ



*ბათიაშვილის განგაშს სამხედროები არ აჰყვნენ*

გიორგი ასანიძე

*პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი საბრძოლო განგაშს ტეხს: მისი თქმით, წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამის მეორე ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები დაგვიანებით დაიწყო და არასათანადოდ ჩატარდა, რამაც დიდი სირთულეები შექმნა "კომანდოს-ბატალიონის" დაკომპლექტების საქმეში. ბათიაშვილი ირწმუნება, რომ წინასწარი გეგმის თანახმად, 20 ივლისამდე 600 მებრძოლი უნდა შერჩეულიყო, დღეისთვის კი მხოლოდ 98-ს აქვს საბუთები წარმოდგენილი. მდგომარეობა რომ შემაშფოთებელია, ამის დასტურად საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე "ვაშინგტონ ტაიმსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციასაც ასახელებს, რომელშიც დომინირებს მოსაზრება, თითქოს ქართული მხარე ამერიკულ პროგრამას თავს ვერ აბამს.*

**"თავდაცვის სამინისტროსთვის 15 მარტიდან იყო ცნობილი, თუ რომელ ქვედანაყოფებს უნდა მიეღოთ პროგრამაში მონაწილეობა, მაგრამ წარმატების უზრუნველსაყოფად ბოლო დრომდე თითქმის არაფერი გაკეთებულა. მოიკოჭლებდა პროპაგანდაც: შესაბამისი უწყების პრესცენტრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, ფაქტობრივად, არაფერს აცნობდნენ, რეკლამას არ უკეთებდნენ და არ ეწეოდნენ იმის აგიტაციას, თუ რას წარმოადგენს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ელიტარული ქვედანაყოფი, რა ანაზღაურება ექნებათ ან რა შეღავათებით ისარგებლებენ მისი წევრები,"** - განაცხადა ბათიაშვილმა გუშინ გამართულ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე.

კიდევ უფრო შორს მიდის მისი თანაფრაქციელი ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ფართომასშტაბიანი დივერსია მზადდება და პროგრამის ჩაგდება ამ გეგმის შემადგენელი ნაწილია, ხოლო "ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს, რომ ამერიკელთა დახმარებაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს უსაფრთხოება და მომავალი; თუ პროგრამა ჩავარდება, ეს ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნება. გამყრელიძე ითხოვს, რომ პარლამენტმა ინტენსიური მონიტორინგი დააწესოს მის განხორციელებაზე.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები პარლამენტარების ბრალდებებს კატეგორიულად არ ეთანხმებიან და ერთხმად ირწმუნებიან, რომ ამერიკული სამხედრო პროგრამის შესრულება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და მისი ჩავარდნის საფრთხე არ არსებობს.

**"ჩემთვის გაუგებარია ის შეშფოთება, რაზედაც ბათიაშვილი საუბრობს. ყველაფერი ნორმალურად მიდის. პროგრამის შესრულებაზე მე ვაგებ პასუხს,"** - აცხადებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი. იგი აზუსტებს, რომ "კომანდოს-ბატალიონის" შემადგენლობა 600-ით კი არა, 400 კაცით განისაზღვრება და მისი ფორმირების საბოლოო ვადა, 20-ის ნაცვლად, 30 ივლისია. ფირცხალაიშვილის თქმით, არასწორია ისიც, თითქოს ბატალიონის ფორმირების პროცესში სიძნელეები შექმნილიყოს და საქმე ფერხდებოდეს.

**"370-მა სერჟანტმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მსახურობს, უკვე გამოთქვა ბატალიონში ჩარიცხვის სურვილი, ისევე, როგორც კოსოვოში ნამსახურებმა 170-მა მებრძოლმა. ამ დღეებში რეგიონებიდან ჩამოსული 80-ზე მეტი ახალგაზრდა გაივლის სამედიცინო შემოწმებას და ისინიც კანდიდატებად ჩაირიცხებიან. ამ ხალხის ბაზაზე, კრწანისში 670 კაცისთვის მოეწყობა სამხედრო ბანაკი, საიდანაც "კომანდოს-ბატალიონისთვის" 400 ყველაზე ღირსეული მეომარი შეირჩევა,"** - აცხადებს ფირცხალაიშვილი, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ ზედმეტი ხმაური, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის გარშემო, უარყოფით ფონს ქმნის.

ქართველი სამხედროები, აგრეთვე, აცხადებენ, რომ საქართველოს პრესითა და ტელევიზიით ხშირად ხდება ამერიკული პროგრამის ანტიპროპაგანდა და ვრცელდება დეზინფორმაცია. ამის მაგალითად დასახელდა ცრუ ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს "კომანდოს-ბატალიონის" წევრი, რომელიც კონტრაქტის პირობებს დაარღვევს, ჯარიმის სახით, 25 ათას დოლარს გადაიხდის. თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსი დიმიტრი ლეჟავა "ვაშინგტონ ტაიმსის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციასაც არაობიექტურს უწოდებს და თავის მხრივაც ადასტურებს, რომ ამერიკული დახმარების პროგრამა დღე-დღეზეა გაწერილი და მისი შესრულება ეჭვს არ იწვევს.

**"საუბარი იმაზე, თითქოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა ჩავარდნის პირას იყოს მისული, მცდარია. არსებობს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული გეგმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში სისტემატურად იხილება და მისი შეუსრულებლობა, პრაქტიკულად, გამორიცხულია. 1 აგვისტოსთვის "კომანდოს-ბატალიონი" სრულად იქნება დაკომპექტებული,"** - ასეთ განცხადებას კი თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი გიორგი იოკურიძე აკეთებს, რომელიც, შენიშვნის სახით, მაინც დასძენს, რომ გაუგებრობებისა და უზუსტობების თავიდან ასაცილებლად, მის უწყებას მასმედიასთან მეტი მუშაობა მართებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, "ახლების" ფრაქციიდან ახლახან გასული გიორგი ყარყარაშვილი მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდა და სხდომაზე აღნიშნა, რომ პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე გამოთქმულ საყვედურებს ვერ გაიზიარებს და საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, თუმცა, შენიშნავს, რომ პროგრამის მონიტორინგი აუცილებელია.

კომიტეტის გუშინდელ სხდომას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ატაშე თომას ნიუკომბიც ესწრებოდა. მისი თქმით, **"პროგრამის მიმდინარეობის შესახებ იგი მთლიანად არის ინფორმირებული და რაც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, მისთვის ყველაფერი ცნობილია",** ანუ, თუ ამ განცხადებას დიპლომატიური ენიდან ჩვეულებრივზე "ვთარგმნით", გამოდის, რომ სამხედრო ატაშე ქართველ სამხედროებს ენდობა და წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის წარმატებისა სჯერა.

საერთოდ, სხდომის ბოლოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ირაკლი ბათიაშვილის მიერ ატეხილი განგაში უსაფუძვლო იყო, კომიტეტის თავმჯდომარემ ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და თავდაცვის სამინისტროსთვის პროფილაქტიკის მიზნით სილის გაწვნა, კოკის გატეხვამდე მოინდომა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# დარბევა

პირველი გვერდიდან

წასვლისას უცნობებმა ხელს დავით ზურაბიშვილის მობილური ტელეფონი გააყოლეს. როცა ზურაბიშვილმა თავის ნომერზე დარეკა, ყურმილი უცნობმა აიღო და გათიშა. სამართალდამცავთა თქმით, შესაძლოა, ეს ფაქტი გამოძიებას დაეხმაროს.

**"წარმოუდგენელი სადიზმია. ავადმყოფი დედა მივატოვე და აქეთ გამოვიქეცი. თუ ადამიანს გინდა დაელაპარაკო, კაცი ხარ და შეხვდი მას სადმე სხვა ადგილას. რას ერჩი ან შენობას, ან სხვას რას ერჩი..."** - შემთხვევის ადგილზე კომენტარს აკეთებს თბილისის პოლიციის უფროსის მოადგილე მიხეილ სალაძე. **"ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს დანაშაული გაიხსნას. ჯერჯერობით, თქვენზე მეტი, ჩვენც არაფერი ვიცით. დაწყებულია მოკვლევა,"** - აცხადებს თბილისის მთავარი პროკურორის მოადგილე ჯამბულ ჯანელიძე.

გიგა ბოკერია მომხდარს შევარდნაძის ხელისუფლების აგონიად მიიჩნევს და ყველას, **"ვისაც კიდევ აწუხებს საქართველოში დემოკრატიის ბედი"**, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებს. **"დღეს ხელისუფლებამ "თავისუფლების ინსტიტუტი" და მთელი საქართველო გააფრთხილა, რომ, თუ მათი მმართველობა ეჭვქვეშ დადგება, თანახმანი არიან, საკუთარი სკამები სისხლით და ტერორით დაიცვან, რომ მერე იქით შევეხვეწოთ, ოღონდ არ იყოს სისხლი და იყავი, შევარდნაძე, კიდევ 60 წელი,"** - დარწმუნებულია ბოკერია. მისი აზრით, მომხდარი ლოგიკურია და, შესაძლოა, ამ ფაქტს კიდევ უფრო სახიფათო გაგრძელება ჰქონდეს. იგი არ გამორიცხავს, რომ "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების სიცოცხლეს საფრთხე შემდგომშიც დაემუქროს. ბოკერია არ საუბრობს კონკრეტულად რომელიმე ჯგუფზე ან დამნაშავეზე, ის ყველაფერში ხელისუფლებას სდებს ბრალს.

მომხდარი ლოგიკურად ეჩვენება პოლიტოლოგ გია ნოდიასაც, აქ ისიც "კოლექტიური შევარდნაძის" ხელს ხედავს: **"თუ ხელისუფლება უშუალო ორგანიზატორი არაა, ეს მისი თანხმობით მოხდა. მან, ფაქტობრივად, ძალადობის ტალღა მიუშვა, არ შეაჩერა, რომ მერე ყველაფერი კონსტრუქციულ ოპოზიციას გადააბრალოს."** გია ნოდია მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი ახალ პოლიტიკურ კრიზისს წარმოშობს.

მომხდართან დაკავშირებით, ოფიციალურ კომენტარს აკეთებენ გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე და შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. "გამოძიების ინტერესებს" ამოფარებული ძალოვნები, ჯერჯერობით, საკმაოდ ძუნწ ინფორმაციას ავრცელებენ.

**"რაც შეიძლება, მალე უნდა მოეფინოს ნათელი ამ ფაქტს. ჩვენ ვითათბირეთ, შევაჯამეთ ყველა ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც**



"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბეული ოფისი

**მოგვეპოვება... მეტის თქმა ამ ეტაპზე არ შეგვიძლია,"** - ამ კომენტარით შემოიფარგლა გენპროკურორი. კობა ნარჩემაშვილისთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ თავდამსხმელები სპორტული აღნაგობის არიან და მათ "თავისუფლების ინსტიტუტი" დაარბიეს. **"მუშავდება ფოტორობოტები. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს საქმე მალე გაიხსნას,"** - ირწმუნება ნარჩემაშვილი.

დანაშაულის ადგილი ექსპერტებმაც დაათვალიერეს. ექსპერტიზა ჩაუტარდება თითის ანაბეჭდებს და აღმოჩენილ სისხლის ლაქებს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის შესაძლო მიზეზად გივი თარგამაძის ქორწილში მომხდარი ინციდენტიც დასახელდა. შაბათს, 8 ივლისს, ღამით, თარგამაძის ქორწილიდან მიმავალ მის მეგობრებს, დიღმის ტრასაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოუხდათ, დაეჯახნენ ვინმე დონაძის მანქანას. დაურეკეს თარგამაძეს, ისიც შემთხვევის ადგილზე მივიდა, იქიდან დაურეკა საგზაო პოლიციის უფროსს, კობახიძეს. დაპირისპირების მიზეზი ის გახდა, რომ დონაძემ თარგამაძის მეგობრები გაამტყუნა, საგზაო შემთხვევა თქვენი მიზეზით მოხდაო. როგორც გივი თარგამაძე ამბობს, დონაძე არც მას და არც მის მეგობრებს არ უცემიათ. თარგამაძე ამტკიცებს, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა, დონაძის მამა მასაც და მის მეგობრებსაც ფიზიკურად შეეხო, რაც, მისი თქმით, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრშიცაა დაფიქსირებული. **"ჩვენ მერე გავარკვიეთ, რომ დონაძე დაცვის პოლიციის წევრი ყოფილა. იგი, ამავე დროს, დიღმის ტრასაზე განლაგებული ჯიხურების მომმარაგებელია, ამიტომაც ჯიხურის გამყიდველი მას თავგამოდებით იცავს. იმ ღამეს მე მის საბარგულში კონტრაბანდული საქონელიც აღმოვაჩინე, რითაც ის, ალბათ, ამ ჯიხურებს ამარაგებს."** თარგამაძე გამორიცხავს იმ ვერსიას, თითქოს "თავისუფლების ინსტიტუტს" დონაძის დამცველები დაესხნენ, თუმცა, ამ ორ ინციდენტს შორის უეჭველ კავშირს ხედავს: **"კავშირი ის არის, რომ დღევანდელი თავდასხმა, თურმე, კარგა ხანია, იგეგმებოდა. დონაძეებმა არ იციან, რა შარში გაყვეს თავი. შესაძლოა, ეს დარბევა სამართალდამცავებმა მათ "მიაკერონ". ვაკე-საბურთალოს პოლიცია საქმის აღძვრას არც აპირებდა, იმიტომ, რომ, რეალურად, დანაშაული ჩვენი მხრიდან არც მომხდარა, ამის შესახებ ვაკე-საბურთალოს პოლიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მითხრა, მაგრამ დირექტივა მიიღეს... ხომ გესმით..."** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში გივი თარგამაძე.



"ლევანი ძალიან მძიმედაა, თუმცა, მეც მაგრად მომხვდა".

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

## კომენტარი

**ედუარდ შევარდნაძე (საქართველოს პრეზიდენტი)** – "დეტალები არ ვიცი. ვიცი, რომ სერიოზულ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, დარბევა იყო თუ რაღაც... თუ ეს მართლაც ასეა, ვგმობ სასტიკად. დამნაშავეები უნდა მოიძებნონ."

**ზურაბ ჟვანია ("გაერთიანებული დემოკრატები")** – "უკიდურესად შეშფოთებული ვარ ხელისუფლების ოპონენტი საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართ ფიზიკური ტერორის დაწყების გამო. "თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმა სხვა არაფერია, თუ არა დაწყება იმ პროცესისა, რომელსაც ოპონენტებთან ფიზიკური ანგარიშსწორების ენაზე საუბარი ჰქვია. ფაქტობრივად, ქვეყანაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესის კრიმინალიზაცია დაიწყო. ამ თავდასხმაზე პასუხისმგებელი მთლიანად ხელისფლებაა. უნდა ვთქვა, რომ ეს გზა სახელწიფოსთვის უაღრესად საშიშია".

**დენის შემლა (ევროპის საბჭოს ექსპერტი)** – "დარბევის დროს "თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში ვიყავი, ჩემს კოლეგა დევიდ გლედველთან ერთად. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა უცხო პირების შემოჭრისას, შემეშინდა და ვცდილობდი კარზე ავეჯის მიყუდებას, რომ უცხოები შიგნით არ შემომეშვა. დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს"

**ირაკლი ქადაგიშვილი ("ეროვნულ-დემოკრატიული პარტია")** – "მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ ინსტიტუტის მიმართ, გასაგები მიზეზების გამო, არავითარი სიმპათია არ გაგვაჩნია, მიმაჩნია, რომ ეს ფაქტი დასაგმობია. ეს არის სექტანტური, უკიდურესად გამწვავებული ბრძოლა და ის მანამ გაგრძელდება, სანამ ჩვენი ხელისუფლება ყოველ ასეთ ფაქტს გულგრილობით უპასუხებს."

**კოტე კემულარია ("ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი")** – "მე ვიყავი იქ და ვესაუბრე ინსტიტუტის წევრს, სოზარ სუბელიანს. ეს არის ხელისუფლების აქცია. რას აკეთებდნენ ეს ბიჭები? ესენი არიან განათლებული ადამიანები, რომლებიც ამბობენ სიმართლეს. ხელისუფლებამ ეს ვერ აიტანა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ისინი ორგანიზებულად დაესხნენ თავს ინსტიტუტს და ისე ორგანიზებულად დატოვეს, რომ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ შეძლო. ამაზე მეტყველებს მათი აღნაგობა, მომზადება, ის, რომ ყველაზე მეტად სცემდნენ ლევან რამიშვილსა და დავით ზურაბიშვილს, ადამიანებს, რომლებიც ყველაზე მეტად არ უყვართ ხელისუფლებაში. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს გააკეთეს ან "ბასილისტებმა," ან "შარაძისტებმა," უბრალოდ, "თავისუფლების ინსტიტუტის" წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი მომზადებული იყო და ხელისუფლებაში ვიღაცამ ეს გამოიყენა.

ეს არის ბოლო დროს გასამხედროებული ხელისუფლების ნაწილების მოქმედება. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ ეს არ უნდა გადაყლაპოს, ეს არ არის მხოლოდ "თავისუფლების ინსტიტუტის" საქმე, ამაზე პასუხი ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა გასცეს."

**დავით გამყრელიძე ("ახალი მემარჯვენეები")** – "ეს უკიდურესად აღმაშფოთებელი ფაქტია. საქართველო ნელ-ნელა ყალიბდება სახელმწიფოდ, სადაც განსხვავებული აზრისთვის ადამიანები, შეიძლება, გალახო, დასაჯო, გაუსწორდე. "თავისუფლების ინსტიტუტი" ქვეყანაში ერთ-ერთი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციაა და ასეთი მოქმედება მათ მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ქვეყნის პრესტიჟსა და ღირსებას ლახავს.

ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ეს ბარბაროსობა ერთობლივად უნდა აღვკვეთოთ."

**ვახტანგ ხმალაძე ("მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს")** – "ეს ბარბაროსობა, ველურობაა. "თავისუფლების ინსტიტუტი" არაერთს უზის კრიჭაში, ამიტომ ეს, ალბათ, შურისძიება იყო მათი მხრიდან. ასეთი ძალა ბევრია, მე არ მგონია, რომ ეს გურამ შარაძის გაკეთებული იყოს. იგი არასდროს ყოფილა შემჩნეული ძალისმიერ მოქმედებებში. ვიღაცამ კარგად გამოიყენა რამდენიმე დღის უკან კვერცხების სროლის ფაქტი. ამ ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ბოლო დროს ძალიან მკვეთრი განცხადებები გააკეთეს ხელისუფლების მისამართით, ამიტომ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ვიღაცას ხელისუფლებაში ნერვები ძალიან მოეშალა. მთლიანობაში კი, დღეს ხელისუფლებას არ აწყობდა ასეთი ფაქტი, რადგან ამას, შეიძლება, ძალიან სერიოზული გართულებები მოჰყვეს. ჩვენი ხელისუფლება კი არეულობისთვის მზად ნამდვილად არ არის."

**ანზორ აბრალავა (ფრაქცია "XXI საუკუნე," პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე)** – "მე ახლა მაცნობეს ამ ვანდალური აქტის შესახებ. აღშფოთებული ვარ. ბევრი, ალბათ, იფიქრებდა, რომ რადგან ჩვენი და "თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიციები მკვეთრად განსხვავდება, ჩვენ ეს დარბევა გაგვიხარდებოდა. ეს ასე არ არის. ძალიან ცუდი ფაქტია, როგორც ქვეყნისთვის, ისე საზოგადოებისთვის, ამას ძალიან მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. "თავისუფლების ინსტიტუტი" ჩვენი თანამოქალაქეებისგან შედგება და მათ აქვთ უფლება, იფიქრონ ისე, როგორც ფიქრობენ, ამიტომ ასეთი ფაქტების მიმართ ჩვენ მხოლოდ ნეგატიური დამოკიდებულება გვაქვს."

**ალექსანდრე შალამბერიძე ("ტრადიციონალისტთა კავშირი")** – ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს ხელისუფლებაში სრული იდიოტები სხედან. ქვეყანაში ტერორი მძვინვარებს. "თავისუფლების ინსტიტუტი" ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების დაცვისა და სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვის. მათი მოქმედებები ბევრს აღიზიანებს, ბევრს მოსწონს, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, ასე ლაჩრულად და დაუნდობლად მოექცე ამ ხალხს. არ არის გამორიცხული, ეს ყოველივე ხელისუფლების პროვოცირებული იყოს."

**სანდრო ბრეგაძე ("აღორძინების კავშირი")** – "მიმაჩნია, რომ ეს რელიგიურ ნიადაგზე მწვავე დაპირისპირების შედეგია. ერთ მხარეს არის "თავისუფლების ინსტიტუტი," მეორე მხარეს - ხალხი, რომელიც მართლმადიდებლობას იცავს. გურამ შარაძე ამას არ იკადრებდა. ეს ორივე მხარე უცხო ქვეყნებიდან იმართება."

**გია ბურჯანაძე ("ქრიატიანულ-დემოკრატიული კავშირი")** – "პოლიტიკური ტერორი და საკუთარი სიმართლის "დამტკიცების" ამგვარი მეთოდები საქართველოში არ გავა."

**შალვა ფიჩხაძე (სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი)** - "ეს საქმე აუცილებლად უნდა იქნეს გამოძიებული. მე პირადად ვიცნობ ლევან რამიშვილს, ამ ინსტიტუტის სხვა წევრებს და აღშფოთებული ვარ. რაც შეეხება ოპოზიციის განცხადებებსა და ხელისუფლებისკენ ხელის შვერას, ეს მათი მოვალეობაა და არ მიკვირს. ახლა რომ ცხელა, ზოგიერთი ამასაც შევარდნაძეს აბრალებს. ხელისუფლება დამნაშავე იქნება მაშინ, თუ ეს საქმე დროზე ვერ იქნა გამოძიებული."

**ვალერი გელბახიანი ("აღორძინების კავშირი")** – "სამწუხარო და ცუდი ფაქტი მოხდა. ასეთი დარბევები საქართველოში ადრეც ყოფილა და ეს საქმეები გაუხსნელია. ინკოგნიტო დამრბევები, შეიძლება, ვეძებოთ იმ ხალხში, რომელიც "თავისუფლების ინსტიტუტს" უპირისპირდება. ასეთი ხალხის კატეგორია კი ძალიან დიდია."

## შევარდნაძემ ჟორბენაძის ინიციატივა არ წაახალისა

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრეზიდენტმა საერთოდ გვერდი აუარა ძალოვანების საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულებაში მხოლოდ გრანტების იმედზე არ უნდა ვიყოთ. ძალოვანებისადმი გამოთქმული პრეტენზიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უცხოელების გახშირებული გატაცებების ფაქტები იყო. ამან ევროკავშირის გრანტის შემოსვლა შეაფერხა. თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ შევარდნაძის კომენტარი უშუალოდ ჟორბენაძის მისამართით იყო გაკეთებული.

გუშინდელი სამთავრობო სხდომა გახლდათ ბოლო პერიოდის განმავლობაში პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს პრეზიდენტმა ავთანდილ ჟორბენაძის ინიციატივა არ წაახალისა.

სხდომიდან გამოსული ძალოვანები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. უშიშროების მინისტრმა კომენტარისგან თავი შეიკავა და თქვა, რომ ჟორბენაძის მიერ მისი პასუხისმგებლობის დაუყენებლობის მიზეზი ჟურნალისტებმა მასვე უნდა ჰკითხონ.

კობა ნარჩემაშვილმა კი განაცხადა, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლა უშუალოდ მისი უწყების ფუნქციებში არ შედის და გაიმეორა პრეზიდენტის მოსაზრება გრანტების იმედად ყოფნასთან დაკავშირებით.

## მირიან გოგიაშვილმა სესილი გოგიბერიძე აატირა

გუშინ მთავრობის სხდომა 65 მილიონით გარღვეულ ბიუჯეტს განიხილავდა და მინისტრების პასუხისმგებლობაზე საუბრობდა, როცა კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ ქართული კინოს დაფინანსების საკითხი წამოჭრა. ფინანსთა ექს-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის, მინისტრობის პერიოდში კინოსტუდია **„ქართულ ფილმში" სამი მხატვრული სურათის გადაღება დაიწყო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელობის უყურადღებობის გამო, გადაღებები გაურკვეველი დროით შეჩერდა,"**- განაცხადა მან.

მინისტრის თქმით, ორი თვის განმავლობაში გოგიაშვილთან ტელეფონით დაკავშირება მხოლოდ ორჯერ გახდა შესაძლებელი; თანაც, ფინანსთა მინისტრი მის წერილებს უყურადღებოდ ტოვებს.

მირიან გოგიაშვილმა სესილი გოგიბერიძის ემოციურ გამოსვლას მთავრობის დღევანდელ სხდომაზე უხეშად უპასუხა. **"როცა ქვეყანა დეფოლტის წინაშეა, მე თქვენ კინოს გადაღებას ვერ დაგიფინანსებთ,"** - განაცხადა მან.

გოგიაშვილის გამოსვლის შემდეგ კულტურის მინისტრმა ემოციები ვერ მოთოკა და სხდომის დარბაზი ატირებულმა დატოვა.

ამის შემდეგ გოგიაშვილი შეეცადა, ტონი შეერბილებინა. პრეზიდენტმა დასძინა, რომ ის და ფინანსთა მინისტრი ერთად მოუხდიან ბოდიშს კულტურის მინისტრს.

## მთავრობის პრეტენზიები პარლამენტის მიმართ

საქართველოს მთავრობა პარლამენტის მიერ კანონპროექტების უგულებელყოფაზე ალაპარაკდა.

მთავრობის მიერ გაწეული კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე საუბრისას, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა, მარიამ ცაცანაშვილმა განაცხადა, რომ წლიდან წლამდე პარლამენტი განხილული კანონპროექტების რაოდენობას ამცირებს.

მისი ინფორმაციით, 2001 წელს საქართველოს მთავრობამ პარლამენტში 108 კანონპროექტი შეიტანა, მათგან კი საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ 68 განიხილეს.

წელს მთავრობამ "სტახანოვური ტემპები" განავითარა და მხოლოდ პირველ ექვს თვეში პარლამენტს 120 კანონპროექტი წარუდგინა. ამ 120 კანონპროექტიდან პარლამენტარებმა მხოლოდ 55-ისთვის მოიცალეს.

ეს ციფრები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომელზეც "24 საათი" პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მიწურულს წერდა. ცხადია, რომ პარლამენტმა საკუთარი პირდაპირი მოვალეობა დაივიწყა და პოლიტიკურ ინტრიგებსა და სკამების გადანაწილებას გადაჰყვა.

საპროცედურო კომიტეტის შეპირებული რეაგირება ამ საკითხზე, ჯერჯერობით, არ ჩანს.

## რუსული ნავთობი ამერიკის დასაპყრობად ემზადება

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკასა და რუსეთს შორის საქმიან ურთიერთობებში ახალი ფაზა დაიწყო. ჰიუსტონის პორტმა პირველად ისტორიაში უშუალოდ რუსეთიდან მიიღო "შავი ოქროს" პარტია – ორი მლნ ბარელი გადაუმუშავებელი ნავთობი, რომლის ექსპორტიც აშშ-ში რუსეთის სიდიდით მეორე ნავთობკომპანიამ, "იუკოსმა," მოახდინა.

1970-იან წლებში ამერიკაში დიდი რაოდენობით შედიოდა რუსული ნავთობი, მაშინ მოსკოვი შუამავლად ვენესუელას იყენებდა. "იუკოსის" მთავარი აღმასრულებლის მიხაილ ხოდორკოვსკის თქმით, ეს მიწოდება ექსპერიმენტული ხასიათისა იყო და გაგრძელდება იგი თუ არა, მაშინ გაირკვევა, როცა დაანგარიშდება ამ ოპერაციის ხარჯები და მოგებები. ხოდორკოვსკის კომპანია ამ მიწოდებას მაისში ბუშსა და პუტინს შორის გამართულ "ენერგოდიალოგის" ჩარჩოებში განიხილავს. თავიანთ შეხვედრაზე ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ერთმანეთს აღუთქვეს, რომ აუცილებლად ითანამშრომლებენ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ არასტაბილურობა ნავთობის ბაზარზე და საწვავის ფასები უფრო პროგნოზირებადი გახადონ.

რუსული ნავთობის ამერიკაში ექსპორტი ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. აშშ, ძირითადად, ოპეკის ქვეყნების ექსპორტზეა დამოკიდებული და არასტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში, ამ მხრივ, სერიოზულ რისკს ქმნის. არავინ უწყის, რა შეიძლება მოხდეს ამ რეგიონში და რა ბედი შეიძლება ეწიოს ნავთობის ექსპორტს საუდის არაბეთიდან თუ ირანიდან. სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ ერაყიდან საწვავის ექსპორტი შეზღუდული რაოდენობით გადის (ან საერთოდ არ გადის, როცა ჰუსეინი გაჯიქდება ხოლმე და ქვეყანაში გაეროს დამკვირვებლებს არ უშვებს) და არაა გამორიცხული, მსგავსი რამ ირანის შემთხვევაში განმეორდეს. ეს ქვეყანა ბუშმა ახლახან ტერორიზმის ხელშემწყობ სახელმწიფოდ მონათლა.

რუსეთი კი ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე და თუკი ასეთი ტემპით გააგრძელა აღებული კურსი (ნავთობმოპოვების ყოველწლიურად შვიდი-რვა პროცენტით გაზრდა), ორიოდ წელიწადში უკან ჩამოიტოვებს ნავთობის უდიდეს მწარმოებელ საუდის არაბეთსაც. ჩრდილოეთის დათვის ასეთი აღმავლობა ორი მიზეზით აიხსნება. ჯერ ერთი, რომ რუსეთის უზარმაზარი ენერგორეზერვები და პოტენციალი გააჩნია; მეორეც, ეს ქვეყანა არავის უწევს ანგარიშს და იმდენ ნავთობს მოიპოვებს, რამდენიც საჭიროდ მიაჩნია. ოპეკის ქვეყნები კი ორგანიზაციის მიერ მიღებული კვოტებით არიან შეზღუდულნი და მას ემორჩილებიან. ოპეკის სტრატეგიას ანგარიშს უწევენ ცივილიზებული, არაოპეკელი ნავთობსახელმწიფოები (ნორვეგია, მექსიკა). როცა კარტელი, დავუშვათ, მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასების დაცემის გამო ნავთობმოპოვებას ამცირებს, ეს ქვეყნებიც მის მაგალითს ბაძავენ და ამცირებენ ნავთობმოპოვებას, რათა ოპეკის ძალისხმევა ფუჭი არ იყოს. რუსეთი კი, რომელიც ისევ ძველი, საბჭოური მეთოდებით მოქმედებს, ასეთ დროს უფრო ზრდის ხოლმე ნავთობმოპოვებას, რათა ოპეკისა და სხვათა მიერ დაკარგული ბაზრის წილი აითვისოს. იგი არც მალავს, რომ მისი კამპანიის მიზანი ამერიკის ბაზარზე ოპეკის ჩანაცვლებაა.

"იუკოსი" წლის ბოლოსათვის წარმოების 20 პროცენტიან ზრდას ელის. ეს კომპანია მკვეთრად გამოირჩევა რუსეთში თავისი საქმიანობის გამჭირვალეობით და დიდი ნდობით სარგებლობს უცხოეთში. მისი საზღვარგარეთული ინვესტიციები მოიცავს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს გერმანიაში და ნავთობსადენს ჩინეთში. თუმცა, ამის მიუხედავად, კომპანიას თავის მთავარ სამიზნედ მაინც აშშ მიაჩნია, რადგან იგივე ევროკავშირი დიდი ხალისით არ ხვდება ძველ კონტინენტზე რუსული ექსპორტის ზრდის პერსპექტივებს.

თუმცა, პრობლემები ამერიკის ბაზრის დაპყრობასაც ახლავს. იქ ნავთობის ტრანსპორტირება კომპანიას, დაახლოებით, ბარელზე 1,5 დოლარი უნდა დაუჯდეს. თუკი ასე მოხდა, "იუკოსი" ბარელზე 1-1,5 დოლარს მოიგებს, რაც არც ისე ბევრია. ხარჯს ის ფაქტორი ზრდის, რომ რუსეთს არა აქვს ღრმა ნავსადგურები და ტანკერი, რომელმაც აშშ-ში ნავთობი ჩაიტანა, ეგეოსის ზღვაზე დაიტვირთა, იქ კი ნავთობი შავი ზღვის ტერმინალებიდან მიზიდეს.

რუსეთს სხვა პრობლემებიც აქვს. ამ ქვეყანას არ გააჩნია ღრმად ბურღვის ტექნოლოგია. არადა ის საბადოები, სადაც ახლა ნავთობი მოიპოვება, 20-25 წელიწადში ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. ეს ნიშნავს, რომ საჭირო იქნება უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, რომლებიც ღრმად ბურღვის ტექნოლოგიას დანერგავენ. მაგრამ უცხოელთა ჩარევა მოსკოვს არ სურს – ნავთობი ხომ ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი შემოსავლის წყაროა და მისი, თუნდაც ნაწილის, სხვის ხელში გადასვლა ქვეყნის ეკონომიკაზე საგრძნობლად იმოქმედებს. სწორედ ამიტომ რუსეთის ნავთობსექტორში ინვესტიციების მოცულობა ახლა სულ რაღაც 4,5 მლრდ დოლარს შეადგენს.

## მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ავიაკომპანიას ყიდიან

ისრაელის მთავრობა თანახმაა გაყიდოს ნაციონალური ავიაკომპანია "ელ ალის" აქციების 49 პროცენტი. აქციებს თელ-ავივის საფონდო ბირჟაზე მომავალი წლის დასაწყისში გაიტანენ. ჯერჯერობით, უცნობია დანარჩენი 51 პროცენტის ბედი. ანლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება აქციების საკონტროლო პაკეტს თავად დაიტოვებს, რათა შეინარჩუნოს სახელმწიფო კონტროლი სტატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე.

"ელ-ალის" მომავალ მყიდველს საკმაოდ მშვიდად მოუწევს მუშაობა. მაგალითად, ისრაელში მიღებული წეს-ჩვეულებების თანახმად, შაბათობით ამ ავიაკომპანიის თვითმფრინავები არ დაფრინავენ. "ელ-ალის" შემოსავლებმა გასულ წელს 1,1 მილიარდი ევრო შეადგინა. ავიაკომპანიაში 3 500 ადამიანი მუშაობს, ხოლო ავიაპარკი 31 თვითმფრინავს მოიცავს. 2001 წელს "ელ-ალი" სამ მილიონ ადამიანს მოემსახურა. მგზავრების რაოდენობა კი დღითი დღე იზრდება. ადმინისტრაცია ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ "ელ-ალი" მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო ავიაკომპანიად ითვლება.

## გერმანიაში უმსხვილესი მანქანათმშენებელი კომპანია კოტრდება

გერმანიაში ეკონომიკური კრიზისი გრძელდება. ობერჰაუზში მდებარე მანქანათმშენებელმა გიგანტმა, "ბაბკოკ ბორზინგმა," თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. კომპანიამ კრედიტორებისგან თავდასაცავად დახმარება სთხოვა ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ხელისუფლებას. "ბაბკოკ ბორზინგის" კრედიტორები არიან უმსხვილესი გერმანული ბანკები: "დოიჩე ბანკი", "დრეზდენბანკი", და "კომერსბანკი". "ბაბკოკ ბორზინგის" 22 ათასი თანამშრომელი შესაძლოა, ოთხმილიონიან უმუშევართა არმიას შეემატოს.

ლეო კირხის მედია-იმპერიის კრახის შემდეგ "ბაბკოკ ბორზინგის" გაკოტრება მეორე დიდი დარტყმაა გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის პოზიციებზე. არჩევნებამდე კი ორ თვეზე ნაკლები დრო რჩება. შრიოდერი აცხადებს, რომ მან უკვე მისცა მითითება ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის პრემიერ-მინისტრს, გამონახოს თანხები "ბაბკოკის" გადასარჩენად. თუმცა კანცლერს კონკრეტული თანხა არ დაუსახელებია.

"ბაბკოკ-ბორზინგმა", რომელიც აწრმოებს ყველაფერს -- ტურბინებიდან დაწყებული წყალქვეშა ნავებით დამთავრებული, მაისში 100 მილიონი ევროს დაკარგვის შესახებ განაცხადა. ამჟამად "ბაბკოკი" რესტრუქტურიზაციისთვის 700 მილიონ ევროს ითხოვს, აქედან 200 მილიონს - სასწრაფოდ. კომპანიის ხელმძღვანელობას ივნისის თვის ხელფასებიც კი არ გაუცია.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 6–11 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6463 | 0.6389 | 0.0055 |
| US$ | 1.5473 | | 0.9887 | 0.0085 |
| €uro | 1.5657 | 1.0122 | | 0.0086 |
| ¥en | 182.6 | 118.04 | 116.65 | |

## მარეგულირებელი კომისიების კანონი ოქტომბრამდე არ ამოქმედდება

### ანუ რას დაადო პრეზიდენტმა ვეტო?

პირველი გვერდიდან

ვეტოს უფლების გამოყენებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოში მარეგულირებელი კომისიები ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე საქმიანობენ. ვეტოს უფლების გამოყენება მან იმით ახსნა, რომ კანონპროექტში ხარვეზები აღმოაჩინა. **"ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავრობა პროექტის შემუშავების პროცესში არ მონაწილეობდა, რადგან კანონპროექტი პარლამენტში მომზადდა. ასეთი გაუგებრობები, რაც შეიძლება, ნაკლები უნდა იყოს",** - აღნიშნა შევარდნაძემ. **"წარმოიდგინეთ, პრეზიდენტი მარეგულირებელი კომისიების ხელმძღვანელებს თავად ნიშნავს. კანონპროექტის მიხედვით კი, პრეზიდენტს მათზე ზედამხედველობის ფუნქცია არ გააჩნდა",** - აღნიშნა მარიამ ცაცანაშვილმა.

შევარდნაძემ მარეგულირებლების შესახებ კანონპროექტში სამი ცვლილების შეტანა მოითხოვა. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, პრეზიდენტი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება. პარლამენტის ფორმულირებით, კომისიების ანგარიშის შესასწავლად საერთაშორისო აუდიტორის მოწვევის საკითხი პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა.

მეორე ცვლილებით კანონპროექტის ტექსტში შევიდა დებულება, რომლითაც კონტროლის პალატას "კონტროლის პალატის შესახებ" კანონის ფარგლებში მარეგულირებელი კომისიების შემოწმების უფლება მიეცა. ამასთან, პალატას არ შეეძლება კომისიების საქმიანობაში ჩარევა, რადგან ასეთი ფორმულირების გაჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა საქართველოში მარეგულირებელი კომისიების დამოუკიდებლობის საკითხს. თუმცა, ექსპერტებს ვერ გაუგიათ, რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ამ საკითხის დაფიქსირება კანონპროექტში, რადგან კონტროლის პალატას ამის გარეშეც ვერავინ აუკრძალავდა შესაბამისი კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

ექსპერტებისგან განსხვავებით, ასეთი მუხლის კანონპროექტში გათვალისწინებას მხარს უჭერს კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი. **"კონტროლის პალატის ინტერესი ერთია – არ იყოს შელახული არც ერთი უწყების კონსტიტუციური უფლებამოსილება",** - აღნიშნა მოლაშვილმა. მისი თქმით, საპარლამენტო განხილვებისას კანონპროექტის მიმართ, პალატის გარდა, სერიოზული შენიშვნები ჰქონდათ ეკონომიკის სამინისტროს, ანტომონოპოლიურ სამსახურსა და ფასების ინსპექციას. თუმცა, რატომღაც, პრეზიდენტმა მხოლოდ კონტროლის პალატის ინტერესი დააკმაყოფილა.

მესამე შენიშვნა კანონის ამოქმედების ვადას ეხება. ძველი რედაქციით, კანონი გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო. ახალი ვარიანტით კი, კანონი 15 ოქტომბერს უნდა შევიდეს ძალაში. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება – პრეზიდენტის მიერ დაწუნებული კანონპროექტი პარლამენტმა უნდა განიხილოს, ეს კი საშემოდგომო სესიის გახსნამდე წარმოუდგენელია, თუ, რა თქმა უნდა, შევარდნაძემ, სპეციალურად ამ საკითხის გამო, რიგგარეშე სესია არ დანიშნა, რაც ნაკლებ მოსალოდნელია. ასე რომ, კანონპროექტის ხელახალი განხილვის პერიოდში მისი ამოქმედების ვადა შეიძლება კიდევ შეიცვალოს.

"24 საათი," საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მომდევნო ნომერში ისევ დაუბრუნდება მარეგულირებელი კომისიების შესახებ კანონპროექტის განხილვას.



*მარიამ ცაცანაშვილი*



*სულხან მოლაშვილი*

ბესო გულაშვილის ფოტო

## რატომ მცირდება საქართველოში ექსპორტი

გვანცა კვინიკაძე

*შარშანდელი წლიდან მოყოლებული, საქართველოს ექსპორტი მუდმივად კლებულობს. 2001 წელს, წინა წელთან შედარებით, ექსპორტი ცხრა მილიონი დოლარით შემცირდა. წლევანდელი წლის პირველ ხუთ თვეში კლების ტემპი უფრო გაიზარდა და 10 პროცენტს გადააჭარბა. ხელისუფლება ექსპორტის კლების ტენდენციას საკმაოდ ბუნდოვან ახსნას აძლევს. დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით კი, მართალია, არც ისე სერიოზული მასშტაბებით, მაგრამ საბაჟოზე ექსპორტის დაფარვაც ისევე ხდება, როგორც იმპორტისა.*

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობისა და მაისში ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის გარეშე) 2002 წლის იანვარ-მაისში 396.7 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი - 112.8 მილიონი, ხოლო იმპორტი – 283.9 მილიონი დოლარი იყო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვამ 4.2%-ით იკლო. ეს იმის შედეგია, რომ შემცირდა როგორც იმპორტის (1.4 პროცენტით), ასევე - ექსპორტის (10.4 პროცენტით) მოცულობა. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის, **რომან გოცირიძის** განცხადებით, სავაჭრო ბრუნვის შემცირებას თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, იმპორტის შემცირება კონტრაბანდის ზრდაზე მიანიშნებს. ექსპორტის კლებას კი, უმთავრესად, მაისის ენერგეტიკულმა კრიზისმა შეუწყო ხელი, რომლის გამოც შემცირდა წარმოების და, შესაბამისად, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობები. გოცირიძის აზრით, გარკვეული წვლილი ამ შემცირებაში ქართული პროდუქციის ძირითად საექსპორტო ბაზრებზე (რუსეთი და თურქეთი) გატანის მხრივ წარმოქმნილმა პრობლემებმაც შეიტანა. საქმე ისაა, რომ თურქეთში ფინანსური კრიზისი მძინვარებდა, რუსეთის სამხრეთით კი წყალდიდობა იყო, რის გამოც სახმელეთო მიმოსვლა საქართველოსთან შეწყდა. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, საპარლამენტო ოფისის ხელმძღვანელი არც იმას გამორიცხავს, რომ ექსპორტის რეალური მოცულობა საქართველოში იფარება.

ექსპორტის შემცირებაში უმთავრესად "დამნაშავედ" სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორს, მოცულობის დაფარვას, მიიჩნევს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის წამყვანი ექსპერტი, **ვლადიმერ პაპავა**. მისი განცხადებით, ექსპორტის კლების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა. პაპავას აზრით, საბაჟოზე ექსპორტის რეალური მოცულობის დაფარვა იმ მეწარმეების ინტერესებში შედის, რომლებსაც პროდუქცია ნაწარმოები აქვთ არალეგალურად, იმპორტირებული ნედლეულით. ასეთი პროდუქციის ნაწილი ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი, ნაწილი კი – ექსპორტზე გადის. ცხადია, რომ არალეგალური წარმოშობის საქონლის ლეგალიზება მეწარმისთვის არახელსაყრელია და ამიტომ "მარცხენა" პროდუქცია "მარცხენადვე" რჩება. გარდა ამისა, პაპავას აზრით, ექსპორტის მოცულობა რეალურად რომ შემცირებულიყო, ეს ლარის გაცვლით კურსზეც აისახებოდა.

საკმაოდ საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ოპერაციებში. ოფიციალური ინფორმაციით, ევროკავშირი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის დსთ-ს შემდეგ და იქ, ძირითადად, კაკლის, დაუმუშავებელი ალუმინის, სპილენძის, შავი ლითონის ჯართის, ოქროს, სასუქების, ძვირფასი ლითონების კონცენტრატების, მინერალური წყლებისა და ხილის წვენების ექსპორტი ხორციელდება. 2001 წელს ევროკავშირზე ჩვენი ქვეყნის ექსპორტის 18 პროცენტი მოდიოდა. ეს თანხობრივად, დაახლოებით, 58 მილიონ დოლარს შეესაბამება. ამავე დროს, ევროკავშირის მონაცემებით, საქართველოდან იმპორტმა ამ გაერთიანების ქვეყნებში თითქმის 200 მილიონ ევროს მიაღწია. განსხვავება საკმაოდ სოლიდურია და, ცხადია, რომ ექსპერტებიც ევროსტრუქტურების მონაცემებს უფრო ენდობიან, ვიდრე საქართველოსას, რომელსაც აღრიცხვიანობის მხრივ სერიოზული პრობლემები აქვს.

ოფიციალურად ექსპორტის შემცირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სახელდება საექსპორტო დარგის საწარმოების ენერგომომარაგებაში არსებული პრობლემები. თუმცა ყველა საწარმოს მიმართ ასეთი მიდგომა არამართებული იქნება. გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი, **სანდრო თვალჭრელიძე,** სხვა ფაქტორებთან ერთად ასახელებს სპილენძისა და სხვა მადნის კონცენტრატების საბაზრო ფასების ცვალებადობას, თურქმენეთისთვის შეკეთებული თვითმფრინავების შეკეთების პროცესის დაუსრულებლობასა და თხილის სეზონის ჯერ არდაწყებას. ეს ის პროდუქციაა, რომელიც საქართველოს ძირითად საექსპორტო ჯგუფებში შედის. თუმცა იგი და მისი კოლეგა ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ საბაჟოზე ადმინისტრირების მხრივ პრობლემების არსებობა კორუფციას უკავშირდება.

## Apple Computer-ი iMac-ის ახალ მოდელს უშვებს

მომავალ კვირას, ნიუ-იორკში, Macworld Expro-ს გამოფენაზე კომპიუტერების მწარმოებელი კომპანია Apple Computer-ი წარადგენს iMac-ის ახალ მოდელს. ახალი iMac Apple-ი საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურება, კომპიუტერს 17 დიუმიანი (1 დიუმი-2,54 სმ) თხევადი კრისტალური დისფლეი(LCD) აქვს და მონიტორი მკლავის მსგავსი მოყწობილობითაა დამაგრებული ნახევრადსფერულ დგამზე. კომპანია ამ მოდელზე ოთხი წელი მუშაობდა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ანლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ Apple Computer-ისთვის 17 დიუმიანი ახალი მოდელის გამოშვება საკმაოდ წარმატებული ბიზნესი იქნება, რადგან მომხმარებლის მოთხოვნა დიდეკრანიან კომპიუტერებზე იზრდება.

iMac LCD-ის წინა 15 დიუმიანი მოდელის ფასი 453 აშშ დოლარია, როცა ახალი 17 დიუმიანი მოდელი 688 დოლარი ღირს. ექპერტები მიიჩნევენ, რომ მომხმარებლისთვის 200 დოლარიან სხვაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, თუ ფასები რეალურია.



# უკრაინას ნატო-ში გაწევრიანება სურს

"უკრაინის სრული ინტეგრირება ნატო-ში ნაკარნახევია ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის რეალობით, განსაკუთრებით, 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ," – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა კუჩმამ. "ჩვენ ვიცით, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია და მზად ვართ, ამისათვის ყველაფერი გავაკეთოთ, რაც შესაძლებელია". პრეზიდენტის ეს განზრახვა სრულად გაიზიარა უკრაინის უმაღლესი რადის (პარლამენტის) სპიკერმა, ვოლოდიმირ ლიტვინმა, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის ხალხი და პარლამენტი ერთხმად უჭერს მხარს ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ უკრაინის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ ივლისში დაგეგმილი ნატო-ს გენერალური მდივნის, ლორდ რობერტსონის ვიზიტის დროს, კიევი ოფიციალურად განაცხადებდა თავის განზრახვას ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. საბჭოს მდივნის, მარჩუკის განცხადებით, სრულიად მიზანშეუწონელი და საზიანო იქნება, თუ უკრაინა გააგრძელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, რომელსაც იგი აქამდე ატარებდა.

რობერტსონის რეაქცია ამ განცხადებაზე დადებითი, მაგრამ თავშეკავებული იყო: "ჩვენ რეალისტები და მოთმინებით აღსავსენი უნდა ვიყოთ. ეს ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, მაგრამ უკვე მიღწეულია უზარმაზარი წარმატებები." ბრიტანელი ლორდის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ეს პროცესი წარმატებით დაგვირგვინდება.

ნატო-ს ხელმძღვანელის თქმით, უკრაინასთან ურთიერთობების განვითარება ხელს არ შეუშლის რუსეთთან კავშირების განმტკიცებას. თუმცა, ასეც რომ იყოს, უკრაინასთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია ალიანსისთვის, ვიდრე რუსეთთან, განსაკუთრებით, სამხედრო პარტნიორობისა და სამშვიდობო ოპერაციების თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ ქვეყანა მზად იყოს ნატო-ში გაწევრიანებისათვის, აუცილებელია ეკონომიკურ, სოციალურ და თავდაცვის სფეროში სერიოზული რეფორმების გატარება. თავდაცვითი რეფორმები უფრო პატარა, მობილური და მუდმივ მზადყოფნაში მყოფი ნაწილების შექმნას მოიცავს. ისინი მზად უნდა იყვნენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გადასროლისათვის.



რობერტსონი უკრაინაში ჩავიდა REUTERS

წევრობის კანდიდატებისაგან ნატო, აგრეთვე, მკაცრად მოითხოვს ყველა ტერიტორიული დავის მოგვარებას. ამჟამად, უკრაინის მიმართ პრეტენზიები აქვს რუმინეთს, რომელიც მას დუნაის შესართავში მდებარე კუნძულ ზმეინის ედავება.

თუ უკრაინას სურს, რომ ნატო-მ ამ ქვეყნის კანდიდატურა სერიოზულად განიხილოს, მან აუცილებლად უნდა გააუმჯობესოს ვითარება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისითაც. არადა, ამ მხრივ უკრაინაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უკრაინის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებებისა, ფორმალურად, გაწევრიანების შესახებ განაცხადი უკრაინას ჯერ არ გაუკეთებია. ამგვარ განაცხადს უნდა მოჰყვეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (მაპ) შემუშავება, რომლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ ქვეყანა ნატო-ს წევრი ხდება. პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის შემთხვევაში ამ მოთხოვნების შესრულებას 6 წელი დასჭირდა (1993-დან 1999 წლამდე). უკრაინა ნატო-ს სტანდარტებისაგან კიდევ უფრო შორსაა.

როგორც ნატო-ს გაფართოების იდეის ერთ-ერთმა ავტორმა, რობერტ ჰანტერმა გაზეთ "24 საათს" განუცხადა, პრინციპში, ალიანსი ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების სურვილს, უფრო სწორად, თვითონ ეს ქვეყნები მოითხოვდნენ დაჟინებით ალიანსში ინტეგრირებას. ეს სახელმწიფოები, რომლებიც ყოველთვის ორ დიდ მტაცებელს - რუსეთსა (სსრკ-სა) და გერმანიას (პრუსიას) შორის იყვენ მოქცეული, ყველაზე მეტად საჭიროებენ (ან ჰგონიათ, რომ საჭიროებენ) უსაფრთხოების გარანტიას, არადა, ნატო-ში გაწევრიანება, პრაქტიკულად, სრული გარანტიაა იმისა, რომ ქვეყნის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას საშიშროება არ დაემუქრება. შეგახსენებთ, რომ ნატო-ს ქარტიის თანახმად, ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა მთელ ალიანსზე შეტევად ითვლება.

უკრაინის შესაძლო გაწევრიანებაზე კომენტირებისას ზბიგნევ ბჟეჟინსკიმ განაცხადა, რომ უკრაინასთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ბალკანეთსა და, მთლიანად, აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის აუზში სტაბილურობის დამყარებასა და, აგრეთვე, ბელარსში შესაძლო დესტაბილიზაციის თავიდან აცილებას. თუმცა, ნატო წითელი ჯვარი არ არის და მას ძალზე მკაცრი მოთხოვნები აქვს.

# აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის კორუფციაში ადანაშაულებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯუდიშიალ უოჩმა" (სიტყვა-სიტყვით: იურიდიული მეთვალყურე) გადაწყვიტა, სასამართლოში უჩივლოს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის. ორგანიზაცია ჩეინის 90-იან წლებში, სანავთობო აღჭურვილობის მწარმოებელი კომპანია "ჰალიბარტონის" სათავეში ყოფნის დროს საბუღალტრო დოკუმენტაციის გაყალბებაში ადანაშაულებს. როგორც უკანასკნელ დროს აგორებულმა კორპორატიული სკანდალების ტალღამ დაადასტურა, დიდი ამერიკული კორპორაციები სისტემატურად "ზერავდნენ" თავიანთ შემოსავალს, რათა აქციების მაღალი კურსი შეენარჩუნებინათ. კომპანიის აღმასრულებელ დირექტორებს, რომელთა ანაზღაურებაც პირდაპირ იყო დამოკიდებული კომპანიის შემოსავალზე, დამატებითი სტიმული ჰქონდათ, ყალბი ციფრები გამოექვეყნებინათ. ამაში მათ სისტემატურად უწყობდნენ ხელს ბუღალტრული და აუდიტორული ფირმები, მათ შორის, ისეთი გიგანტები, როგორიცაა, მაგალითად, "არტურ ანდერსენი."

სამოქალაქო-სამართლებრივი საქმე "ჰალიბარტონისა" და "ანდერსენის" წინააღმდეგ დალასის (ტეხასი) სასამართლოში "ჰალიბარტონის" ორი აქციონერის მიერ აღიძრა, რომლებმაც, ჩეინის უპატიოსნო საქციელის წყალობით, დიდი ფული დაკარგეს.

უკვე სერიოზული ბრალდებები გაისმის პრეზიდენტ ბუშის მისამართითაც, რომელსაც აბრალებენ, რომ 80-იან წლებში, ტეხასური ნავთობკომპანია "ჰარკენ ენერჯის" დირექტორად ყოფნისას, დაინახა რა, რომ კომპანიის საქმე ცუდად მიდიოდა, უკანონოდ გაყიდა თავისი აქციები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა "ჰარკენის" მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თეთრი სახლი, როგორც პრეზიდენტის, ისე ვიცე-პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ბრალდებას უარყოფს.

რესპუბლიკური პარტია, რომელსაც ეკუთვნიან ბუშიცა და ჩეინიც, მჭიდროდაა დაკავშირებული დიდ ბიზნესთან, ამიტომ სკანდალების ტალღა პირდაპირ უტყამს ამ პარტიის რეპუტაციას. ბუშის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რომელიც პირველი პრეზიდენტია, ვისაც სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის ადმინისტრაციაში აქვს მიღებული, ეს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა. პარასკევს ბუში უოლ-სტრიტზე სიტყვით გამოვიდა და დიდ კორპორაციებს პატიოსანი ბიზნესისაკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მკაცრი სანქციებით დაემუქრა. ოპონენტებმა პრეზიდენტის გამოსვლა მწვავედ გააკრიტიკეს, როგორც კონკრეტულ შინაარსსა და მოქმედების გეგმას მოკლებული. არადა, კორპორაციებისადმი ნდობის დაცემის გამო, ამერიკის ეკონომიკა უკვე ათეულობით მილიარდ დოლარს კარგავს.

# „ალ-ქაედას„ ახალი მუქარა

არაბულენოვან მედიაში გავრცელდა "ალ-ქაედას" ახალი განცხადებები, რომლებშიც ტერორისტული ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ "ალ-ქაედას" ჯგუფი წარმატებულად ფუნქციონირებს და ახალ ოპერაციებს გეგმავს.

პირველი განცხადების ავტორი არის ქუვეითში დაბადებული სულეიმან აბუ ღაითი. მისი ინტერვიუს ნაწყვეტი სამშაბათს ალჟირულ ყოველდღიურ გაზეთ "ელ იოუმში" დაიბეჭდა. გაზეთის რედაქტორის განცხადებით, ინტერვიუ კვირას ორი შუამავლის მეშვეობით მომზადდა. აღსანიშნავია, რომ ღაითი "ალ-ქაედას" ორი კვირის წინ გაკეთებული განცხადების ავტორიცაა, რომელშიც მან აღნიშნა, რომ უსამა ბინ ლადენი ცოცხალია.

რაც შეეხება მეორე განცხადებას, იგი "ალ-ქაედას" წარმომადგენელმა ლიბიელმა აბუ ლაითმა გააკეთა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის სამაუწყებლო კორპორაციის ეთერით გადაიცა. ტელევიზიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აბუ ლაითის ინტერვიუს აუდიოჩანაწერი ალ-საჰაბის მედიაპროდუქციის ინსტიტუტისგან მიიღეს. ალ-საჰაბის ინსტიტუტმა "ალ-ქაედას" მიერ გაკეთებული წინა განცხადებებიც მოიპოვა და თავის ვებ-გვერდზეც განათავსა.

ალჟირულ გაზეთში აბუ ღაითის შემდეგი განცხადება დაიბეჭდა: "ალ-ქაედა" ამერიკის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ უფრო მეტ ტერორისტულ აქტებს მოაწყობს - ჩვენს მიერ არჩეულ დროს, ჩვენს მიერ არჩეულ ადგილას და ჩვენი მიზნების შესაბამისად. "ალ-ქაედა" თავის სამხედრო, უსაფრთხოების, ეკონომიკურ და საინფორმაციო სტრუქტურებს კვლავ ინარჩუნებს".

აბუ ლაითის განცხადებით კი, "ალ-ქაედამ" ბრძოლის მეთოდების შეცვლა დაიწყო - იერიშებსა და მკვლელობებზე გადავიდა და "ღვთის დახმარებით ამაში წარმატებასაც მიაღწია". ლაითი აცხადებს, რომ "ალ-ქაედას" ტერორისტული ჯგუფი პარტიზანული ომისთვის ემზადება.

ბოლო პერიოდში "ალ-ქაედას" მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ოპერაციები, რომლებიც სპეცსამსახურებმა ჩაშალეს, ცხადყოფს, რომ ორგანიზაციას ტერორისტული ოპერაციების დაგეგმვის უნარი კვლავ შესწევს. (Associated Press)

# თეთრი სახლი სადამ ჰუსეინის შესაცვლელად სამხედრო ოპერაციას გეგმავს

კობა ლიკლიკაძე,

პრაღიდან, "რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისათვის"

***ოთხი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს, როგორც თავად აცხადებს, "რეჟიმის შეცვლას" ერაყში. ორშაბათს აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა ამგვარი პოლიტიკის არსებობის შესახებ რამდენჯერმე არაორაზროვნად მიანიშნა. გაურკვეველი მხოლოდ ისაა, თუ როგორ აპირებს ვაშინგტონი ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის შეცვლას, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი არჩევანი სამხედრო ოპერაციაზე შეჩერდა. საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციაში სერიოზული უთანხმოება არსებობს, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს ჩანაფიქრი.***

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ცდილობს, უფრო კონკრეტული ფორმულირება მოუძებნოს თეთრ სახლში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი უნდა შეიცვალოს. ორშაბათს თეთრ სახლში გამართული პრესკონფერენციის განმავლობაში, ბუშს რამდენჯერმე მოუხდა, ეპასუხა შეკითხვისთვის, კვლავაც რჩება თუ არა იგი ამ აზრზე, რაზეც პრეზიდენტმა დადებითი პასუხი გასცა და დასძინა:

**"ჩვენი მთავრობის სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ ეს რეჟიმი უნდა შეიცვალოს. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას გამოვიყენებთ."**

აღსანიშნავია, რომ ეს პოლიტიკა ძალაში ჯერ კიდევ სპარსეთის ყურის ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, უფროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს შევიდა. მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, თეთრი სახლის კედლებში არ წყდება დავა, თუ როგორ ჩამოაშორონ სადამ ჰუსეინი ძალაუფლებას, მაშინაც კი, თუ ამერიკა პრობლემის გადაჭრას სამხედრო გზით შეეცდება.

ანალიტიკოსების თქმით, ამ საკითხთან მიმართებაში უმცროსი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში ორი ალტერნატიული მოსაზრება განიხილება. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ერაყის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს და სადამ ჰუსეინის სამხედრო ძალას დაუპირისპირდეს მრავალრიცხოვანი ამერიკული საჯარისო კონტინგენტი, რაც ერაყის დიქტატორის მმართველობის დასასრულს უზრუნველყოფს. მეორე მოსაზრება კი უპირატესობას არაპირდაპირ სამხედრო ჩარევას, ე.წ. "ავღანურ ვარიანტს" ანიჭებს. ამ ვერსიის მომხრეები დარწმუნებულნი არიან, რომ უფრო ეფექტური იქნება სამხედრო ძალის შექმნა ერაყის ოპოზიციის შიგნით, რომელსაც ხმელეთზე ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური ძალები, ხოლო ჰაერიდან, წერტილოვანი დარტყმებით, სამხედრო ავიაცია დაუჭერს მხარს.

დიდი ხანია, ცნობილია, რომ ბუშის ადმინისტრაციაში ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რომელ მეთოდზე შეაჩერონ არჩევანი. ამ დაუფარავი უთანხმოების შესახებ ინფორმაციამ გასულ კვირას პრესაშიც გაჟონა. საუბარია 5 ივლისს "ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ საიდუმლო სამხედრო გეგმის შემცველ დოკუმენტზე, რომელიც ცხადყოფს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია უპირატესობას პირველ ვარიანტს - ერაყის წინააღმდეგ მასიურ სამხედრო იერიშს ანიჭებს.

გაზეთის თქმით, ამ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი მათ გადასცა პირმა, რომელიც მისი ვინაობის საიდუმლოდ შენახვას დაჟინებით მოითხოვდა. თავად ინკოგნიტო რესპონდენტი იმედგაცრუებული ყოფილა იმით, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თავისი არჩევანი პირველი ვარიანტის სასარგებლოდ გააკეთა და უგულებელყო განვლილი ათი წლის განმავლობაში შემუშავებული სამხედრო ტაქტიკა.

ნიშანდობლივია, რომ პრესაში ამ ანგარიშის გამოქვეყნება ბუშის ადმინისტრაციაში ანტიტერორისტულ სამხედრო ოპერაციებზე პასუხისმგებელი პირის, გენერალ უეინ დაუნინგის გადადგომას დაემთხვა. თუმცა, ჯერჯერობით არც თეთრი სახლი და არც თავად დაუნინგი ამ გადადგომის მიზეზს არ ახმაურებენ. მაგრამ, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, გენერალი გულმხურვალედ ემხრობოდა სწორედ იმ ვარიანტს, რომელიც ერაყელი დიქტატორის წინააღმდეგ ოპოზიციის სამხედრო რესურსის უფრო აქტიურად გამოყენებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ასეთსავე მიდგომას გადაჭრით ემხრობა ერაყის უდიდესი ოპოზიციური დაჯგუფების, ლონდონში მოქმედი ეროვნული კონგრესის ლიდერი აჰმედ ჩალაბი.

ოპოზიციაზე დაყრდნობას ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიიჩნევს ექს ვიცე-პრეზიდენტ ალ გორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, ამჟამად კი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ლეონ ფორტი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ოპოზიცია ნაკლებად სანდო და მოუმზადებელია, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამერიკის მხრიდან, მთავარი აქცენტის გადატანა მხოლოდ კარგად გაწვრთნილ და ლოიალურ საჯარისო ქვედანაყოფების გამოყენებაზე, გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა.

**"ჩვენი არჩევანი დამარცხება არ უნდა იყოს. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ასეთ ნაბიჯს გადავდგამთ, მას ზურგს სერიოზული სამხედრო ძალა უნდა უმაგრებდეს",** - აცხადებს ლეონ ფორტი.

თუმცა, როგორც ირკვევა, თეთრი სახლის წინაშე მდგარი პრობლემა მხოლოდ მეთოდის არჩევით არ ამოიწურება. ლეონ ფორტის თქმით, ამერიკის ადმინისტრაციას ასევე მოუწევს ერაყზე ცალმხრივი იერიშის აუცილებლობა საერთაშორისო საზოგადოებას და, უპირველ ყოვლისა, გაეროს უშიშროების საბჭოს დაუსაბუთოს.

მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო დოკუმენტის ცალკეული პუნქტების პრესაში გაჟონვამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალ სკანდალს დაუდო სათავე, ანალიტიკოსების თქმით, ეს ხმაური ძალიან წააგავს "ქარიშხალს ჭიქა წყალში." რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრეზიდენტი ბუში მართლა უჭერს მხარს ამ ვარიანტს, ასეთი იერიში ერაყის წინააღმდეგ უახლოეს ერთ წელიწადში შეუძლებელი ჩანს.

# ეჯევითის მთავრობის ბედი კვლავ გაურკვეველია

ოთხშაბათს თურქეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომა გაიმართა, რომლისგანაც ბევრი ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას მოელოდა, მაგრამ ამაოდ. თუმცა, თურქულმა გაზეთმა, "მილიიეთმა" არჩევნების საკითხთან დაკავშირებით ეჯევითის სიტყვები გამოაქვეყნა: "სამპარტიანი კოალიციის ლიდერებმა, შესაძლოა, არჩევნების დღე გაარკვიონ. ეს, შეიძლება, მოხდეს არა 2004 წლის აპრილში (როცა პარლამენტის მანდატი იწურება), არამედ მანამდეც". ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეჯევითმა აღიარა, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება შესაძლებელია.

ჯერ კიდევ სამშაბათს თურქეთის 77 წლის ავადმყოფმა პრემიერ-მინისტრმა, ბულენთ ეჯევითმა ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელს, ერდოგანს განუცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს და დაასახელა იმ პირების სახელები, რომლებიც გადამდგარ მინისტრებს შეცვლიან. (Reuters)

## თურქეთი კატასტროფის ზღვარზე

მინისტრების გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნების შედეგად თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის 3-პარტიან კოალიციას დაშლა ემუქრება. არჩევნებმა, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის 16 მლრდ. დოლარიანი საკრედიტო გეგმა, რომელიც ქვეყნის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანას ისახავს მიზნად.



დემოკრატიული მემარცხენე პარტიის ლიდერი ეჯევითი, 77 წლის. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად გადადგომაზე უარს ამბობს.

**კოალიციური მთავრობა:**



დემოკრატიული მემარცხენე პარტია, დმპ

ეროვნული ქმედების პარტია, ექპ

"დედა სამშობლოს" პარტია

**8 ივლისი:** ეჯევითის მთავარი მოკავშირე, ვიცე-პრემიერი ჰუსამეთინ ოზქანი და 5 მინისტრი გადადგა

**პარლამენტი:** დაახლოებით 30-მა დეპუტატმა დმპ-ს რიგები დატოვა. ექპ-ს, რომელიც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს, პარლამენტში უმრავლესობა აქვს.

**თურქეთის 550 -ადგილიანი პარლამენტი, 1999წ. აპრილი.**




ისლამისტური პარტია ივნისში აკრძალეს. ისლამისტური პარტიის დეპუტატები ახალ პარტიაში გაერთიანდნენ, რომელიც მომავალ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე სავარაუდო კანდიდატია.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ეკონომიკური რეფორმების პროგრამა:**

**ივნისი, 1998:** სსფ იწყებს 18-თვიან პროგრამას. აწარმოებს თურქეთის დეინფლაციის გეგმის შესრულების მონიტორინგს.

**მაისი, 1999:** არჩევნების შემდეგ, ეჯევითი ნაციონალისტებისა და კონსერვატორებისგან კოალიციურ მთავრობას აყალიბებს.

**დეკემბერი:** სსფ სამწლიან კრედიტს (4 მლრდ.) ამტკიცებს გაფართოებული დეინფლაციის პროგრამის მხარდასაჭერად.

**ნოემბერი, 2000:** ანტი-კორუფციული გამოკვლევა ბანკებზეც ვრცელდება, რაც ფინანსურ ბაზრებზე შეშფოთებას იწვევს. სსფ მხარს უჭერს თურქეთის მთავრობის კრიზისის დაძლევის ინიციატივას.

**დეკემბერი:** სსფ 7,5 მლრდ. დოლარის კრედიტს ამტკიცებს ნოემბრის კრიზისის შედეგების დაძლევის მიზნით.

**თებერვალი, 2001**: თურქეთი კონტროლირებად სავალუტო რეჟიმს აუქმებს, რაც პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად შექმნილი ფინანსური კრიზისის შემსუბუქებას ისახავს მიზნად.

**15 მაისი:** სსფ ახალ 8 მლრდ. დოლარის კრედიტს გამოყოფს

თებერვალი, 2002: თურქეთი სსფ-ს სამწლიან საკრედიტო პროგრამაზე (16 მლრდ. დოლარი) თანხმდება. ამგვარად, უკვე მიღებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა 31 მლრდ. დოლარს შეადგენს. თურქეთი სსფ-ს ყველაზე დიდი დებიტორია.

**8 ივლისი:** თურქული ლირის კურსი დაეცა

**მილიონი თურქული ლირა/აშშ დოლარი ($)**




© GRAPHIC NEWS

# რუსული მასმედია დამოუკიდებლობას კარგავს

რუსეთის პრეზიდენტი, გარდა იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის ურჩ საშუალებებებს ხურავს, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად პრესასაც მკაცრი ცენზურის ქვეშ აქცევს. სხვადასხვა წყაროების ცნობით, რუსეთის მასმედიისათვის აკრძალული თემების რიცხვში შედის ინფლაცია, კორუფცია, ქვეყანაში ბირთვული ნარჩენების შემოტანა, ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გამოსვლები და, რასაკვირველია, ჩეჩნეთის ომი.

იმისათვის, რომ ცენზურა დაიცვას, უზრუნველყოს მასმედიის დადებითი გამოხმაურება მომავალი არჩევნების წინ და, საერთოდ, შეინარჩუნოს მკაცრი კონტროლი ინფორმაციაზე, კრემლი უშიშროების მაღალი რანგის ოფიცრებს პრესასა და ტელევიზიაში მაღალ პოსტებზე ნიშნავს.

პირველი მერცხალი იყო საგარეო დაზვერვის სამსახურის გენერალი კობალაძე, რომელიც საინფორმაციო სააგენტო "იტარ-ტას"-ის გენერალური დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. მას მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერლის, აქსიონოვის "ტვ-7"-ის შეფად გადაყვანა. უშიშროების ფედერალური სამსახურის ანტიტერორისტული სამსახურის ერთ-ერთი დამაარსებელი, გენერალი ვლადიმირ კოზლოვი ინფორმაციის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, ხოლო გენერალი მანილოვი, თავდაცვის სამინისტროდან, რომელმაც სახელი ჩეჩნეთში რუსი ჯარისკაცების გმირული გამარჯვებების აღწერით "გაითქვა", ჟურნალისტების გაერთიანება "მედიასოიუზში" გადაისროლეს.

დანიშვნების ამ სერიაში ბოლო და ჯერჯერობით ყველაზე სერიოზული ნაბიჯი იყო უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გენერალ ზდანოვიჩის დანიშვნა რუსეთის სახტელერადიოკორპორაციის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე.

ამ დანიშვნების ფონზე აშკარად ჩანს, ვინ დგას იმ ანტიქართული კამპანიის უკან, რომელიც რუსულ მასმედიაში, უკვე წლებია, მძვინვარებს და სულ უფრო შეურაცხმყოფელ ხასიათს იძენს. ამასთანავე, როგორც "24 საათთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს ელჩმა რუსეთში, ზურაბ აბაშიძემ, ყოველგვარი მცდელობა იმისა, რომ რუს პუბლიკას გააცნო საკუთარი, რუსეთის ხელისუფლებისაგან განსხვავებული, აზრი, თუნდაც კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სრულიად ამაოა.

# ევროსაბჭოს მომხსენებელს აზერბაიჯანში არ უშვებენ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელი ანდრეას გროსი არ ჩავა აზერბაიჯანში – ამის შესახებ განაცხადა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ველაიეთ გულიევმა. მისი თქმით, გროსი ცალმხრივი და მიკერძოებულია. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი, აგრეთვე, ამბობს, რომ მისი მთავრობის ამგვარი ქმედება არ შებღალავს ქვეყნის რეპუტაციას. თუ გროსი ეცდება დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებას აზერბაიჯანში შესვლის უფლების მისაღებად, მას პერსონა ნონ გრატად გამოაცხადებენ.

გროსის "ცალმხრივობა და მიკერძოებულობა" იმაში გამოიხატება, რომ იგი აზერბაიჯანში პოლიტპატიმრების არსებობას ადასტურებს და მათ ამნისტიას მოითხოვს, მაშინ როდესაც პრეზიდენტი ალიევი "სინდისის პატიმრების" არსებობას კატეგორიულად უარყოფს.

გროსსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის უთანხმოების სხვა მიზეზები ალიევის მესამე ვადით შესაძლო არჩევასა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებაში მდგომარეობს, რომლის თანახმადაც, პროპორციული საარჩევნო სისტემა მაჟორიტარულით შეიცვლება.

ევროსაბჭოსა და ბაქოს შორის უთანხმოება მრავალ საკითხთან დაკავშირებით არსებობს, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ აზერბაიჯანში დემოკრატიის ხარისხსა და ადამიანის უფლებების დაცვის დონეს გავითვალისწინებთ. თავის მხრივ, ბაქო უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ევროსაბჭო ყარაბაღიდან და სომხეთიდან დევნილ აზერბაიჯანელებს ლტოლვილებად არ სცნობს. გასული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გროსი აცხადებდა, რომ მსგავსი დარღვევები მას ცხოვრებაში არ ენახა.

## წაიკითხეთ ო'ჰენრი

### ურჩევენ ტაქსის მძღოლები ქალაქის ხელმძღვანელობას

თამარ მაისურაძე

ტაქსის მძღოლების მორიგი აქცია გუშინ მერიასთან დაიწყო. ქალაქის ხელმძღვანელობისგან იგნორირებულმა მძღოლებმა აქცია "რუსთავი 2-ის" ოფისის წინ განაგრძეს, იმის იმედით, რომ ხალხი ჩვენს გასაჭირს გაიგებსო. კერძო ტაქსების მფლობელები 10-ლარიანი ლიცენზიის 60 ლარამდე გაძვირების წინააღმდეგნი არიან. **"ვიღაც კაცი მოვიდა, მერიის თანამშრომლად გაგვაცნო თავი და გვითხრა, ძველი ლიცენზიის სანაცვლოდ ახალი უნდა აიღოთ, რომლის საფასურიც მერიაში უნდა გადაიხადოთ - ყოველდღე 2-2 ლარიო. ეს თვეში 60 ლარი გამოდის,"** – გვითხრა ერთ-ერთმა მძღოლმა. მათი თქმით, ამ სიახლემ საგზაო პოლიციის თანამშრომლებს სარფიანი სამუშაო გაუჩინა. **"გვაჩერებენ და ლიცენზიას გვთხოვენ. ზოგი ძველი ლიცენზიის ჩვენებით კმაყოფილდება, ერთ ტაქსისტს კი გუშინ ძველი ლიცენზია კინაღამ თავზე გადაახიეს, ვეღარაფერი გავიგეთ,"** – გვითხრეს გაუგებრობაში მყოფმა მძღოლებმა, რომლებიც ვინაობის გამხელას მოერიდნენ.

**"ო`ჰენრის ერთ მოთხრობაში კარგი შედარება აქვს. ადამიანის ასეთი ჩაგვრა, როგორც ესენი ჩვენ გვექცევიან, უფრო საშინელი დანაშაულია, ვიდრე ის, რომ ვიღაცას მოკლავ და ფულს წაართმევ. იქნებ წაიკითხონ ო`ჰენრი და ცოტა აზრზე მოვიდნენ,"** – დამოძღვრა ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობა ტაქსის მძღოლმა.

მძღოლები, როგორც თავად აღნიშნავენ, დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ეს გასაკვირი არც არის, რადგან ქალაქის ტრანსპორტის ლიცენზირების საკითხთან დაკავშირებით ისეთი ქაოსია, თავად ხელმძღვანელებიც ძლივს ერკვევიან. საგზაო პოლიციაში გვითხრეს: **"ამ განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს. ვინც თოხს გამოექცა, ყველა ტაქსზე ზის. მერიიდან დირექტივა მოვიდა, რომ ძველი ლიცენზიები უვარგისია. ასე რომ, ჩვენი ინსპექტორები ბრძანებას ასრულებენ,"** – ასე გაამართლა საგზაო ინსპექტორების საქციელი ამავე სტრუქტურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა უჩა მიშველაძემ.

"თბილტრანსის" დირექტორისგან ოთარ ჭიპაშვილისგან კი ის გავიგეთ, რომ საგზაო ბარათის, იგივე ლიცენზიის ფურცლის შეცვლა ამ სფეროში ჩრდილოვანი ეკონომიკის აღმოფხვრის მიზნით ხორციელდება, რათა კერძო ფირმებს აღარ ჰქონდეთ ყალბი საგზაო ბარათების დარიგების საშუალება. ოთარ ჭიპაშვილმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია ლიცენზიების საფასურის გაძვირების თაობაზე. თუმცა, ვერ უარყო ის ფაქტი, რომ ლიცენზიების გამცემი ფირმების საქმიანობა საეჭვოა და გაკონტროლებას საჭიროებს.

როგორც მძღოლები ამბობენ, ქალაქში 20 ათასი ტაქსი მოძრაობს. მათ უკან, სულ ცოტა, 80 ათასი ადამიანი დგას. **"ერთ-ორ დღეს კიდევ დავიცდით. თუ არ გაირკვევა ყველაფერი და პრობლემას ჩვენს სასიკეთოდ არ მოევლება, უფრო მასშტაბურ გამოსვლებს მოვაწყობთ და ქუჩაში მთელი შემადგენლობით გამოვალთ,"** – ამბობენ მძღოლები.

## სომეხი სპეციალისტი საქართველოში სომხური ძეგლების მდგომარეობით აღფრთოვანდა

საქართველოში იმყოფება სომხეთის ძეგლთა დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე გავიკ გურჯიანი, რომელმაც მოინახულა საქართველოში არსებული სომხური კულტურის ძეგლები.

როგორც საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ტრაპაიძემ განაცხადა, გავიკ გერჯიანი დარწმუნდა, რომ საქართველოში სომხურ ძეგლებს საფრთხე არ ემუქრებათ. უფრო მეტიც, ძეგლთა დაცვის სომეხი სპეციალისტი სომხური ძეგლების მდგომარეობით აღფრთოვანდა. იგი აპირებს, სომხეთში ჩასვლისთანავე, გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოში სომხურ ძეგლებს უდიერად არავინ ექცევა.

კახა ტრაპაიძის თქმით, თითქმის ერთი წლის წინათ, ევროსაბჭოში ძეგლთა დაცვის სპეციალისტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს საქართველოში სომხური ძეგლები ზიანდება. კახა ტრაპაიძე ასეთ განცხადებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

*მედია-ნიუსი.*



## ინფორმაციული ვაკუუმის „გარღვევა" და „ქველმოქმედი" ჯონდი ბაღათურია

ნანა ქადაგიშვილი

მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა უკვე პანიკამ მოიცვა. უბინაოდ დარჩენილი, კარვებში თავშეფარებული მოქალაქეები ზამთრის დადგომას შიშით ელიან. თუმცა, მათთვის არც ზაფხულია უსაფრთხო. კარვებსა და სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც დაზარალებულები კომპაქტურად შეასახლეს, ეპიდემიის გავრცელების დიდი რისკია. მოქალაქეთა შეშფოთებას ისიც აძლიერებს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ბევრს არაფერს აკეთებს.

წინა მოწვევის საკრებულოს გუშინდელი სხდომის მიზეზი სწორედ ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა გახლდათ. საკრებულოს წევრებმა მერიას გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების ანგარიში მოსთხოვეს. **"ამ შენობაში შემოსვლის უკვე მრცხვენია. მერიის შესასვლელთან შეკრებილ მოქალაქეებს თვალებში ვეღარ ვუყურებ. ზოგიერთი ჩვენგანი შენობაში უკანა კარიდან შემოდის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. მოსახლეობას უნდა გავაგებინოთ, რას გავუკეთებთ და რას – ვერა. სხვა თუ არაფერი, უბინაოდ დარჩენილი ხალხისთვის თავშესაფარი მაინც გამოვძებნოთ,"** – კატეგორიულად განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ და ქალაქის ხელმძღვანელობას იდეაც შესთავაზა, ვაშლიჯვრის ოფისი, რომელიც პოლიტიკოსებს დღემდე ვერ გაუყვიათ, დაზარალებულ მოქალაქეებს გადავცეთ, ეს შენობა მაინც ხალხის ფულით არის აშენებულ-გარემონტებულიო.

ყოფილი საკრებულოს წევრებმა მერიის ხელმძღვანელობას უბინაოდ დარჩენილი მოსახლეობის თავშესაფრების სანიტარული მდგომარეობის შემოწმებაც მოსთხოვეს. **"ეს ადამიანები ეპიდემიისგან დაზღვეულები არ არიან. სანამ დროა, ამ საკითხს მიხედეთ, თორემ თუ ეპიდემია გაჩნდა, ვერც პრეზიდენტის ოჯახი გადარჩება,"** – გააფრთხილეს ქალაქის სანიტარებმა თბილისის ხელმძღვანელობა. სხდომის წევრებმა მერიას მოსახლეობისთვის სისტემატური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაც ურჩიეს. ქალაქის ხელმძღვანელობას რჩევა ჭკუაში დაუჯდა და თბილისის ვიცე-პრემიერმა დავით ღვინიაშვილმაც "გაარღვია ვაკუუმი", მერიისა და გამგეობების მიერ გატარებული ღონისძიებები ჩამოთვალა და ჩვენც შევიტყვეთ "ახალი ამბები", რომ **"მიწისძვრის შემდეგ 15 ათასი ავარიული შენობა შემოწმდა. მათგან 510-ის აღდგენა შეუძლებელია, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევის რაიონებში"** და ასე შემდეგ.



*ჯონდი ბაღათურია* — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## სექტემბრის მერე გამოიარეთ

თამარ მაისურაძე

კომისიის დასკვნა, განცხადება და ფორმა № 1 - მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში ამ სამი საბუთის წარდგენა, დახმარების მისაღებად გასავლელი გზის პირველი ეტაპია. ეს ეტაპი, მიწისძვრით დაზარალებულმა მოსახლეობამ არაერთხელ გაიარა, ჯერ იყო და თავიანთი საცხოვრებელი რაიონის გამგეობაში სთხოვდნენ საბუთების მიტანას, ახლა კი, ეს უკანასკნელნი, მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების სალიკვიდაციო კომისიაში დარბიან. ერთი სიტყვით, მიწისძვრიდან დღემდე, შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულთა საბუთებიც არ არის წესრიგში. ასე რომ, რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ არავის დახმარებიან. თუმცა, შემდეგ ეტაპზე გადასვლის მცდელობა უდავოდ არის. ერთი სიახლის თქმა შეიძლება - იმ 60 ბინიდან, რომელიც უკვე რამდენი ხანია ფონდს საყიდლად აქვს შერჩეული, დღევანდელი მონაცემებით, 11 ბინაა ნაყიდი. თუმცა, აქ ჯერ ვერავის ასახლებენ. **" ამ ბინების განაწილების წესი ერთ კვირაში შემუშავდება. ამასობაში მფლობელები ბინებსაც დაცლიან,"** – გვითხრა მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების კომისიის წევრმა, დავით ქოქოსაძემ. როგორც გაირკვა, მიწისძვრისგან დაზარალებულების 19 კატეგორიაა დადგენილი. აქედან, ვინ იქნება ის 11 ბედნიერი, ქალაქის მერის გადასაწყვეტია. როგორც "თბილქალაქპროექტის" შენობაში მყოფმა კომისიის წევრებმა გვითხრეს, უპირველესად, ცდილობენ მესამე კატეგორიაში მოხვედრილი მოსახლეობის დახმარებას. ამდენად, იძულებულნი არიან, რომ პირველ და მეორე კატეგორიად შეფასებული სახლების მკვიდრნი სექტემბრამდე დაითხოვონ. **"კი მაგრამ, რომ გვეუბნებიან, სექტემბერში მოდითო, ჩემი სახლი ნელ-ნელა ინგრევა, თავიდანვე რომ გაემაგრებინათ, დანგრევას გადავურჩებოდით. მეორე კატეგორია ვიყავი, წვიმების შემდეგ მესამე კატეგორიაში გადამიყვანეს. იცით, აქ რამდენია ჩემნაირი?"** – გვითხრა ნანული გოგიაშვილმა.

კომისიის შენობაში მისული გამწარებული მოსახლეობისგან რას არ გაიგებთ, რას არ მოისმენთ, ტყუილს თუ მართალს. **"ამერიკა, რუსეთი და გერმანია გვეხმარება. გერმანიამ ჩვენთვის 60 მილიონი გამოაგზავნა, ამათ კიდევ ჩვენთვის გამოგზავნილი ფულით გაზის დავალიანების დაფარვა უნდათ და ამ ფულზე იმიტომ არ იღებენ ხმას."**

**"მემარჯვენეებთან ვიყავი, იქაც მოტყუებული დავრჩი. ყველგან ნაცნობობით აძლევენ ფულს..."** – გამოთქვამდა გულისტკივილს ერთ-ერთი ქალბატონი.

**"13 წელიწადი ბინის აშენებას ველოდი, რაც მქონდა ისიც დამენგრა, რა ვქნა ახლა? არც იმ ახალი ბინისთვის გადახდილ ფულს მიბრუნებებენ, არც ძველი ბინის სანაცვლოდ მაძლევენ რამეს. ასე მითხრეს, ფული იმ მთავრობას ჩააბარე და ჩვენ რას გვთხოვო. ეს მთავრობა იყო მაშინაც და ისინი არიან დღესაც,"** - გვითხრა ლილი ოდიშარიამ.

სიმართლე გითხრათ, არც კომისიის წევრები არიან კარგ დღეში. დაბნეული და შეშინებული მოსახლეობა, მათთვის დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს ითხოვენ.

- ქალბატონო, დაიწყეთ ბინის გადაფორმება, - მიმართა კომისიის წევრმა დაზარალებულს.

- როგორ გადავიფორმო ბინა მკვდრისგან, ჩემი მამამთილი მკვდარია, – უპასუხა გაოცებულმა ქალმა.

დაზარალებულთა თქმით, მესამე კატეგორიაში მოხვედრილებსაც სექტემბერში იბარებენ. ამბობენ, იქამდე ფული უნდა შევაგროვოთო. **"დიდუბეში, გორის ქუჩაზე N22-ში ვცხოვრობ. მესამე კატეგორიად შემაფასეს. ორი პატარა ბავშვი მყავს. ჩემი სახლის კედლებს, რომ ვუყურებ, გული მისკდება, რომელი, როდის ჩამოინგრევა არ ვიცი, დღევანდელ დღეს დამიბარეს, ახლა კი მეუბნებიან, სექტემბრის მერე გამოიარეთო,"** - გვითხრა ქალბატონმა მაიამ.

კომისიის წევრები კი ამასობაში მთელ დროს საბუთების გადამოწმებას ანდომებენ. ბევრი აფერისტი დადის, რომელთაც, ქსეროქსზე გადაღებულ ასლში თვითნებურად უწერიათ მესამე კატეგორია.ისე, არც უფულობას უარყოფენ. **"ჩვენთვის, მთავარია, ამ ადამიანების ნდობა მოვიპოვოთ, დავარწმუნოთ, რომ ეს კომისია, მართლაც მათ დასახმარებლად მუშაობს,"** – გვითხრა დიდი დილმის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ნინო მირიანაშვილმა.

**"ცოტა ხანს კიდევ დავიცდით, ვნახოთ, რას იზამენ. ასეთი ტემპით თუ იმუშავეს, ქუჩაში გამოზამთრება გვაქვს გარანტირებული. ამას კი არავინ აპირებს,"** – თქვეს დაზარალებულებმა.

## ცენტრალური სუპერმარკეტის დირექტორი სასამართლოთი იმუქრება

ქეთი ქადაგიშვილი

სამ წელიწადზე მეტია, სააქციო საზოგადოება "ცენტრალური სუპერმარკეტის" დირექცია წინამძღვრიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის დაუფლებისთვის იბრძვის. სუპერმარკეტის დირექტორი ლაერტ ზუბადალაშვილი, ამჯერად, სასამართლოში ჩივილს აპირებს.

ქალაქის ხელმძღვანელობის ნებართვით, ამ ქუჩაზე, ბაზარში ავტომანქანით მიმსვლელთათვის, ევროპული სტილის ავტოსადგომის მშენებლობა უნდა დაიწყოს. სუპერმარკეტის დირექცია ითხოვს ამ ნებართვის გაუქმებასა და ტერიტორიის შესყიდვას. ზუბადალაშვილის თქმით, ქალაქის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურმა "მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონი დაარღვია და ტერიტორია, საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე, კერძო პირს აუქციონის წესით მიჰყიდა. **"ამ ტერიტორიას ბაზრის არსებობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მერიამ ის ისე გაყიდა, ჩვენთვის არაფერი უკითხავს. მისი შესყიდვისთვის ყველაფერს ვიღონებ, სასამართლოშიც ვიჩივლებ და ტერიტორია მაინც ჩემი გახდება,"** - იმუქრება სუპერმარკეტის დირექტორი. იგი ირწმუნება, რომ თუ მერიამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა, სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის პრობლემასაც მოაგვარებს. **"მოვაჭრეებს იძულებულს გავხდით, სუპერმარკეტში ივაჭრონ, მოსახლეობაც თანდათან შეეჩვევა აქ შემოსვლას. მოვაჭრეებით, პროდუქტითა და ნაგვით გადატვირთულ ქუჩაზე კი გავლა შესაძლებელი გახდება,"** – ამბობს სუპერმარკეტის დირექტორი. ის ამ ტერიტორიაზე ავტოსადგომის მშენებლობასაც გამორიცხავს. **"დარწმუნებული ვარ, აქ ავტოსადგომი კი არა, გარემოვაჭრეებისთვის კიდევ ერთი "ავტოსადგომ-ბაზარი" აშენდება და კიდევ უფრო შემცირდება ბაზარში მოვაჭრეთა და მყიდველთა რიცხვი. იმის მაგივრად, რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ გარევაჭრობის წინააღმდეგ იბრძოლოს, მაქსიმალურად უწყობს ხელს,"** – ამბობს სუპერმარკეტის დირექტორი ლაერტ ზუბადალაშვილი.

როგორც ქალაქის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურში გვითხრეს, არქიტექტურის სამსახურს კანონი არ დაურღვევია. **"ამ ტერიტორიას ავტოსადგომი უცილებლად სჭირდება და კარგი იქნება, თუ მისი მშენებლობა არ შეფერხდება. ბაზრის დირექციას სურს მთელი თბილისის შესყიდვა, თანაც კაპიკებში. გაუგებარია, ზუბადალაშვილი რატომ მიიჩნევს ამ ტერიტორიას თავის საკუთრებად და, მაინცდამაინც, ახლა რატომ მოინდომა მისი ხელში ჩაგდება,"** - აცხადებს არქიტექტურის სამსახური.



*სადავო ტერიტორიის ერთ-ერთი მონაკვეთი*

დანაშაული და სამართალი

# ორჯერ გასამართლებული პატიმარი სასამართლომ გაათავისუფლა

ხათუნა ჯანგირაშვილი

ციხეში ჩადენილი მკვლელობისთვის ხელმეორედ გასამართლებულმა ჯემალ ოკუჯავამ, საკასაციო საჩივრით თავისუფლება დაიბრუნა. რამდენიმე წლის წინ ხობის რაიონულმა სასამართლომ ჯემალ ოკუჯავას ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. პატიმარმა ციხეში თავდაცვის მიზნით სხვა პატიმარი მოკლა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, წინასწარი გამოძიების პერიოდში, ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორში ყოფნისას, ამავე იზოლატორის პატიმარი ირაკლი ჟორჟოლიანი სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ჯემალ ოკუჯავას. აიძულებდა მისთვის მიეტანა დიდი რაოდენობის თანხა. აძალებდა, რომ ჩვენებებში დაეწერა, თითქოს ის და მისი მეგობრები ზუგდიდში "მხედრიონის" სახელით ყაჩაღობდნენ. ირაკლი ჟორჟოლიანის მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ჯემალ ოკუჯავას მკაცრად დასჯა ემუქრებოდა.

ჯემალ ოკუჯავა და ირაკლი ჟორჟოლიანი სასჯელის მოსახდელად ქუთაისიდან რუსთავის მესამე კოლონიაში გადაიყვანეს. საქმის მასალებიდან გაირკვა, რომ ჟორჟოლიანი ოკუჯავას კვლავ აწუხებდა და ენის ამოგლეჯით ემუქრებოდა, თუ იგი რაიმეს იტყოდა ქუთაისის ციხეში მომხდარი ამბების შესახებ.

ცოტა ხანში ციხის ორ ბინადარს შორის სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ირაკლი ჟორჟოლიანმა კოლონიის ტერიტორიაზე მდებარე დანგრეულ შენობასთან სპეციალურად გაყვანილ ჯემალ ოკუჯავას დახრჩობა დაუპირა. ხელჩართული ბრძოლის დროს ოკუჯავამ ნანგრევებიდან ბლაგვი საგნის აღება მოახერხა და თავდამსხმელს რამდენჯერმე ჩაარტყა თავში. ძლიერი დარტყმების შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებებით ირაკლი ჟორჟოლიანი მეორე დღეს გარდაიცვალა. ჯემალ ოკუჯავა ციხეში ჩადენილი დანაშაულისთვის რუსთავის რაიონულმა სასამართლომ მეორედ გაასამართლა.

საკასაციო საჩივრით ჯემალ ოკუჯავას ადვოკატი ასაბუთებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაული ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების, თავდაცვის ფარგლებში. ადვოკატი ითხოვდა ოკუჯავას საქმის წარმოებით შეწყვეტას დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო, რასაც პროკურორი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და ამტკიცებდა, რომ ოკუჯავამ დანაშაული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩაიდინა. პროკურორმა ოკუჯავასთვის სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. რასაც მისი მოთხოვნისთანავე უნდა დამატებოდა ხობის რაიონული სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელის ნაწილი – სამი წელი.

საქმის შესწავლის შემდეგ საკასაციო პალატამ ჯემალ ოკუჯავასთვის რუსთავის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეცვალა, რადგან დაადგინა, რომ რუსთავის სასამართლომ არასწორი იურიდიული შეფასება მისცა მსჯავრდებულ ჯემალ ოკუჯავას მიერ ჩადენილ დანაშაულს.

საკასაციო პალატამ დაადგინა, რომ ჟორჟოლიანზე თავდასხმის დროს ოკუჯავამ "აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადააცილა და თავდაცვისთვის გამოიყენა ისეთი საშუალება, რაც აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან."

საბოლოოდ, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულ ჯემალ ოკუჯავას, პროკურატურის მოთხოვნის თანახმად, ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და პარალელურად გაათავისუფლა კიდეც, რადგან ჯემალ ოკუჯავას სასჯელი უკვე მოხდილი ჰქონდა.

# თინიკაშვილის საქმეს სასამართლო დღეს გადაწყვეტს

თბილისის საოლქო სასამართლომ რუსთავის საქმის ერთადერთი ბრალდებულის, შოთა თინიკაშვილის ადვოკატების შუამდგომლობას პასუხი გუშინ არ გასცა.

ადვოკატი ალეკო ალადაშვილი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ ერთი კვირის წინ ბრალდებულისთვის შეფარდებულ სამთვიან პატიმრობას ასაჩივრებს და მის გათავისუფლებას ითხოვს.

ალეკო ალადაშვილმა სასამართლოს მიმართა ბრალდებულთან შეხვედრის შემდეგ, როცა შოთა თინიკაშვილმა შსს-ს თანამშრომლები და გენერალური პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულა.

დახურული სასამართლო სხდომა, რომელიც გუშინ რამდენიმე საათს გრძელდებოდა, დღეს განახლდება. დღესვე გახდება ცნობილი გაათავისუფლებს თუ არა საოლქო სასამართლო შოთა თინიკაშვილს პატიმრობიდან.

# მოწმე ექვმიტანილს ხელს ადებს

2 ივნისს რუსთავი-თბილისის გზატკეცილზე საარჩევნო ბიულეტენების გატაცებაში, თვითმხილველთა განცხადებით, 20-30 კაცი იღებდა მონაწილეობას. მომხდარიდან ერთი თვის შემდეგ, გამოძიებამ მხოლოდ ერთი ეჭვმიტანილის დაკავება შეძლო. სამართალდამცველების ინფორმაციით, შოთა თინიკაშვილი უშუალოდ მოწმეების მიერ იქნა ამოცნობილი. დაყაჩაღებულ მიკროავტობუსში ოთხი ადამიანი იჯდა: მძღოლი, ორი პოლიციელი - თამაზ რამაზაშვილი და მამუკა გელაშვილი და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ავთანდილ კარანაძე. აქედან სამმა თინიკაშვილი ამოიცნო, ხოლო მიკროავტობუსის მძღოლის ადგილსამყოფელი არავინ იცის.

"24 საათი" ავთანდილ კარანაძეს დაუკავშირდა, რომელმაც გამოძიების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა. **"მე თავიდანვე ვამბობდი, რომ მხოლოდ ორი ადამიანის სახე დამამახსოვრდა, რომლებმაც მძღოლსა და მის გვერდით მჯდომ პოლიციელს იარაღი დაადეს."**

კარანაძე გამოძიების მხრიდან ამოცნობის პროცედურის კანონიერად ჩატარებას ხაზს უსვამს და აცხადებს, რომ ის წინასწარ გააფრთხილეს, იმ შემთხვევაში დაედო ხელი ვინმესთვის, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ის გამტაცებელთა შორის ნახა. ხუთი ამოსაცნობი პიროვნებიდან მან ხელი პირდაპირ თინიკაშვილს დაადო. როდესაც ეჭვმიტანილი, მოწმე და გამომძიებელი ოთახში მარტონი დარჩნენ, თინიკაშვილმა კვლავ უარყო გატაცებაში მონაწილეობა. კარანაძე აცხადებს: **"მე მას ვუთხარი, როგორც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ მე ავთო კარანაძე ვარ, ისევე ვარ დარწმუნებული, რომ შენ გამტაცებელთა შორის გნახე. ასე რომ არ ყოფილიყო, მე მას ხელს არ დავადებდი."**

თინიკაშვილის ადვოკატი გიორგი ყარალაშვილი ამოცნობას არ ესწრებოდა, თუმცა აცხადებს: "ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა სასამართლოს მოახსენა, რომ მოწმეებმა ის ვერ ამოიცნეს და მხოლოდ გამოძიების მხრიდან მითითების შემდეგ დაადეს ხელი. "ყარალაშვილი ეჭვმიტანილის ნათქვამზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ამოცნობაზე დამსწრე ორმა მოწვეულმა მოქალაქემ გამომძიებელს ოქმზე ხელი არ მოუწერა. კარანაძე ამას ტყუილს უწოდებს და ამბობს, რომ ოქმს ჯერ დამსწრეებმა მოაწერეს ხელი და შემდეგ თავად მან.

"რუსთავის საქმედ" წოდებული ბიულეტენების გატაცების საქმის გამოძიება პოლიტიკური განცხადებების ფონზე მიმდინარეობს. რუსთავის მერმა და "ნაციონალურმა მოძრაობამ" ამ კრიმინალის შემკვეთად გუბერნატორი ლევან მამალაძე ოფიციალურად დაასახელეს. ეს ვერსია კიდევ უფრო გაამაგრა იმ ფაქტმა, რომ შოთა თინიკაშვილი მამალაძის პირადი დაცვის ყოფილი წევრი და დაახლოებული პირი აღმოჩნდა. თავად ლევან მამალაძე ამას მორიგ პროვოკაციას უწოდებს და თინიკაშვილის უდანაშაულობაზე საუბრობს.

მამალაძე იმასაც ამტკიცებს, რომ დაყაჩაღება რომც არ მომხდარიყო, არჩევნები მაინც ჩაიშლებოდა. სატელევიზიო დებატებში ის ხშირად ახსენებს სტამბას და იმას, რომ ბიულეტენები იქიდან ძალიან გვიან, დილის 7 საათის შემდეგ წამოიღეს, ანუ მას შემდეგ, რაც არჩევნები კანონით დაწყებული უნდა ყოფილიყო. **"ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები უკვე ჩაშლილი იყო,"**- აცხადებს გუბერნატორი.

რა მოხდა სტამბაში, რატომ დაგვიანდა რუსთავის ბიულეტენების გაცემა? საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ავთანდილ კარანაძე აცხადებს, რომ 1 ივნისს საღამოს 11 საათიდან ისინი კუთვნილ ბიულეტენებს ელოდნენ. ღამის 4 საათზე ცესკოს წევრი გია ზესაშვილი სტამბაში თემურ გიორგაძესთან ერთად მივიდა მცხეთის ბიულეტენების წასაღებად. რუსთაველებმა მას შესჩივლეს, რა ვქნათ, არჩევნები გვეშლებაო. ზესაშვილმა ისინი დაამშვიდა, რუსთავი ახლოს არის და მოასწრებთო. შვიდის ნახევრისთვის მხოლოდ რუსთავი და სამგორის რაიონი დარჩა გასასტუმრებელი. იყო თუ არა ვინმესგან დირექტივა, ისინი ბოლოსთვის მოეტოვებინათ? ამ კითხვაზე კარანაძე ვერ პასუხობს. ლევან მამალაძემ კი, რაკი ასე ხშირად ახსენებს სტამბას, ალბათ, რაღაც იცის, მაგრამ არაფერს ამბობს.

# პარლამენტში ქურდია

საქართველოში უსაფრთხო ადგილი აღარ დარჩა. ერთი შეხედვით ისეთ დაცულ შენობაშიც კი, როგორიც საქართველოს პარლამენტია, დანაშაულისგან დაფარული არავინაა. როგორც შევიტყვეთ, ამ რამდენიმე დღის წინ პარლამენტარის ოთახიც კი გაუქურდავთ.

**რამიზ ალი ოღლი ბაქიროვი** ფრაქციის - "ალიანსი ერთიანი საქართველოსთვის" — წევრი გახლავთ. 6 ივლისს ღამის 10 საათზე მან პარლამენტში თავისი სამუშაო კაბინეტის კარი გასაღებით ჩაკეტა, მეორე დილით მისულს კი ადგილზე აღარ დახვდა ოთახში დატოვებული საკმაოდ სოლიდური თანხა – 5 ათასი დოლარი და 100 ლარი.

სამართალდამცველ ორგანოებში ქურდობის შესახებ შეტყობინებას გამოძიების დაწყება მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა გამომძიებლებმა და ოპერატიული ჯგუფის თანამშრომლებმა კარებსა და კარის საკეტზე დაზიანება ვერ აღმოაჩინეს. რა გზით შეაღწია ქურდმა პარლამენტარის კაბინეტში, ჯერჯერობით, საიდუმლოდ რჩება. დღესდღეობით შეუძლებელია რაიმე ინფორმაციის მოპოვება გამოძიების მსვლელობის თაობაზე. როგორც მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსმა, პაატა ქლენტმა გვითხრა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ ნაადრევია ეჭვმიტანილებსა და გამოძიებაში არსებულ ვერსიებზე საუბარი.



რამიზ ბაქიროვი

# ყველაზე პოპულარული კრიმინალი საიდუმლო გრიფით

პირველი გვერდიდან

სპეცინფორმაციის სტატისტიკური მონაცემებით, 2002 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოში ადამიანის გატაცების 45 შემთხვევაა რეგისტრირებული: 27 გატაცება ცოლად შერთვის მიზნით მოხდა, 15 ფულის გამოძალვის გამო, 2 მძევლად ხელში ჩაგდებისთვის. სამართალდამცველებმა გახსნეს ადამიანის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის 37 ფაქტი: ადამიანის გატაცების 27 შემთხვევა ცოლად შერთვის მიზნით, ხოლო 9 -- ფულის გამოძალვის მიზნით.

ადამიანის გატაცების სიმრავლით ლიდერობენ თბილისი, კახეთი, შიდა ქართლი. ბოლო ექვს თვეში ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცება არ მომხდარა იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში.

2002 წლის 1 თებერვალს, ხონში, საკუთარი სახლიდან ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ვლადიმერ კვაჭანტირაძე. იმერეთში ბალავაძეების ბანდის სახელით ცნობილი კრიმინალური დაჯგუფება ფულის გატაცების მიზნით ადამიანთა გატაცებაზე მუშაობდა. გატაცებული კვაჭანტირაძის გასათავისუფლებლად პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ ჯგუფის უფროსი ნოვიკო ბალავაძე და ერთ-ერთი წევრი გია ქარდავა. დანარჩენი ოთხი გამტაცებელი დაპატიმრებულია.

2002 წლის 5 აპრილს კვლავ ბალავაძეების დაჯგუფების წევრებმა გაიტაცეს ვანო ბერბიჭაშვილი. ერთ-ერთი ბალავაძე, ნოე, ლიკვიდირებულია, დააპატიმრეს დავით გამხუაშვილი და მამუკა რუხაძე.

2002 წლის 20 თებერვალს სამმა დაუდგენელმა პირმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლო იარაღით, სახლიდან გაიტაცეს ირაკლი კორტავა, რომელიც იმავე დღეს გაათავისუფლეს. რადგან გატაცებულის ახლობლებმა გამტაცებლებს 50 ათასი დოლარი გადაუხადეს.

პოლიციამ მოგვიანებით დააკავა სოსო გაზდელიანი, მეტსახელად "სიორა". ჯგუფის სხვა წევრებს, ლევან რაზმაძესა და მურმან ტვილდიანს, პოლიცია ეძებს.

2002 წლის 30 იანვარს, გორის სოფელ რუხაში, ავტომატით შეიარაღებული 4 ნიღბიანი პირი თავს დაესხა გორის საგზაო პოლიციის თანამშრომლებს, გაიტაცა ისინი. ყაჩაღებმა ერთ-ერთი პოლიციელს, აკაკი ჭოველიძეს, წაართვეს მანქანა. საქმე, რომელსაც გორის პროკურატურა იძიებს, გაუხსნელია.

2002 წლის 17 თებერვალს პანკისის ხეობის ბლოკპოსტებიდან დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს პოლიციის თანამშრომლები. კახეთის სამხარეო პროკურატურაში აღძრული საქმის ძიება შეჩერებულია, გამტაცებელთა ვინაობის დაუდგენლობის გამო.

2002 წლის 19 თებერვალს გაიტაცეს ვახტანგ თოიძე, რის შემდეგაც გამტაცებლები დაუკავშირდნენ მის ძმას, გია თოიძეს, და მოითხოვეს 20 ათასი დოლარი. თბილისის პროკურატურაში თოიძის გატაცების საქმე გაუხსნელი ძევს.

2002 წლის 14 მაისს დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს ძმები გიორგი და ალექსანდრე ხაჩიურები და მათი მეგობარი გოჩა დავითაშვილი. გატაცებულთა გასათავისუფლებლად დაუდგენელი პირები ითხოვენ 200 ათას დოლარს. საქმე აღძრულია გორის პროკურატურაში.

2002 წლის 7 ნოემბერს ახმეტის სოფელ ფიჩხოვანში გაიტაცეს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალას მკვიდრი ისანი იბრაგიმოვი. მძევლად აყვანილის გასათავისუფლებლად გამტაცებლები ითხოვდნენ 30 ათას დოლარს. გატაცებული 7 დღის შემდეგ გაათავისუფლეს, რადგან იბრაგიმოვის ოჯახმა ვერ შეძლო მოთხოვნილი თანხის გადახდა.

საქმეს იძიებს ახმეტის პროკურატურა.

2002 წლის 19 იანვარს დაუდგენელი პირები შეეცადნენ ალექსანდრე ცუცქირიძის მძევლად აყვანას, რასაც რამდენჯერმე ფულის გამოძალვა მოჰყვა.

2002 წლის 18 იანვარს დაუდგენელი პირები აშშ-ს მოქალაქის, ალექსანდრე კრანის, მძევლადაყვანას შეეცადნენ. საქმე, რომელიც ჯერჯერობით გაუხსნელია, ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში ძევს.




სამართალდამცავებმა ადამიანის გატაცებისთვის ძებნილი 15 ეჭვმიტანილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დააკავეს.

შსს-ს მიერ მომზადებულ ცნობაში, რა თქმა უნდა, შეხვდებით "აგრობიზნესბანკის" ინგლისელი დირექტორის, პიტერ შოუს, გატაცების ფაქტსაც.

როგორც ხედავთ, სამართალდამცავთა შეფასებით, კრიმინალურ სამყაროში ადამიანის გატაცება დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის დანაშაულია. სწორედ ამიტომაც მიუძღვნეს კრიმინალის ამ სახეობას კანონდამცავებმა სპეციალური საიდუმლო ინფორმაცია. სხვათა შორის, სწორედ გავრცელებული დანაშაულის – ადამიანის გატაცებების გამო გამოცხადდა საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე კრიმინალურ ქვეყნად.

# პოლიცია სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელყოფს

სოფიკო ჩხაიძე

*ერთი კვირის წინათ, ჩიქოვანების ბინაზე თავდასხმისას, პოლიციამ, ფაქტობრივად, მხოლოდ ბადრაგის ფუნქცია შეასრულა – ოჯახის უფროსის მიერ მოკლული ერთი თავდამსხმელი პროზექტურაში, ხოლო მეორე -- დაჭრილი – საავადმყოფოში გააცილა. როგორც ჩანს, მხოლოდ გამცილებლის ფუნქციით ვერდაკმაყოფილებულმა სამართალდამცველებმა, რომლებმაც დღემდე ვერ დააკავეს ასევე დაჭრილი მესამე ყაჩაღი, საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის დადასტურება მძიმედ დაჭრილი და ურთულეს ოპერაციაგადატანილი თავდამსხმელის საავადმყოფოდან გატაცებით სცადეს.*

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პოლიციამ თითქმის გმირად გამოაცხადა ჯონი ჩიქოვანი, რომელიც მომხდურ ყაჩაღებს სასტიკად გაუსწორდა. პოლიციელთა და ჩიქოვანების თქმით, დღის 4 საათზე ბინაში მოტყუებით სამი შეიარაღებული თავდამსხმელი შევარდა, ჯონი ჩიქოვანმა კი ყაჩაღებს საკუთარი პისტოლეტიდან ცეცხლი გაუხსნა, ერთი მოკლა და ორი დაჭრა. მსუბუქად დაიჭრა თავად ჩიქოვანიც. ისიცა და დაჭრილი თავდამსხმელიც თბილისის პირველ კლინიკურ, ე.წ. "არამიანცის" საავადმყოფოში მოათავსეს და სხვადასხვა სართულებზე, პარალელურად უკეთებდნენ ოპერაციას. ჩიქოვანის ოპერაციამ შედარებით ადვილად ჩაიარა – მას მუცლიდან ტყვია ამოუღეს. რაც შეეხება დაჭრილ თავდამსხმელს, დათო რუსიას, მისი მდგომარეობა გაცილებით რთული გახლდათ. ფეხში დაჭრილს რამდენიმესაათიანი ოპერაცია ჩაუტარდა, რადგან ტყვიას ვენური და არტერიული სისხლძარღვები დაეზიანებინა. ექიმების შეფასებით, რუსიას მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო და ოპერაციის მსვლელობისას მისი გადარჩენის გარანტიას ვერ იძლეოდნენ.

დათო რუსია გადარჩა და სასამართლომ მას კიდეც შეუფარდა სამთვიანი პატიმრობა. ოღონდ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათლად და გარკვევით არის მითითებული, რომ რუსია საპყრობილეში მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ უნდა გადაეყვანათ.

გუშინ სასამართლოს გადაწყვეტილება უხეშად დაარღვია პოლიციამ. დათო რუსიას სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნით, მათ ავადმყოფი, ფაქტობრივად, მოიტაცეს საავადმყოფოდან. როგორც ამბობენ, ექიმები ავადმყოფის გადაყვანის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცა, პოლიციელთათვის არც სასამართლოს გადაწყვეტილებას და არც ექიმთა წინააღმდეგობას ხელი არ შეუშლია, რომ დათო რუსია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაეყვანათ.

ისანი-სამგორის პოლიციის უფროსის, თემურ ტურაბელიძის თქმით: **"ექიმების მხრიდან არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. რუსიას ციხის საავადმყოფოში გადაყვანის ნებართვა სწორედ ექიმებმა მოგვცეს. კონკრეტულად, ვინ, არ ვიცი. პატიმრის გადასაყვანად მე ხომ არ წავიდოდი. ისე, ნამდვილად ვიცი, რომ არაფერი დარღვეულა. უფლება რომ არ მოეცათ, მე რატომ უნდა ვყოფილიყავი დაინტერესებული რუსიას გადაყვანით, ყოვლად გაუგებარია".**

ასეა თუ ისე, დაჭრილმა რუსიამ ტრანსპორტირება ძნელად გადაიტანა. მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ციხის საავადმყოფოს ექიმები მის მიღებაზე უარსაც კი აცხადებდნენ. როგორც აღმოჩნდა, ახალ გარემოში მისი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს. არადა, ავადმყოფს ბევრი სისხლის დაკარგვისგან ანემია განუვითარდა, აქვს მაღალი სიცხე, რაც ოპერაციის შემდგომ პერიოდში ექიმების შეშფოთების საფუძველს იძლევა.

ქირურგი რომან კვაჭაძე, რომელმაც რუსიას ოპერაცია გაუკეთა, ამბობს, რომ ავადმყოფი სპეციფიკურ მკურნალობას საჭიროებს, რისი შესაძლებლობაც ციხის საავადმყოფოში არ არსებობს. ამასვე ადასტურებენ იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტშიც.

დეპარტამენტის უფროსის, არჩილ ბორჯაძის თქმით: **"ასეთი ავადმყოფის ძალდატანებით გადმოყვანა არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან ციხის საავადმყოფოში მის სამკურნალოდ არავითარი საშუალება არ არსებობს და ამის გამო რუსია დღეს უკვე ფეხის დანეკროზების საშიშროების წინაშე დგას. დახმარების დროულად არაღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლოა, ფეხის ამპუტაცია გახდეს საჭირო. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია პოლიციის საქციელი არა მარტო იმიტომ, რომ მათ ადამიანის, თუნდაც დამნაშავის, ჯანმრთელობა ჩააგდეს საფრთხეში, არამედ იმიტომაც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ხელჰყვეს".**

როგორც ბორჯაძე ამბობს, უკვე გაიცა განკარგულება და დღეს დათო რუსიას "არამიანცის" საავადმყოფოში დააბრუნებენ, თუმცა, ექიმები არ გამორიცხავენ, რომ ეს, შეიძლება, დაგვიანებულიც კი იყოს და ავადმყოფს ხელმეორე ოპერაცია დასჭირდეს.

# მაჩვენე შენი პარტნიორი...

## პოლიტიკურმა პარტიებმა როლები გადაინაწილეს

თამარ ხორბალაძე

*ქართულ პოლიტიკურ დაფაზე მოთამაშეები, თითქოს, საკუთარ ადგილებზე ლაგდებიან. მაგრამ, გადამწყვეტ პარტიამდე წელიწადნახევარით ადრე ბევრი ფიქრობს, რომ, შეიძლება, საქართველოში არჩევნებამდე საქმე არც მივიდეს.*

### შევარდნაძის ფრთის ქვეშ!

"პროშევარდნაძისტულ" ძალებს შორის ყველაზე სერიოზულად, სახელისუფლებო ბერკეტების ფლობის თვალსაზრისით, რეანიმირებული "მოქალაქეთა კავშირი" და ავთანდილ ჯორბენაძე გამოიყურებიან. მათზე გაკეთებული საპრეზიდენტო აქცენტიც აშკარაა. ადგილობრივი მმართველობის უმეტესობაც, ისევე, როგორც მინისტრების პორტფელები, სწორედ მათ ხელშია. თუმცა, არც შევარდნაძის განცხადებები ამ პარტიის მომავალი გამარჯვებების თაობაზე და არც ჯორბენაძის "მკაცრი ხელის" არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ შევარდნაძის ფრთის ქვეშ მოხვედრისთვის ბრძოლა დამთავრებულია. შევარდნაძის ტრადიციული "დაბალანსების" პოლიტიკა და მისი მმართველობის სტილი მოწმობს, რომ ამ ჩრდილში თავის შეფარებას რამდენიმე პარტია მაინც მოახერხებს.

შევარდნაძე, რომელიც არასოდეს აკეთებდა აქცენტს მხოლოდ ერთ ფიგურაზე, სავარაუდოდ, ბოლომდე არ დათმობს "ახალ მემარჯვენეებს". დღეს "ახლები" ჯორბენაძის გულმხურვალე მომხრეებს შორის კარგად ვერ ეწერებიან. ამას მოწმობდა ამასწინანდელი კონსულტაციებიც, როცა ახლების ფრაქცია მზად იყო, ხმა მიეცა მთავრობის მუშაობის შესახებ დოკუმენტის შეჯერებული ვარიანტისათვის, რომლის მიხედვით, ბიუჯეტის ოთხი თვის შესრულება არადამაკმაყოფილებლად ფასდებოდა. ამავე ვარიანტში გათვალისწინებული იყო 6 თვის შედეგების მოსმენის აუცილებლობა და წლის ბოლოსთვის, ბიუჯეტის გარღვევის შემთხვევაში, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

ის, რომ "ახლებსა" და ჯორბენაძეს შორის "შავმა კატამ გაირბინა", გამგებლების, უფრო კი აღმასრულებელი ხელისუფლების "მეორე რგოლის," დაკომპლექტების დროს გამოჩნდა. არსებული ინფორმაციით, ჯორბენაძემ "ახლების" პოზიციები მთავრობაში შეასუსტა და "ახლების" მიერ კარგად ათვისებული საინფორმაციო წყაროების დახშობაც სცადა. ჩანს, სახელმწიფო მინისტრს, რომელსაც პრეზიდენტმა "მოქალაქეთა კავშირი" ჩააბარა, კარგად ესმის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის პირველი პირის აქცენტი, შესაძლოა, სხვა ძალაზე და სხვა ფიგურაზე კიდევ გადაადგილდეს.

ამ სიტუაციაში საინტერესოა "მოქალაქეთა კავშირში" რიგით წევრად დარჩენილი ნიკო ლეკიშვილის პოზიცია, რომელიც პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატია. მან "მოქალაქეთა კავშირის" სარეანიმაციო ყრილობის წინ, "24 საათთან" საუბარში, საგანგებოდ აღნიშნა, რომ "ახალი მოძრაობა" მის კაბინეტში იქმნებოდა. აქვე გააკეთა მინიშნება შარტავას ხელმძღვანელობით ახალი მოძრაობის ჩამოყალიბების თაობაზე, მაგრამ იმასაც ხაზი გაუსვა, რომ თავად მომავალშიც შევარდნაძის გვერდით იქნება. ლეკიშვილი ერთ-ერთი იმ ფიგურათაგანია, რომელიც საკუთარ თავს და იმ ძალებს, რომელთა მობილიზებასაც თავად შეძლებს, კიდევ შესთავაზებს დასაყრდენად შევარდნაძეს. თანაც იგი ისევ შუალედურ პოზიციაზე რჩება და მეტისმეტად გულთბილად მოიხსენიებს საუბარში ჟვანიას და მის გუნდს. მას და ამ გუნდს შევარდნაძის ფაქტორი დღეს სერიოზულად აშორებს ერთმანეთისაგან. დღეს "ახლები," ლეკიშვილი და "გაერთიანებული დემოკრატები," სხვადასხვა პლატფორმაზე დგანან. თუმცა, პოლიტიკაში გამორიცხული ნამდვილად არაფერია. ამ ძალების "მორიგების" თუნდაც ბუნდოვანი პერსპექტივა კიდევ ერთი არგუმენტია, რომლის წყალობითაც შევარდნაძეს "ახლები" ისევ საკუთარი "პატრონაჟის" ქვეშ ჰყავს.

შევარდნაძის ფრთის ქვეშ შეძრომის სურვილი პერმანენტულად უჩნდება რჩეულიშვილს და მის სოციალისტურ პარტიას. დღეს, როცა მათი საპარლამენტო ხმები მთავრობას და ჯორბენაძეს სჭირდება, იგი ამ ძალასთან საკმაოდ ახლოს დგას. თუმცა, სავარაუდოა, რომ შევარდნაძის სანაგვეზე მოსროლის ლოზუნგმა რჩეულიშვილს პრეზიდენტის ახლობელთა რიგებში მოხვედრის პერსპექტივა საბოლოოდ დაუკარგა. ამიტომ "სოციალისტები" და მათი ლიდერი, შესაძლოა, ისევ "აღორძინებასთან" ალიანსის ამარა დარჩნენ.

შევარდნაძის და ჯორბენაძისკენ მოძრაობა შეინიშნებოდა ედპ-ს მხრიდან, თუმცა, ბოლო დღეების მოვლენებმა (გელაშვილის და ხაჩიშვილის განთავისუფლებამ) ეს გეზი, შესაძლოა, შეცვალოს. ხოლო, თუ ირინა სარიშვილი საკუთარ ტრადიციას ვერ უღალატებს, გამორიცხული არაა, რომ ისევ მოტყუებული, ანუ "თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდეს.

დღეს სპეციფიკურ მდგომარეობაში იმყოფება "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს," რომელმაც საზოგადოებრივი მხარდაჭერა ხელისუფლების და, კერძოდ, შევარდნაძის ოპოზიციაში ყოფნით მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ "მრეწველებს" ამის ხმამაღლა აღიარება არ სურთ, ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ პარტიამ ჯორბენაძის მხარდამჭერთა შორის დაიმკვიდრა თავი. სხვათა შორის, ამ პარტიას წამყვან საპარლამენტო ძალასთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე კარგა ხანია აქვს. ისინი საკუთარი ლოკალური პრობლემების გადაწყვეტას, თავის დროზე, ზურაბ ჟვანიას გუნდთან თანამშრომლობითაც ახერხებდნენ. ამ ეტაპზე მათი პოზიციები ძლიერ დაშორდა ერთმანეთს. მეტიც, "გაერთიანებული დემოკრატები", ჩვენი ინფორმაციით, მათ "მხილებას", ანუ "მრეწველებზე" "პოლიტიკურ თავდასხმას" გეგმავენ. მაგრამ მაინც, პარტიის - "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" - საბოლოო პოლიტიკური არჩევანი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორის პოლიტიკურ გავლენაზე. ეს კი ნიშნავს, რომ მისი დღევანდელი პარტნიორი მომავალში სიურპრიზებისგან დაზღვეული ნამდვილად არ გახლავთ.

### რადიკალები - ახალი ქართული მოდა!

დღეს მოდაშია რადიკალიზმი. ეს 2 ივნისის არჩევნებმაც დაადასტურა, რომელშიც, რეალურად, გაიმარჯვეს ნაციონალისტურმა იდეებმა (სააკაშვილის სახით) და ფაქტობრივმა კომუნისტებმა (ლეიბორისტების სახით). "ერთობის" მიერ საარჩევნო ბარიერის გადალახვაც მემარცხენე რადიკალიზმის პოპულარობის გამოვლინება გახლავთ.

"ლეიბორისტებისა" და "ნაციონალების" დაახლოების პერსპექტივამ უკვე საბოლოოდ დალია ჩაილურის წყალი. ახლა უფრო მოსალოდნელი "ლეიბორისტთა" მიერ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა გახლავთ, რადგან პოპულარული შალვა ნათელაშვილი შესანიშნავი ძალაა სააკაშვილის მზარდი რეიტინგის ნაწილობრივ გასანეიტრალებლად. თუმცა, ასეთი გარიგება ნახევრად- ოფიციალურადაც კი არ გაფორმდება. "ლეიბორისტებს", სავარაუდოდ, ეყოფათ ჭკუა - მიხვდნენ, რომ მათი მხრიდან შევარდნაძისა და ჯორბენაძის ხელისუფლებასთან არჩევნების წინ გაცხადებული ალიანსი "ხარაკირის" ტოლფასი იქნება.

"ნაციონალისტებიც", ალბათ, "ლეიბორისტებთან" ვერმიღწეული გარიგების შემდეგ აღარ შეეცდებიან ახალი პარტნიორების ძებნას. რა თქმა უნდა, მომავალი "დემოკრატიული შტურმის" შემთხვევაში, მათ გვერდით, შესაძლოა, "გაერთიანებული დემოკრატებიც" ვიხილოთ, მაგრამ ეს პერსპექტივა არ მეტყველებს ამ ორი ძალის ერთ ალიანსად ჩამოყალიბებაზე. მეტიც, "ნაციონალისტებმა" ბოლო მოვლენებიდან და არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საკუთარი რიგების შეთხელებაზეც იზრუნონ. უახლოეს მომავალში კი ძირითადი ნაციონალისტური აქცენტი ისევ რადიკალიზმსა და პრეზიდენტის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაზე გაკეთდება.

### "ზომიერი ოპოზიცია"

ზომიერება, საერთოდ, ფარდობითი ცნებაა. "გაერთიანებული დემოკრატები" "ზომიერად ოპოზიციურ" ძალად ჩამოყალიბების პრეტენზიით გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს მათი მხრიდან მთავრობის წინააღმდეგ წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლაში "ნაციონალების" მხარდაჭერას. ჩვენ ასეთი თანამშრომლობის მოწმენი დღევანდელ პარლამენტშიც ვართ. ამ თანამშრომლობის საბუთია ის განცხადებაც, რომელიც ამ პარტიების ფრაქციებმა, გუბერნატორების ინსტიტუტების გაუქმებასთან დაკავშირებით, ერთობლივად მოამზადეს.

ბოლოდროინდელი საპარლამენტო გამოცდილება "ტრადიციონალისტებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" პოზიციათა სერიოზულ დაახლოებაზეც მიგვითითებს. თუმცა, მიმდინარე კონსულტაციების მიუხედავად, სამომავლო ალიანსის გაფორმების საკითხი, ჯერჯერობით, ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. სავარაუდოა, რომ ზურაბ ჟვანიას გუნდი ვერ შესთავაზებს "ტრადიციონალისტებს" იმდენ ადგილს საარჩევნო სიაში, რამდენის გაყვანაც მათ "აღორძინების" სახელით მოახერხეს. ამიტომ აკაკი ასათიანს საკმაოდ რთულ არჩევანი აქვს გასაკეთებელი.

სამაგიეროდ, საკმაოდ რეალური ჩანს ჟვანიას გუნდისა და "სახალხოს" დაახლოების პერსპექტივა. "სახალხოს," "აღორძინებასთან" ბოლომდე ვერშემდგარი ალიანსის შემდეგ, რეალური და ძლიერი პარტნიორის შოვნა ძალიან გაუჭირდა. ერთი პირობა, "სახალხო" "ერთობის" სიახლოვესაც კი ვიხილეთ. ამიტომ დღეს პარტიისთვის "გაერთიანებულ დემოკრატებთან" დაახლოების პერსპექტივა რეალური პარტნიორის შოვნის კარგი შანსია, რომელსაც ისინი, სავარაუდოდ, გამოიყენებენ კიდეც.

თავის მხრივ, პოლიტიკური პარტნიორები სჭირდება ჟვანიას გუნდსაც, რათა არჩევნებში 7-პროცენტიანი ბარიერი მისთვის პრობლემა აღარ აღმოჩნდეს.



ანასტასია ლოგვინენკოს ნახატი

### "აღორძინება" და სხვები...

"აღორძინება" საქართველოში განსაკუთრებული შემთხვევაა. დღეს და ყოველთვისაც "აღორძინება" თავის საკუთარ თამაშს თამაშობს. როგორც ჯემალ გოგიტიძემ "24 საათს" განუცხადა, ისინი შევარდნაძის ინიციატივას მხოლოდ მაშინ უჭერენ მხარს, როცა ეს ინიციატივა მათ ინტერესებს ემთხვევა. შევარდნაძეს კი, მოგეხსენებათ, თითქმის ყოველთვის, როცა მას სჭირდებოდა "აღორძინების" ხმები, ასეთი "თანმხვედრი" წინადადებების შეთავაზება მშვენივრად შეეძლო. თანაც, პრეზიდენტის "ახალი ოპოზიციონერები" აბაშიძის დაუძინებელი მტრების რეპუტაციით სარგებლობენ.

"აღორძინებას" (რეგიონალური გავლენიდან გამომდინარე) გააჩნია თავისი საკუთარი ხმები. მათი იმედით "აღორძინება" ოპოზიციურ იმიჯს, ალბათ, მაინც ვერ შეელევა. თუმცა, ცალკეულ გარიგებებზე წასვლის ფუფუნების უფლებას თავს, სავარაუდოდ, კიდევ მისცემს.

"აღორძინებასთან" ახლო კავშირის პერსპექტივას, როგორც ზემოთ ვთქვით, ისევ ვერ გაექცევიან "სოციალისტები."

"ოცდამეერთე საუკუნედ" წოდებულ ფრაქციაში გაერთიანებულ პოლიტიკოსებსაც, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, სხვაგვარი არჩევანი არ გააჩნიათ.

*დღეს ამგვარად გამოიყურება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში შექმნილი სიტუაცია, რომელსაც დღევანდელი ფეთქებადსაშიში სიტუაციიდან გამომდინარე, თამამად შეგიძლიათ უწოდოთ "წინარევოლუციური".*

# „რუსულ ვარიანტში" მოქმედ პირთა ნაწილი უკვე სცენაზეა,

## „ქართული ვარიანტის" გმირები ჯერ მხოლოდ ემზადებიან

ბადრი კოპლატაძე

5 ივლისს გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ The Wall Street Journal-მა გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტის წევრის დავით გამყრელიძის სტატია, რომელსაც საკმაოდ შთამბეჭდავი სათაური აქვს: "ჩვენ - ვინც ვიცით, რომ ბოროტება ნამდვილად არსებობს მსოფლიოში". სტატიის დასაწყისში ქართველი დეპუტატი ხოტბას ასხამს ჯორჯ ბუშისა და რონალდ რეგიანის დამსახურებებს დემოკრატიის და თავისუფლების განტკიცების საქმეში. დამალული არაა, ასევე, სტატიის ავტორის სიმპათია ისრაელის მიმართ, რაც, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ იმას, რომ სწორედ ახლების ინიციატივით მიიღო პარლამენტმა ისრაელის მხარდამჭერი რეზოლუცია. მაგრამ ჩვენს მიზანს მაღალფარდოვანი ფრაზებით საკმაოზე მეტად გაჯერებული ამ სტატიის დაწვრილებითი განხილვა სულაც არ წარმოადგენს, მთავარ ყურადღებას სტატიის იმ ნაწილს მივაპყრობთ, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება. დავით გამყრელიძის აზრით, ქართული დემოკრატია მუდმივი საფრთხის ქვეშაა და ჩამოთვლილია ის საფრთხეები, რომელიც ქართული სახელმწიფოს განვითარებას ემუქრება. ჩვეულებრივი ქართველისთვის ეს ჩამონათვალი არც თუ ორიგინალურია – დღეს აღარავინ დავობს, რომ ქვეყანაში სამთავრობო კორუფცია და მაფია ყვავის. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, წერილის ის ნაწილია, როდესაც დავით გამყრელიძე 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ეს არჩევნები შეიძლება საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს გამოცდად იქცეს. გამყრელიძის აზრით, პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში, ქვეყნის წარმატების უმთავრეს პირობად, დემოკრატიული ფასეულობების და დემოკრატიული ლიდერების არსებობა უნდა იქცეს. სხვათაშორის, პარლამენტარი იმასაც აღნიშნავს, რომ ბოლო უნდა მოეღოს ქვეყანაში რელიგიურ ძალადობას. საბოლოო ჯამში გამყრელიძის თეზისები ასე გამოიყურება: დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვა, კორუფციის დამარცხება, ეკონომიკის მართვის საბჭოური სტილის შეცვლა. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ქართულ პოლიტიკას მეტნაკლები ყურადღებით აკვირდებიან, ძალზე ადვილი შესამჩნევი იქნება, რომ ეს ფრაზები ძალზე ჰგავს იმ განცხადებებს, რომლებსაც დასავლეთზე ორიენტირებული ყოფილი მოქკავშირელები აკეთებენ. ამიტომაც ბუნებრივად იბადება კითხვა, რა იმალება ყველაფერ ამის უკან?

ყველაზე მარტივი იქნებოდა გვევარაუდა, რომ დავით გამყრელიძემ და ახლებმა გადაწყვიტეს, ტაქტიკა შეეცვალათ და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებაზე აიღეს სწორება. ამასვე დაადასტურებდა, თუნდაც, მათი ბოლოდროინდელი საპარლამენტო მოღვაწეობის სახეცვლილებები, რაც ყველაზე კარგად ადვოკატურის კანონის განხილვისას გამოჩნდა. თუმცა, ცოტა უცნაური იქნებოდა, თუ რატომ დაიწყეს ახლებმა რელიგიურ ძალადობაზე საუბარი ახლა, როდესაც ეს პროცესები უკვე წლების განმავლობაში მიმდინარეობს. მაგრამ ეს ყველაფერი არის ის, რაც ზედაპირზე დევს. პროცესები კი, როგორც ჩანს, უფრო სიღრმეში მიმდინარეობს.

უკვე აღარავინ დავობს, რომ ყველა პოლიტიკური ძალა მეტნაკლები აქტივობით ემზადება ე.წ. პოსტშევარდნაძისტული ეპოქისათვის. ბუნებრივია, ასეთი ეპოქის არსებობა ყველაზე უფრო აშინებთ მათ, ვინც ყველაზე მეტი სარგებელი ნახა გასული წლების განმავლობაში – კორუფციაში ჩართულ ჩინოვნიკებს და მათთან დაკავშირებულ ბიზნეს ჯგუფებს. ბუნებრივია ისიც, რომ ისინი თავისებურად ცდილობენ, მომზადებულნი შეხვდნენ 2005 წლის აპრილს. მათი ინტერესი საკმაოდ მარტივია და არც არავისთვისაა დაფარული – შეინარჩუნონ ის, რაც დღეს აქვთ. სათქმელად ეს ყველაფერი ადვილია, განსახორციელებლად კი ძალზე რთული. ამიტომაც ეს ძალები, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები, ამუშავებენ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარს. დღეისათვის გამოიკვეთა ორი მიმართულება. ამასთან, როცა ვსაუბრობთ ორ მიმართულებაზე, ეს სრულიად არ გამორიცხავს, რომ პოლიტიკური ტექნოლოგები მხოლოდ ამით დაკმაყოფილდებიან. დასაშვებია ისიც, რომ, სულ ცოტა ხანში, კიდევ სხვა პროცესებმა იჩინოს თავი, რომელთა ნიშნები დღეს მხოლოდ ეპიზოდურად გაიელვებს ხოლმე.

პირველი ვარიანტი საკმაოდ ბანალურია და "ქართველი პუტინის" თეორიის სახელით არის ცნობილი. ეს საკმაოდ მარტივი გზაა და მისი მიმდევრების მთავარ იდეოლოგიურ საფუძველს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გამოცდილება წარმოადგენს. თუმცა, რატომღაც, არ ითვალისწინებენ რამდენიმე ხელისშემშლელ მომენტს. საქართველოში რუსეთისაგან ბევრად განსხვავებული სიტუაციაა. დროებით გვერდზე გადავდოთ მენტალური განსხვავებულობა, რომელიც აშკარაა და რომელიც არანაირად არ მეტყველებს ქართველი პუტინის თეორიის სასარგებლოდ. მნიშვნელოვანი უფრო ის არის, რომ მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, ჩვენი ქვეყანა ბევრად უფრო წინ არის დემოკრატიულობის თვალსაზრისით, ვიდრე რუსეთი. სამოქალაქო ცნობიერება, შეიძლება მდორე ტემპებით, მაგრამ მაინც ყალიბდება და სულ უფრო ძნელი ხდება საზოგადებისათვის თავზე მოხვევა იმ პრინციპებისა, რომლებიც რუსეთში უპრობლემოდ განხორციელდა.

გარდა ამისა, პუტინის თეორიის მიმდევრები ხშირად ივიწყებენ იმ ფაქტს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, პირველ რიგში, სწორედ ის ადამიანები დატოვა თამაშგარეთ, ვინც მის მოსვლას ხელი შეუწყო. ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან და ზოგიერთი მათგანი დღეს საქართველოში განაგრძობს მოღვაწეობას. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთი საქართველოში გაცილებით მეტ და ეფექტურ ბერკეტს ფლობს, ვიდრე რუსეთში ფლობდა. ორიენტაციის მომენტს კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც ასეთი ვარიანტი საკმაოდ ფრთხილ მიდგომებს მოითხოვს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ პუტინამდე ამ ვაკანსიაზე რამდენიმე კანდიდატურა მოისინჯა. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც უფრო დეტალებია. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ პუტინის ვარიანტის განხორციელებას სჭირდება რამდენიმე სასიცოცხლოდ აუცილებელი ფაქტორის არსებობა. პირველი და გადამწყვეტი, რამაც პუტინის გაპრეზიდენტებაში მთავარი როლი ითამაშა, იყო ჩეჩნეთი – შეიქმნა მტრის ხატი (ბუნებრივია, არც თუ უსაფუძვლოდ), რომელიც შემდეგ წარმატებით განადგურდა. მართალია, პუტინთან მაშინ დაკავშირებული ბევრი პიროვნება დღეს ამბობს, რომ ეს ყველაფერი ფარსი იყო, მაგრამ ამას აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამ ვარიანტის განმეორებისათვის "ქართველი პუტინობის" კანდიდატებმა რაღაც ყველასთვის საგრძნობი საფრთხე წარმატებით უნდა დაძლიონ, რათა გაანეიტრალონ ის დიდი უარყოფითი მუხტი, რაც მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ არსებობს. ჯერჯერობით, ასეთი შექმნილი საფრთხე საქართველოში არ ჩანს (თუმცა, არ არის გამორცხული, გამოჩნდეს კიდეც).

მიუხედავად ყველაფრისა, ეს ვარიანტი მაინც ინარჩუნებს აქტუალობას, მაგრამ, ნაკლებად სავარაუდოა ამ სცენარში ჩაეწეროს ავთანდილ ჯორბენაძე, რომელზეც ბოლო პერიოდში ბევრს და აქტიურად მსჯელობენ. იმ ფონზე, როცა საუბარია საბიუჯეტო კრიზისის ახალ ეტაპზე და დაპირებების შეუსრულებლობაზე, ძნელი წარმოსადგენია, რომ უახლოეს მომავალში რაიმეს დაძლევაზე ან წარმატებაზე იყოს საუბარი. უფრო მოსალოდნელია წარუმატებლობათა სერიის გაგრძელება და, აქედან გამომდინარე, უკვე დღეს მკვიდრდება აზრი, რომ ჯორბენაძის შემდეგ კიდევ ვიღაც იქნება.

"პუტინის ვარიანტის" სისუსტე აშკარად მოითხოვს მოვლენათა განვითარების ალტერნატიული ვარიანტების ძიებას. ამიტომ შეიძლება, შეიქმნას "ქართული ვარიანტიც", ანუ ხელისუფლებიდან კი არ მოხდეს ლიდერის ჩანაცვლება, არამედ - ოპოზიციიდან. ეს ვარიანტი ჯერ აპრობირებული არ არის და ყველაზე მეტი ბუნდოვანება სწორედ მას ახლავს. პოლიტიკოსის როგორი ტიპი ან როგორი ჯგუფი შეიძლება გახდეს ასეთი სცენარის განმახორციელებელი? აქ უნდა გამოიყოს ორი ძირითადი ნიშანი:

პირველი - ის მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ზემოთ მოხსენიებულ კორუფციაში ჩართულ ჩინოვნიკებთან და მათთან ასოცირებულ ბიზნესმენებთან.

მეორე - ჰქონდეს მკაფიოდ გამოკვეთილი ორიენტაციული მიდგომა, ანუ დასავლეთი მასში არ უნდა ხედავდეს მოწინააღმდეგეს.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანი კითხვაა, რა გზებით შეძლებენ ასეთი ჯგუფის ხელისუფლებაში მოყვანას. ამ მხრივაც მეთოდები საკმარისზე ბევრია. არ არის გამორიცხული საკრებულოს არჩევნები ამ მიდგომის აპრობაციის ერთ-ერთი საშუალება ყოფილიყო. არჩევნებმა დაადასტურა, რომ ეს მეთოდი შეიძლება, საკმაოდ ეფექტურად გამოიყენო, განსაკუთრებით - რეგიონებში, თუმცა თბილისის შედეგები ამ ჯაჭვში ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა. პრინციპში ეს მიდგომა, როგორც ჩანს, კვლავ აქტიურად განიხილება. უბრალოდ, მოხდება იმ შეცდომების გათვალისწინება, რომელიც დაშვებულ იქნა. მთავარი, ალბათ, ის არის, რომ ამ სცენარში ჩამჯდარმა ჯგუფებმა უფრო მეტად უნდა მოახდინონ თავისი ოპოზიციურობის იდენტიფიკაცია, რადგანაც თბილისელი ამომრჩეველი საკმაოზე მეტად ერკვევა პოლიტიკურ ინტრიგებში და მხოლოდ თითოოროლა ფრაზით ძნელია მისი შეცდომაში შეყვანა. ამისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მთავრობასთან გარკვეულ კონფრონტაციაში შესვლა. ამ მხრივ გასაღები შეიძლება აღმოჩნდეს ერთი შეკითხვა, რომელიც ავთანდილ ჯორბენაძეს დეპუტატმა გია ყარყარაშვილმა დაუსვა: რა გააკეთეთ, ბატონო ავთო, ისეთი, რომ ის ფრაქციები, რომლებიც არჩევნებამდე თქვენთან იყვნენ, დღეს თქვენ წინააღმდეგ გამოდიანო. ჯორბენაძეს ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია და ვერც გასცემდა, რადგანაც მისი ადგილი მხოლოდ პირველ, პუტინის ვარიანტშია განხილული და განსაზღვრული.

ზემოთ აღწერილი ორი ტექნოლოგიური მიმართულება, თავისთავად, ერთმანეთს სრულიადაც არ გამორიცხავს. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით ავსებს კიდეც. განსხვავება მხოლოდ ერთია: "რუსულ ვარიანტში" მოქმედ პირთა ნაწილი უკვე სცენაზეა, "ქართული ვარიანტის" გმირები კი, შეიძლება, ჯერ მხოლოდ ემზადებიან როლისთვის.

პირველი ლიტერატურული ექსპორტი B4

ტური ემიგრაციიდან დაბრუნდა B7

TV პროგრამა B8

www.24hours.ge 24 B

# ოდრი ჰეპბერნი ცოცხალია!

## მაღალი მოდის კვირეული დღეს იხურება B2



კრისტიან ლაკრუა თავის მოდელთან

REUTERS

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# ოდრი ჰეპბერნი ცოცხალია!

## მაღალი მოდის კვირეული დღეს იხურება



გალიანოს მოდელი მერილინ მონროს ეფექტით REUTERS



გალიანოს მოდელი REUTERS



გალიანო შოუს დასასრულს REUTERS

თამარ ბაბუაძე

**ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის ვარაუდით, გუშინ პარიზში უმეტესწილად ღრუბლიანი ამინდი იდგა, უმაღლესი ტემპერატურით 21 გრადუსი ცელსიუსი. თუმცა, ეს პროგნოზი მხოლოდ "დაბალ" პარიზელებს აუცხადდათ. მაღალი საზოგადოებისთვის კი გუშინ ისე ცხელოდა, როგორც საჰარაში იცის ხოლმე. მიზეზი ის ემოციები და შთაბეჭდილებები იყო, რაც მათ მაღალი მოდის ჩვენებებზე მიიღეს.**

**საპატიო სტუმართა "მაღალ" გემოვნებას ოსკარ დე ლა რენტას, კრისტიან ლაკრუას, ჯონ გალიანოს და კარლ ლაგერფელდის ნამუშევრები ატკბობდა...**

მოდა ბოჰემაა და მოდელებისთვის დღე აუცილებლად დილის შვიდ საათზე, ცივი შხაპითა და გამამხნევებელი ვარჯიშით არ იწყება. თუმცა, მოდის კვირეული თავისთავად მკაცრ გრაფიკსაც გულისხმობს და პარიზის დროით თერთმეტის ნახევარზე დილის ძილს ნაჩვევი სტუმარიცა და მასპინძელიც უკვე "შანელის" სათავო ოფისშია შეკრებილი. პოდიუმზე კარლ ლაგერფელდი "შანელის" სამოდელო სახლისთვის გაკეთებულ კოლექციას აჩვენებს. ლაგერფელდი ამ ახალი კოლექციით ოდრი ჰეპბერნს აცოცხლებს. პოდიუმზე მოსეირნე მოდელებს ფილმის "საუზმე ტიფანისთან" დროში გადავყავართ. მაღალი, ვიქტორიანული სტილის საყელოები, კოჭზე შეკრული ფეხსაცმელები, მანჟეტებიანი კაბები – ყველაფერი ძალიან ელეგანტური და პარიზული...

მუსიკალური ფონის მაგივრად მეტალის ჟღარუნი და ზარების წკარუნი ისმის – მოდელებს ქვედაბოლოების ქვეშ შუშის მძივებით მორთული თეთრეული აცვიათ, კოჭებზე კი ოქროს სამაჯურები უკეთიათ, აბრეშუმის, თავთის და სატინის ტანსაცმელზე წვრილ-წვრილი მეტალის ორნამენტებია გაფანტული. განათებას კი ანტიკვარული შანდლები უზრუნველყოფს – ასე უკეთ კაშკაშებს პატარა ზომის სამკაულები, რომლებიც ლაგერფელდს თითქმის ყველანაირ სამოსზე აქვს გამოყენებული.

თავად ავტორის განმარტებით, ეს კოლექცია "საწინააღმდეგო საწყისების მიზიდვაზეა" აგებული – სიმშვიდე და თავქარიანობა, პურიტანიზმი და ექსტრავაგანტულობა, სიკეთე და ბოროტება, სწორი გრაფიკული ხაზები და ბაროკოს სტილში გადაწყვეტილი, უსწორმასწორო ფორმები.

ლაგერფელდის ამ ფილოსოფიას უცნაური კომბინაციები გადმოსცემს: მკაცრ, მონაზონის სტილის შავ ქურთუკებზე მოდელებს შიფონის შარი-შურა, პრეტენზიული ქვედაბოლოები აცვიათ, რომელთაც მძივები და ათასფეროვანი კამელიები ამშვენებთ. ასევე მკაცრ, სწორ, ბოლო ღილამდე შეკრულ პალტოებში კი ექსტრავაგანტული შარვლები მოჩანს. გრძელი, ნაცრისფერი შალის კაბები წინა მხრიდან სიმკაცრის განსახიერებაა, უკან კი ხელით ამოქარგული აბრეშუმის ვარდები ამშვენებს. "საწინააღმდეგო საწყისების" მიზიდულობაზე მეტყველებს შავისა და თეთრის რაფსოდია, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ცვლის კრემისფერი, ოქროსფერი და ღია ვარდისფერი.

შემდეგ, ლაგერფელდისა და მისი რამდენიმე კოლეგის ჩვენებებით გახურებული საზოგადოება კრისტიან ლაკრუას დარბაზში გადადის. მოდაშიც რომ არსებობდეს ტერმინი, "მისტიკური რეალიზმი", ყველაზე უკეთ ფრანგი დიზაინერის შემოდგომა-ზამთრის კოლექციას სწორედ ის განსაზღვრავდა.

მოდელებს მძივებიანი ნიღბები უკეთიათ, მყვირალა, ელექტრული ფერები მოსავთ. ესპანური განწყობა, სალსას გამოძახილი ჰაერშიც კი იგრძნობა. ოქროსფერ ტყავის ქურთუკებზე – დრაპირებული შიფონის კაბები, ტორეადორის სტილის მოკლე ჟაკეტებზე – მძივებით მორთული სატინის შარვლები და ბოლოს, სექსუალური მანჟეტებიანი მინი-კაბები ყველანაირ ფერში.

ანუ, კრისტიან ლაკრუას მუზად ლათინური ამერიკის ქუჩის ფესტივალები მოევლინა და დიზაინერმაც ახალი კოლექცია რელიგიური წარმოსახვებითა და მისტიკური ელემენტებით გაამდიდრა. თუმცა, არა მარტო ამით: **"ეს კოლექცია აერთიანებს ყველაფერს, რაც მიყვარს, რაც ოდესმე მყვარებია, რისი გამოხატვაც ყოველთვის მსურდა. ის გახლავთ რეზიუმე მთელი ჩემი შთაგონებისა, ეს იქნება ფელინის თუ ვისკონტის ფილმები"**, - განაცხადა ლაკრუამ შოუს დასრულების შემდეგ.

ეხლა კი, პარიზის დროით, საღამოს შვიდის ნახევარია. პიერ ბალმეინის სამოდელო სახლისთვის ოსკარ დე ლა რენტა მაღალი მოდის უკანასკნელ კოლექციას წარმოადგენს. კონტრაქტის დასრულებისთანავე, დე ლა რენტა ნიუ იორკში გადადის და თავისი სახელობის მზა ტანსაცმლის ხაზს და სუნამოს ბიზნესს იწყებს. კრისტობალ ბალენსიაგასა და ელიზაბეტ არდენის შემდეგ, ოსკარ დე ლა რენტა პიერ ბალმეინის სახლისთვის 1993 წლიდან მუშაობს. მისი გამოსამშვიდობებელი კოლექცია მართლაც შთამბეჭდავია. შოუს ესპანეთის პრინცესა ელენე, საბერძნეთის პრინცესა მარი-შანტალი, მისი და ალექსანდრა ფონ ფურსტენბერგი და იტალიელი დიზაინერი ვალენტინო გარავანი ესწრებიან.

დიზაინერის შთაგონების წყარო რუსული ზამთარია და ეს განწყობა შესაბამისი დეკორაციებით არის შექმნილი – მოდელები პოდიუმზე, გამჭირვალე ცის და ვერცხლისფერი რტოების ფონზე დასეირნობენ, შოუს მუსიკალურ აკომპანიმენტს კლასიკად ქცეული ფილმის "დოქტორ ჟივაგოს" თემატური მელოდია უწევს. მოდელები შოკოლადისფერი ქაშმირის პალტოებში და დიდი ზომის ბეწვის ქუდებში არიან შემოსილები. თუმცა, დე ლა რენტას მაღალი მოდა ყველაზე ცხადად იგრძნობა საღამოს კაბებსა და გამოსასვლელ პალტოებში, რომელსაც მდიდრული ნაქარგები, ბრილიანტის გულსაბნევები და საყურეები ამშვენებს.

ანუ, ყველაფერი ექსკლუზიურად მაღალი საზოგადოებისთვისაა გათვლილი. დიზაინერების ექსტრავაგანტულ, ავანგარდულ, ბოჰემურ ფანტაზიებს ისინი თუ გაუგებენ და დააფასებენ.

მოკლედ, მოდა მართლაც ბოჰემაა, მაგრამ დილის ძილი მაღალ საზოგადოებას ვერც დღეს ეღირსება. ჩვენებების ბოლო დღეს, პარიზის დროით, დილის 11 საათზე ჟან პოლ გოტიეს კოლექციის პრეზენტაციაა დაგეგმილი. ეს ისეთი სანახაობაა, რომლის გულისთვისაც, მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონები და ექსპერტები დიდი სიამოვნებით დაიფრთხობენ ძილს. თანაც ამ თვეში, ალბათ, უკანასკნელად – დღეს ხომ მაღალი მოდის პარიზული კვირეული იხურება. ხვალიდან თითოეული ელიტარული გარდერობი შემოდგომა-ზამთრის მაღალი მოდის კოსტუმებით უკვე სავსე იქნება.







ლაკრუამ თავისი მოდელები ლათინური ამერიკის ქუჩის ფესტივალებით შთაგონებულმა შემოსა REUTERS



სატელეფონო კავშირი
8-07
www.online.ge

# მოკრძალებული საჩუქარი კოლეგებისაგან

## ეროვნულ გალერეაში თამაზ ნუცუბიძის პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა



გამოფენაზე — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნატო დარჩიაშვილი

სურათების ეროვნულ გალერეაში 9 ივლისს უამრავმა დამთვალიერებელმა მოიყარა თავი, გალერეის სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს აწ გარდაცვლილი ცნობილი ქართველი მხატვარი, გობელენის ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი თამაზ ნუცუბიძე, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა ქართული გამოყენებითი ხელოვნების ისტორიაში. მხატვრის კოლეგებმა და მეგობრებმა დიდხანს ისაუბრეს თამაზ ნუცუბიძის ღვაწლზე, მხატვრული ხედვისა და ხელწერის თავისებურებებზე, მის პიროვნულ თვისებებზე.

თამაზ ნუცუბიძე წლების განმავლობაში სამხატვრო აკადემიის გობელენისა და მხატვრული ქსოვილების კათედრას ხელმძღვანელობდა. მონაწილეობდა 24-მდე გამოფენაში, მისი ნამუშევრები თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, ლოს ანჟელესის, დენვერის, ნიუ იორკის, მიუნხენისა და ამსტერდამის კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში ინახება. მისი პერსონალური გამოფენა წელს პირველად მოეწყო. ამ გამოფენაზე ხელოვანის შემოქმედება 20 გობელენითა და 40 გრაფიკული ნამუშევრით არის წარმოდგენილი, თუმცა შემოქმედს ფერწერაშიც მოუსინჯავს თავისი ფუნჯი. “თამაზ ნუცუბიძე თავისი საქმის ოსტატი იყო, - ამბობს გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი თამარ გრიგოლია, - სამწუხაროდ, მხატვრის პერსონალური გამოფენის მოწყობა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა შესაძლებელი; მაგრამ მაინც სასიხარულოა, რომ ეს გამოფენა გაიმართა. ფართო აუდიტორიისათვის თამაზ ნუცუბიძის შემოქმედების წარდგენა ქართული გობელენის ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია.”

წითელ-ყვითელი, შავ-თეთრი ფერების წინა პლანზე წამოწევით მხატვარი თავის განწყობას, ცხოვრების თავისებურ ხედვას გადმოგვცემს. მის გობელენებში ერთმანეთს ერწყმის სევდიანი შემოდგომისა და მხიარული გაზაფხულის განწყობა. “თამაზ ნუცუბიძეს სრულიად ორიგინალური ხელწერა აქვს, ამ ხელწერით მხატვარმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გობელენის ისტორიაში. ეს გამოფენა ჩვენი მოკრძალებული საჩუქარია, რომელიც მის ცხოვრებას, ხსოვნას მივუძღვენით,” - ამბობს თამაზ ნუცუბიძის პედაგოგი, მხატვარი გივი ყანდარელი.

“შემოდგომა”, “ზაფხული”, სახელოსნოში”, “ტრიპტიხი დილა”, “ქალის ფიგურა”, “რიტმული კომპოზიცია” და უამრავი სხვა ექსპონატი მნახველს ეროვნულ გალერეაში 15 ივლისამდე ელოდება.

გამოფენაზე დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა შეიძინოს კატალოგი, რომელშიც თამაზ ნუცუბიძის არაერთი ნამუშევრის რეპროდუქციას შეხვდება. კატალოგი მხატვრის შვილებმა, ნიკოლოზ და ბექა ნუცუბიძეებმა შეადგინეს.

# ფოთის თეატრალური დასი შიმშილობს

როგორც "ინტერ-პრესის" კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ტაძრის გადარჩენისათვის", ფოთის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი ფოთის თეატრის შენობის ეპარქიისათვის გადაცემის მოთხოვნით შეიკრიბა, რამაც თეატრის დასის მხრიდან შიმშილობის დაწყება გამოიწვია. ფოთის სახელმწიფო თეატრის შენობაში თეატრალური დასის ასამდე თანამშრომელი შიმშილობს. მათი განცხადებით, სანამ, ხელისუფლება ოფიციალურად არ დაადასტურებს, ინფორმაციას თეტრალური დასისათვის ახალი შენობის მშენებლობის დაწყების შესახებ, ისინი შიმშილობის აქციას არ შეწყვეტენ. "ჩვენ ქრისტიანები ვართ და არ გვინდა დავუპირისპირდეთ სამღვდელოებას. როგორც კი დაიწყებენ ახალი თეატრის მშენებლობას, ჩვენ თეატრის ძველ შენობას დავტოვებთ", - აცხადებენ მოშიმშილეები.

როგორც "ინტერ-პრესს" მამაო გიორგი ბერბიჭაშვილმა განუცხადა, ამჟამინდელი ფოთის სახელმწიფო თეატრის შენობა იმ პირველ ეკლესიის საძირკველზეა აგებული, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში აკურთხეს. სწორედ ამიტომ ფოთის ეპარქია და მრევლი ითხოვს ისტორიულ შენობაში დაბრუნებას.

ფოთის ამჟამინდელი სახელმწიფო თეატრის შენობის მშენებლობა 1906 წელს დაიწყო და 1907 წელს უსახსრობის გამო შეჩერდა. 1932 წელს შემოწირულობების ხარჯზე მშენებლობა გაგრძელდა და 8 თვეში მცირედი შემოწირულობის გამო კვლავ შეჩერდა. 1934 წელს შენობა ფოთის მაშინდელ ხელმძღვანელობას გადაეცა, რომელმაც აღნიშნული ნაგებობა ფოთის თეატრალურ დასს გადასცა. შენობის მშენებლობა შავი ზღვისპირეთის სამხედრო ფლოტის ინჟინერ-მშენებლებმა დაასრულეს. ფოთის ეპარქიას ხელთ აქვს ამ შენობის ტერეს სტეფანოვის პროექტი, რომელზედაც ბიზანტიური გუმბათია გამოსახული, რაც ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა თქმით, ადასტურებს, რომ ამ შენობას საძირკველი ეკლესიის მშენებლობისათვის ჩაეყარა. *(ინტერ-პრესი)*

## საგამოფენო დარბაზები

- ✓ **ეროვნული გალერეა**
  თამაზ ნუცუბიძის გამოფენა
- ✓ **საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
  გიორგი მაქაცარიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- ✓ **ორიენტი**
  80-იანელების ფოტოარქივი
- ✓ **ქარვასლა**
  თინათინ კლდიაშვილის გამოფენა: ბატიკა და გობელენი
  “ვიზუალური კვლევა წამების გარშემო”: ვატო წერეთლის, გურამ წიბახაშვილის, გიო სუმბაძისა და ლევან ჭოლოშვილის ნამუშევრების გამოფენა
- ✓ **New art**
  “ხელოვნება თქვენს სივრცეში”: თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა
- ✓ **შერატონ მეტეხი პალასი**
  გია გუგუშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)
- ✓ **ჰობი**
  თამაზ ყიფშიძის, მურმან მახათაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- ✓ **ვერნისაჟი**
  ნიკო ცეცხლაძის, ლიკა ქავჟარაძის და შოთა კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
- ✓ **სალონი ხელოვნება**
  ხელოვნების ნიმუშების და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა
- ✓ **ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
  გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

## კინოთეატრები

- ✓ **რუსთაველი**
  “ადამიანები შავებში”, დას: 17:00; 19:00; 21:00; 22:30
- ✓ **ამირანი**
  “შოუ იწყება”, დას: 19:00
  “დროის მანქანა”, დას: 21:00; 10:30

# პირველი ლიტერატურული ექსპორტი

## თანამედროვე ქართული ლიტერატურა ინგლისურად

ვერა ნეფარიძე

**თუკი პირველი ინგლისურენოვანი თანამედროვე ქართული ლიტერატურული ალმანახის გამოცემა ყველა შემთხვევაში საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა ჩვენთვის, მაშინ გუშინდელი მოვლენა (ალმანახის პრეზენტაცია გუშინ, კონსერვატორიაში გაიმართა) ორმაგად განსაკუთრებული იყო. ჩვენი აზრით, ეს იყო პრეცედენტი, როდესაც სერიოზული ბიზნესიდან ფული სერიოზულ კულტურულ პროექტში ჩაიდო. ამერიკული პრეზენტაციის შემდეგ ალმანახ “ახალ საუკუნეს” (New Century) ქართველი მკითხველიც გაეცნო.**

თანამედროვე ქართული ლიტერატურის მსოფლიო არენაზე ამ ფორმით გატანა საკუთარ თავზე აიღო გიორგი ჭანტურიამ (საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია). ცხადია, სპონსორები ფინანსურად დაეხმარნენ პროექტს, რომელიც შემოქმედებითი ჯგუფის გარეშე ვერ გაკეთდებოდა. “ახალი საუკუნე” ლიტერატურული ალმანახის, “მეოცე საუკუნის” (რომელიც, როგორც ამბობენ, სექტემბრიდან განახლდება) ბაზაზე შეიქმნა, ანუ, ინგლისურენოვანი ვერსიისთვის ნაწარმოებები “მეოცე საუკუნეში” გამოქვეყნებული თანამედროვე პოეტური, პროზაული და დრამატული ნამუშევრებიდან შეირჩა. საბოლოო ჯამში, ალმანახში თავმოყრილია დათო მაღრაძის, გაგა ნახუცრიშვილის, გიგი სულაკაურისა და ამირან სიმონიშვილის პოეზია; პირველ ნომერში ქართული დრამატურგია, ალბათ, ყველაზე პოპულარული თანამედროვე პიესით, ლაშა თაბუკაშვილის “იასამანით” არის წარმოდგენილი; რაც შეეხება პროზას, ნომერში შეტანილია ცხრა ავტორი (ვაჟა გიგაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ირაკლი ჯავახაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ზურაბ სამადაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, ქეთი ნიჟარაძე), მათ შორისაა ისეთი "ცხელ-ცხელი" ნაწარმოებები, როგორიცაა დათო ტურაშვილის “ჩემი ირლანდიელი ბაბუა” და აკა მორჩილაძის “წიგნი”.




ზაალ სამადაშვილი და გიორგი ჭანტურია — იური ლობოდინის ფოტო

ალმანახს პირველად გაზაფხულზე ამერიკაში გაეცნენ. ამ მისიით ქართული დელეგაცია გია ბუღაძის, რეზო თაბუკაშვილის და პროექტის რამდენიმე წარმომადგენელი ვაშინგტონის სენტ-ლუისის, იელის უნივერსიტეტებსა და კონგრესისი ბიბლიოთეკას ესტუმრა. ამერიკელები ალმანახის თბილისურ პრეზენტაციასაც დაესწრნენ. “ეს ალმანახი ამერიკელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება; ისინი უკეთესად, სულ სხვა კუთხით დაინახავენ, როგორია ცხოვრება დანარჩენ მსოფლიოში,” – თქვა სენტ-ლუისის პროფესორმა ჯონ ვერჩმა მას შემდეგ, რაც ისტორიულად ჩვენი ინტელექტუალური დონე შეგვახსენა. შედარებით მოკლე გამოსვლა ჰქონდა იელის უნივერსიტეტის პროფესორს, მაიკლ ჰოლკვისტს, რომელმაც მისი ეს ექსცესი თბილისურ დებატებს “დააბრალა”; გიორგი ჭანტურიას თქმით, მისი კორპორაცია სექტემბრისთვის ქართულ-ამერიკულ ინტელექტუალურ დებატებს გეგმავს. საამისოდ თბილისში ამერიკიდან ცნობილი და საინტერესო მეცნიერები შეიკრიბებიან. ასე რომ, ქართული სანავთობო კორპორაცია სერიოზულ კულტურულ-ინტელექტუალურ ღონისძიებებს გვპირდება. ამას გარდა, ჭანტურიამ გუშინდელ პრეზენტაციაზე საზოგადოებას ალმანახის პერიოდულობისა და სტაბილურობის გარანტიაც მისცა და გუშინდელი მოვლენის მნიშვნელობაზეც ისაუბრა: “ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგანაც ამ ალმანახით საქართველო მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ლიტერატურული პოტენციალით დაბრუნდა”. გამომცემლობა “საარში” დაბეჭდილ ალმანახს, გიორგი ჭანტურიას თქმით, მალე ევროპელებიც გაეცნობიან (ალმანახის პრეზენტაცია ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრებშიცაა დაგეგმილი). ამასობაში კი, სარედაქციო საბჭო მორიგ ნომერზე იმუშავებს – ალმანახი ყოველწლიური იქნება.

თბილისის მუზეუმები

# „მსოფლიოს მერვე საოცრება“ საფრთხეშია!

ეკა გვახარია

“მსოფლიოს მერვე საოცრება” – ასე უწოდა ერთ-ერთმა ფრანგმა დამთვალიერებელმა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურს მონახულების შემდეგ. ვფიქრობთ, ეს შეფასება გადაჭარბებული სრულიადაც არ არის.

ხელოვნების მუზეუმი ამჟამად ჩვეული რიტმით ცხოვრობს: ტარდება ექსკურსიები, მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა, სესიები, მუზეუმის გამომცემლობაში იბეჭდება ნარკვევები, არქეოლოგიური ჟურნალები. თუმცაღა, მუზეუმის მთელი პერსონალი, დირექტორით დაწყებული ზედამხედველით დამთავრებული, ძირითადად ენთუზიაზმზე მუშაობს - 18-დან 40 ლარამდე ხელფასი, აუტანელი სიცივე ზამთარში და ზაფხულის გაუსაძლისი სიცხე. ასეთი სურათი, ალბათ, ბევრი სხვა დაწესებულებისთვისაც საკმაოდ ნაცნობია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ხელოვნების მუზეუმში საფრთხე უნიკალურ კოლექციას ემუქრება. მუზეუმის თანამშრომლებს საკუთარ თავზე მეტად ფიროსმანის, კაკაბაძის, გუდიაშვილის, ქიქოძის, ახვლედიანის, ნიკოლაძისა თუ სხვათა ნამუშევრების მდგომარეობა უფრო ადარდებთ.

მუზეუმის დღევანდელი პირობები ძალიან შორს დგას მსოფლიო სტანდარტებისგან. ამას მუზეუმის გარეგნული სახეც მოწმობს. ერთ დროს ლამაზი, ძველებური შენობის ფასადი საგრძნობლად შელახულია. როგორც მუზეუმის დირექტორი, ბატონი ნოდარ ლომოური ამბობს, მუზეუმს არც ქალაქის ცენტრში მდებარეობამ უშველა და არც მერიის შენობასთან სიახლოვემ: “სამწუხაროდ, ვერც ფასადის კოსმეტიკური მოპირკეთება მოხერხდა და ვერც სამარცხვინო ფირნიშების გამოცვლა”. მუზეუმის მთელი შენობა კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, აქ ჯერჯერობით მხოლოდ განათების სისტემის პრობლემა მოაგვარეს, ისიც ამერიკის საელჩოს დახმარებით. ამ თვალსაზრისით “ოქროს ფონდი” ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს; როგორც იქნა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შესაძლებელი გახდა მისი რეკონსტრუქცია. თუმცა “ოქროს ფონდმა” თბილისის მიწისძვრას მაინც ვერ გაუძლო, კედლები აქაც დაზიანდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლავაც დაუმთავრებელია მუზეუმის ახალი შენობა და მისი ბედიც ჯერჯერობით გაურკვეველია, რადგან ამისათვის გამიზნული თანხები სეკვესტრში მოყვა. არადა, მუზეუმის თანამშრომლებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ახალი შენობის მშენებლობის დასრულება მათ ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა: “მუზეუმის ფონდები საშინელ სივიწროვეს განიცდის. ისინი არ შეესატყვისება თანამედროვე დაცვის სტანდარტებს, აბსოლუტურად დარღვეულია ტენიანობისა და ტემპერატურის რეჟიმი. ახალი შენობის მშენებლობა რომ დამთავრდეს, ცოტათი მაინც გვეშველება,” - გაგვიმხილა ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების უფროსმა, ქ-ნმა ეთერ შელიამ.

მთელი მუზეუმი დანესტიანებულია. მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების განყოფილება აღმოჩნდა. ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. “ტენიანობა იმდენად მაღალია, რომ კედლები სველდება, მინები კი ობით იფარება,” – შემოგვჩივლა ამ განყოფილების უფროსმა ქ-ნ-მა ირინა კოშორიძემ და ამაში ჩვენ თვითონაც დავრწმუნდით. ადვილი მისახვედრია, რას ნიშნავს და რას მოასწავებს ეს ყველაფერი მუზეუმში დაცული ექსპონატებისათვის.

მოჭარბებული ტენიანობისგან დაზიანებულ შენობას მიწისძვრის შედეგად გაჩენილი ბზარებიც დაემატა. სამწუხაროდ, საკმაოდ შეუფერებელ პირობებში აღმოჩნდა მშრალ ჰავას შეჩვეული ეგვიპტელი ახალგაზრდა ქალის მუმია (ძვ.წ.აღ. VII-VI სს.), რომ აღარაფერი ვთქვათ უნიკალურ აღმოსავლურ კოლექციაზე: XVIII-XIX საუკუნეების ირანული დაზგური ფერწერის ნიმუშები, ჩინური და იაპონური ფაიფური, სპილოს ძვლის ნივთები, უძველესი ფარდაგები და მრავალი სხვა.

მუზეუმის სხვა განყოფილებ-



ნესტმა მუზეუმის კედლები დააზიანა — გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საც არ ულხინთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებით უკეთესი გარემოა შექმნილი საგანძურში, თუმცა პრობლემები არც აქ აკლიათ. “ძალიან გვჭირდება უფრო მეტი რაოდენობის ცეოლიტი (ნესტის ამკრეფი), ჰაერგაუმტარი ვიტრინები ექსპონატთა ოპტიმალური დაცვისათვის,” – გვითხრა “ოქროს ფონდის” უფროსმა, ბატონმა გიორგი გაგოშიძემ.

სახელმწიფო მუზეუმში დენის ხშირი, გაუთვალისწინებელი ჩართვა-გამორთვა სერიოზულ სირთულეებს ქმნის: ითიშება სიგნალიზაცია, ზიანდება საგანძურში დამონტაჟებული მაღალი ხარისხის ტექნიკური აღჭურვილობა; ბუნებრივია, ეს დამთვალიერებლისთვისაც პრობლემას წარმოადგენს.

საბოლოოდ ყველა პრობლემას მაინც დაფინანსებასთან მივყავართ. ”კულტურის სამინისტრო შეძლებისდაგვარად გვეხმარება,” - აღნიშნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ნოდარ ლომოურმა, - “თუმცა მუზეუმში არსებული სირთულეების დასაძლევად ეს თანხები საკმარისი არ არის. გარკვეულ დახმარებას ვიღებთ კერძო პირებისგანაც, მაგრამ ჯერჯერობით მუზეუმის ფონდის შექმნა მაინც ვერ მოხერხდა”.

მუზეუმის თანამშრომლები სახელმწიფოსგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვენ: “ვინაიდან მუზეუმი სახელმწიფოს ეკუთვნის, მან განძის დაცვისა და უშიშროების პირობებიც უნდა უზრუნველყოს,” - ამბობს ქალბატონი ირინა კოშორიძე, ხოლო ქალბატონი ეთერ შელია გულისტკივილით აღნიშნავს: ”ძალიან დასანანია, რომ ჩვენი ბიზნესმენებიდან არცერთს არ გამოუთქვამს მუზეუმისთვის დახმარების გაწევის სურვილიო”.

სამწუხაროდ, მუზეუმები და მათი პრობლემები ამ არჩევნების დროსაც კი არავის გახსენებია. კარგი იქნებოდა, თუ პოლიტიკური პარტიები ჩვენს სიძველეებზე ზრუნვას მომავალში მაინც გაითვალისწინებენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც საექსკურსიო ბიუროს უფროსმა, ქალბატონმა ბაია ტყეშელაშვილმა აღნიშნა, საგრძნობლად შემცირდა მუზეუმის სტუმარ უცხოელ ტურისტთა რიცხვი, მიზეზი, ალბათ, ყველასათვის გასაგებია. სამაგიეროდ, დამთვალიერებელთა შორის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების რაოდენობამ იმატა.

მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ჩვენამდე მხოლოდ პირამიდებმა მოაღწიეს... ფრანგი დამთვალიერებლის მიერ “მერვე საოცრებად” წოდებულ ქართულ საგანძურს წინ დროის დიდი გამოცდა ელის. ხელოვნების მუზეუმში დაცულმა ექსპონატებმა სხვადასხვა დროს არაერთ განსაცდელს გაუძლეს, მაგრამ ამით თავს ვერ დავიმშვიდებთ. იქნებ ამ წელს მაინც დავუთმოთ უფრო მეტი ყურადღება ჩვენს საგანძურს და ცოტა მეტი ვიფიქროთ ჩვენი სიძველეების გაფრთხილებაზე, წლევანდელი წელი ხომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის წლად არის გამოცხადებული.

# კულტურის სიახლეები მსოფლიო ქსელში



იოკო ონო თავის ნამუშევრებთან ერთად

REUTERS

ნინო ჟანიშვილი

ბერლინში 22-დან 26 ივლისამდე არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესი ჩატარდება. კონგრესზე, რომლის მთავარი თემა იქნება "არქიტექტურის რესურსები", დიდი ყურადღება დაეთმობა ქალაქებში ლანდშაფტური გარემოს, ისტორიული უბნების შენარჩუნებას და მათ ინტეგრირებას ნოვატორულ იდეებთან. სანამ კონგრესი გაიხსნებოდა, ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორი სერ ნორმან ფოსტერი 2002 წლის ოგიუსტ პერეს პრიზით დააჯილდოვეს. მსოფლიოს საუკეთესო ნაგებობის ავტორის ვინაობა კი 26 ივლისს, კონგრესის დასრულების დღეს გახდება ცნობილი. სრულ ინფორმაციას კონგრესის შესახებ ნახავთ შემდეგ მისამართზე: uia-berlin2002.com

სან ფრანცისკოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი წარმოადგენს გამოფენას YES YOKO ONO. დიდი ხნის განმავლობაში იოკო ონო მხოლოდ კონცეპტუალისტების ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, სანამ 1966 წელს ლონდონის გალერეა "ინდიკაში" ჯონ ლენონს შეხვდებოდა. ეხლა კი გამოფენის ანონსირებისას absolutearts.com იოკოს ენდი უორჰოლის თანამებრძოლად მოიხსენიებს. იოკო 1933 წელს, ტოკიოში ბანკირების ოჯახში დაიბადა, რომელიც იაპონიის ინტელექტუალურ ელიტას განეკუთვნებოდა. დადიოდა ისეთ სკოლაში, სადაც მისი კლასელები იყვნენ ახლანდელი იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო და ცნობილი ნოველისტი იოკიო მიშიმა, რომელმაც ხარაკირი გაიკეთა და თავი მოიკლა იაპონიის ვესტერნიზაციისადმი პროტესტის ნიშნად. სან ფრანცისკოს გამოფენასთან ერთად გამოიცა იოკო ონოს შემოქმედებითი კარიერის ამსახველი სრული კატალოგი, რომელსაც თან ახლავს მისი ახალი მუსიკალური ნაწარმოებების კომპაქტ-დისკი. ზემოთ ნახსენებ გვერდზე ნახავთ იოკოს ცნობილ ინსტალაციას "ჭერის მხატვრობა", რომელიც 1966 წელს გალერეა "ინდიკაში" იყო ექსპონირებული.

18 აგვისტომდე ლონდონის Tate Modern მაყურებელს გამოფენით "პიკასო და მატისი" ანებივრებს. გოგენის და ვან გოგის მეტად წარმატებული გამოფენის შემდეგ გალერეა მეოცე საუკუნის ორ გიგანტს წარმოადგენს. განსხვავებით გოგენ-ვან გოგის ერთწლიანი ურთიერთობისა, პიკასოს და მატისის ურთიერთობა 1906 წელს იწყება, რომელიც 1954 წლამდე, მატისის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. ამავე მისამართზე tate.org.uk ნუ დაიზარებთ და ლუსიენ ფროიდის გამოფენაც ნახეთ. ვენელი ფსიქოანალიტიკოსის ზიგმუნდ ფროიდის შვილიშვილი 1922 წელს ბერლინში დაიბადა, 1933 წელს ლუსიენ ფროიდი ოჯახთან ერთად ინგლისში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად მის მხტვრობას პიკასოს ცისფერ პერიოდს ამსგავსებდნენ, მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა რეალისტი მხატვრის შემოქმედებამ სოციალური სიმძაფრე.

ნიუ-ორკში, ფრენკ ლოიდ რაიტის მიერ აშენებულ არქიტექტორულ შედევრს - გუგენჰეიმის მუზეუმს, კიდევ ერთი არქიტექტურული საოცრება მიემატება. საქმე ის არის, რომ გუგენჰეიმის მუზეუმი ინტენსიურად მდიდრდება ახალი კოლექციებით, რასაც მუზეუმი ფიზიკურად ველარ იტევს. განტვირთვის მიზნით ნიუ-იორკში გუგენჰეიმის ახალი მუზეუმი აშენდება. მისი ავტორი ფანტასტიური იდეების მქონე ფრენკ გერი გახლავთ. მის მიერ პრალის ისტორიულ ნაწილში აგებულ შენობას "ჯინჯერი და ფრედი" უწოდეს, რადგან ნაგებობა თავისი ფორმებით გამვლელის თვალწინ "ცეკვავს". ხოლო მსოფლიო აღიარება არქიტექტორს ბილბაოში (ესპანეთი) აგებულმა გუგენჰეიმის მუზეუმმა მოუტანა. ფრენკ გერის ახალ, არაჩვეულებრივ პროექტს, რომელიც დაჭმუჭნულ გაზეთს მოგაგონებთ, იხილავთ საიტზე artdaily.com.

# "ოაზისი" ჯორჯ მაიკლის წინააღმდეგ

Oasis-ის მომღერალი ნოელ გალაჰერი ჯორჯ მაიკლს დაუპირისპირდა. პოპვარსკვლავი მან ახალი, მაგრამ უკვე გახმაურებული ვიდეოს გამო გააკრიტიკა და მაიკლს "მატყუარა და ყალბი" ადამიანი უწოდა. გალაჰერის აზრით, ჯორჯ მაიკლის მცდელობა, სოციალური საკითხები მიმოიხილოს, "სასაცილოა". "ეს არის კაცი, რომელიც 20 წლის განმავლობაში მალავდა თავის ნამდვილ ვინაობას და ახლა, მოულოდნელად ის მსოფლიო წესრიგზე ალაპარაკდა. ეს ჩემში ღიმილს იწვევს", - აცხადებს Oasis-ის წევრი და იმაზე მიანიშნებს, რომ 1998 წლამდე ჯორჯ მაიკლი თავის სექსუალურ ორიენტაციას მალავდა.

სხვათა შორის, მაიკლი ძმები გალაჰერების პირველი და ერთადერთი მსხვერპლი არ არის. Oasis-ელები კოლეგებს ხშირად აკრიტიკებენ. მაგალითად, ნოელი კაილი მინოუგს "დემონურ, პატარა იდიოტს" უწოდებს, ლიამი კი ამტკიცებს, რომ ვიქტორია ბექჰემი წიგნს ვერასდროს დაწერს იმიტომ, რომ ის უჭკუოა.



ლიამ და ნოელ გალაჰერები

REUTERS

# ფოლკლორი მსოფლიოს შეარიგებს

უელსში დაწყებული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი მიზნად ისახავს კაცობრიობის გაერთიანებას. მიზნის აღსრულებისთვის მონაწილენი სიმღერას და ცეკვას მიმართავენ. უკვე რამდენიმე დღეა, უელსის ულამაზეს მთებში ინდური და ბავარიული ხალხური საკრავების ექო გაისმის. ეგზოტიკური ჰანგები ერთმანეთში ირევა და უელსურ კონსერვატიზმსა და სიმშვიდეს არღვევს.

ლანგოლენის საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი ზულუს დოლების შთამბეჭდავი რიტმებით გაიხსნა - ფესტივალზე სამხრეთ აფრიკული ჯგუფი Ladysmith Black Mambazo ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ მათი ჩანაწერები აფრიკაში ყველაზე მეტად იყიდება. ჯგუფმა საერთაშორისო აღიარება რამდენიმე წლის წინ მოიპოვა, როცა პოლ საიმონის აფრიკული ალბომის Graceland-ის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. აფრიკელებთან ერთად, ლანგოლენში 40-მდე ქვეყნის ეროვნული ჰანგები აჟღერდება, მათ შორის, ალიასკადან და იუგოსლავიიდან, ჩინეთიდან და ისრაელიდან.

საინტერესოა, რომ ამ ფესტივალის ფესვები ძველ უელსურ ზეპირ პოეზიას უკავშირდება. თუმცა, ოფიციალურად ლანგოლენი პირველად 1947 წელს გაიხსნა, თანაც ყველაზე კეთილშობილური მიზნით – მსოფლიოსთვის მეორე მსოფლიო ომის ჭრილობები მუსიკით მოეშუშებინა. ფესტივალის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ლანგოლენის მისია არანაკლებ მნიშვნელოვანია წელსაც, როცა მსოფლიო კვლავაც 11 სექტემბრის ტრაგიკული მოგონებებით ცხოვრობს. "56 წლის შემდეგ, 11 სექტემბრის აჩრდილის გამო, შეგვიძლია, თუ არა ვთქვათ, რომ მსოფლიოს ჰარმონია და გაერთიანება არ სჭირდება?", - კითხვას სვამს ფესტივალის თავმჯდომარე გეთინ დევისი.

საინტერესოა ისიც, რომ წლების განმავლობაში, უელსის ამ პატარა ქალაქმა მრავალ ცნობილ სახეს უმასპინძლა, მათ შორის, "სამ ტენორსაც". პლასიდო დომინგოს ბრიტანული დებიუტიც 1968 წელს სწორედ აქ შედგა. წელს, ლანგოლენის ამ ვარსკვლავურ ტრადიციას ბრიტანული ოპერის დედოფალი ლესლი გარეტი გააგრძელებს. მისი გამოსვლა კვირას, ფესტივალის დახურვის საღამოზეა დაგეგმილი.

## უცნობი მიქელანჯელო



REUTERS

მიქელანჯელოს ეს ნახატი ნიუ-იორკის მუზეუმში აღმოაჩინეს. ტიმოთი კლიფორდი – შოტლანდიის ნაციონალური გალერეების დირექტორი, რომელიც ნიუ იორკში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა, ძველ ნახატებს ათვალიერებდა, როცა ეს ნამუშევარი იპოვა. ნახატი ხელმოუწერელია, თუმცა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ის მიქელანჯელოს ეკუთვნის და 1500-იანი წლებში უნდა იყოს შექმნილი.

ნახატი მუზეუმმა 1942 წელს 60 დოლარად შეიძინა, დღეს კი მისი ფასი 12 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. სავარაუდოდ, მიქელანჯელოს ეს უცნობი ნამუშევარი შტატებში ლონდონიდან ჩაიტანეს. თუმცა, მის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი.

## ორი სიტყვით

### იუბილე

ვინსენტ ვან-გოგის 150-ე დაბადების დღის აღსანიშნავად ნიდერლანდები 2003 წელს ვან-გოგის წლად აცხადებს. მნიშვნელოვანი გამოფენების გარდა ამსტერდამში დაგეგმილია საგანგებო ტურების მოწყობა, რომლებიც დამთვალიერებელს მხატვრის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების ნახვის შესაძლებლობას მისცემს და უფრო სრულ წარმოდგენას შეუქმნის მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ამსტერდამის ვან-გოგის მუზეუმში მოეწყობა ორი გამოფენა. პირველია "ვინსენტის არჩევანი", რომელზეც 150 ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი. ამ ტილოებმა თავის დროზე მხატვარზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და გავლენა იქონია მის რევოლუციურ შემოქმედებაზე. მომავალი წლის თებერვლიდან ივნისის შუა რიცხვებამდე გამოიფინება რემბრანდტის, დელაკრუას და სხვათა შედევრები.

ამავე დროს ოტელოოს მუზეუმში მოეწყობა გამოფენა "ვინსენტი და ჰელენე".

წლის მეორე ნახევარში კი ვან-გოგის მუზეუმში გაიხსნება გამოფენა Van Gogh Modern – დიდი ხელოვანის გავლენა ომისშემდგომი მხატვრების შემოქმედებაზე.

ნიდერლანდების ტურისტული ბიურო მოაწყობს ექსკურსიებს ბელგიასა და საფრანგეთში, რამდენადაც ეს ქვეყნები ვან-გოგისათვის დიდად მნიშვნელოვანი იყო. ხელოვანის გარდაცვალების დღეს, 30 მარტს, გაიხსნება მხატვრის მეგობრის, დოქტორ გაშეს სახლი, რომელშიც ვან-გოგმა თავი მოიკლა.

### გერმანელებმა ფესტივალი გადაარჩინეს

ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ფანებს შეუძლიათ თავისუფლად ამოისუნთქონ: ბერლინის სასამართლომ არ მიიღო განსახილველად ფესტივალ Love Parade-ის გადადებასთან დაკავშირებული სარჩელი, რომელიც სასამართლოში მაცხოვრებელთა იმ ნაწილმა შეიტანა, ვისაც ფესტივალი გერმანიის დედაქალაქისთვის ზედმეტად ხმაურიანი ეჩვენება. Love Parade - საცეკვაო მუსიკის ყველაზე პოპულარული ფესტივალი, ღია ცის ქვეშ იმართება და მეცამეტე წელიწადია, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის ყურადღებას იპყრობს. ფესტივალი ბერლინის მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა, რომელიც უამრავ ტურისტს იზიდავს. თუმცა, ეს არ ამშვიდებს მოსახლეობას. მათი მოთხოვნით, ორგანიზატორებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ ფესტივალის შემდეგ ქალაქის პარკის, ტირგარტენის (სადაც ფესტივალი გაიმართება) გასუფთავება.

### კოლინზი სცენას ემშვიდობება

ფილ კოლინზი გამოტყდა, რომ პრობლემები აქვს სმენასთან დაკავშირებით და, ალბათ, ვეღარ გამოვა დიდ კონცერტებზე, რადგანაც ხმაური მას ყურებს სტკენს. პრობლემები მუსიკოსს წელიწადნახევრის წინათ, ვირუსის გამო დაეწყო. "სცენაზე ამიერიდან ჩემი მორიგი ალბომების სარეკლამოდ თუ გამოვჩნდები. მაგრამ, ეს არაფერია, მუსიკის წერას თავისუფლად გავაგრძელებ", – გულს არ იტეხს ფილ კოლინზი.

### ერთი ფილმი - ორი ფრანკა

სამშაბათს მიუნსტერში (გერმანია) ახალი ფილმის – Blueprint-ის გადაღება დაიწყო. 27 წლის გერმანელი ვარსკვლავი ფრანკა პოტენტე პირველ კლონირებულ ადამიანს თამაშობს – გაფანტული სკლეროზით დაავადებულ სახელგანთქმულ პიანისტს და მის ორეულს.

### სწრაფი სექსი და მანქანები

ნიკოლას ქეიჯი კრიტიკულად აფასებს თავის წარსულს. 38 წლის ჰოლივუდის ვარსკვლავმა ჰამბურგის ქალთა ჟურნალის კორესპონდენტს განუცხადა: "მეტისმეტად სწრაფად ვიცხოვრე - სწრაფი მანქანები, სწრაფი სექსი, სწრაფი ფული. სანთელს თუ ორივე მხრიდან დაწვავ, ულმერთოდ ძვირი დაგიჯდება. ასეთმა ცხოვრებამ უამრავი ახალგაზრდა ჩაათრია სამარეში. მოხარული ვარ, რომ დროზე მოვეგე გონს."

## რონალდო სამედიცინო ცენტრს აფუძნებს



კლინიკის გახსნისას REUTERS

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა რონალდომ რიო-დე-ჟანეიროს უნივერსიტეტში ფიზიოთერაპიის სამედიცინო სკოლა და რეაბილიტაციის ცენტრი დააფუძნა. ეს პროექტი მან თავის პირად ფიზიოთერაპევტთან – ნილტონ პეტრონესთან ერთად განახორციელა. პეტრონე რონალდოს უახლოესი მეგობარია. სწორედ მან შეძლო, უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, ხანგრძლივი ტრავმის მიუხედავად, მწვანე მინდორზე დაებრუნებინა.

უნივერსიტეტის ახლად გახსნილი განყოფილება ძირითადად გაჭირვებული ფენისთვისაა გათვალისწინებული და მას, ისევე როგორც ყველაფერს, რაც რონალდოსთანაა დაკავშირებული, "R9" ეწოდა.

"ყოველგვარი სოციალური პროგრამა, რომელიც ღარიბ ადამიანებზეა გათვლილი, ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა. გვინდოდა, რომ ამ პროექტის განხორციელებაში ბიზნესმენებსაც მიეღოთ მონაწილეობა," – განაცხადა პრესკონფერენციაზე რონალდომ.

ფეხბურთელმა არ დაასახელა თანხა, რომელიც პირადად მან გაიღო კლინიკის დასაფუძნებლად, მაგრამ ამბობენ, რომ იგი 1.75 მილიონ დოლარს შეადგენს.

რონალდოს სურვილით, ცენტრის კოორდინატორად ნილტონ პეტრონე დაინიშნა.

ეს სამედიცინო კლინიკა რონალდოს პირველი საქველმოქმედო პროექტი არ გეგონოთ. თავად რიო-დე-ჟანეიროს ღარიბ უბანში – ბენტო რიბეიროში გაზრდილმა "ფენომენმა" ჯერ კიდევ 1999 წელს სოლიდური თანხა გადარიცხა ნაციონალური ონკოლოგიური ცენტრის დასახმარებლად.

## რუშთუ „ფენერბახჩეს" არ მიატოვებს

თურქეთის ნაკრების მეკარემ რუშთუ რეჩბერმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონშიც თავისი ამჟამინდელი კლუბის "ფენერბახჩეს" ღირსებას დაიცავს. მრავალი სარფიანი წინადადების მიუხედავად, რუშთუ გუნდის შეცვლას არ აპირებს და "ფენერბახჩეს" ერთგული რჩება.

"მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენს გულშემატკივრებს შევპირდი, რომ მუნდიალის დამთავრების შემდეგ სხვაგან არ წავიდოდი," – განაცხადა მეკარემ.

"ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრი წინადადება მქონდა, მისი დამთავრების შემდეგ - კიდევ უფრო მეტი. ეს არ ყოფილა მოულოდნელი, რადგან მსოფლიო პირველობაზე ნამდვილად კარგად ვითამაშე," – განაგრძობს რუშთუ, - "მანჩესტერ იუნაიტედმა" და სხვა დიდმა კლუბებმა მომმართეს, მაგრამ მე არ მავიწყდება, რომ გულშემატკივრებს პირობა მივეცი. შესაძლოა, მოგვიანებით ვინანო კიდეც, მაგრამ სიტყვა სიტყვაა."

29 წლის ფეხბურთელმა ისიც თქვა, რომ მომავალ ზაფხულს, ალბათ, სხვა სურათი იქნება. "ფენერბახჩესთან" მისი კონტრაქტი ერთ წელიწადში იწურება და რუშთუ არ გამორიცხავს სხვა გუნდში გადასვლის შანსს.

რუშთუ რეჩბერი წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე იყო. მისი შეძენით დაინტერესებული იყვნენ "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "ასტონ ვილა".

## ბონეკი ნაკრებში რეფორმებს იწყებს

პოლონეთის ნაკრების ახლად დანიშნული მწვრთნელი ზბიგნევ ბონეკი ახალ სამუშაოს დიდი ენთუზიაზმით შეუდგა და გუნდში რეფორმებს იწყებს. "ცხადია, იქნება ცვლილებები. გუნდს ახალი სულის შთაბერვა სჭირდება," – განაცხადა ბონეკმა.



ზბიგნევ ბონეკი 20 წლის წინათ

რეკისთვის. ბონეკი 21 წლის ფეხბურთელის მხურვალე გულშემატკივარია და, სავარაუდოდ, მას ნაკრებშიც უხმობს.

"იუვენტუსის" ყოფილი ვარსკვლავი – ბონეკი იგივე რაოდენობის გასამრჯელოს მიიღებს, რამდენსაც მისი წინამორბედი ჯერზი ენგელი იღებდა. "ვიდეოჩანაწერებით ბევრს ვერაფერს გაიგებ, ამიტომ ვაპირებ, ვიმოგზაურო, რათა ნაკრების კანდიდატებს უშუალოდ დავაკვირდე. ეს კი ძვირი სიამოვნებაა. მაგრამ ფული რა მოსატანია, მთავარია, წარმატებას მივაღწიოთ," – დასძინა ბონეკმა.

პოლონეთი პირველი გუნდი იყო, რომელმაც 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, მაგრამ ამას მოჰყვა დიდი იმედგაცრუება თავად ტურნირზე. პოლონელებმა ჯგუფურ ეტაპზე სამხრეთ კორეისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან წააგეს.

"ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ხნიერი იყო ამ ჩემპიონატზე. ბევრმა გამოცდილმა ფეხბურთელმა იმედი გაგვიცრუა. ცხადია, ახალგაზრდებს უნდა მივცეთ შანსი. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ დრო ძალიან ცოტაა. 21 აგვისტოს ბელგიას ვეთამაშებით, შემდეგ კი საკვალიფიკაციო ტურნირი იწყება," – ამბობს ბონეკი.

ნაკრების სათავეში ბონეკის მოსვლა სასიხარულო ამბავია ჰოლანდიური "ფაიენოორდის" პოლონელი თავდამსხმელის ეუჟებიუშ სმოლა-

ზბიგნევ ბონეკის სამწვრთნელო კარიერა მკვეთრად განსხვავდება ფეხბურთელის რანგში მიღწეული წარმატებებისგან. აქ ჯერ არაფრისთვის მიუღწევია, მაგრამ ის ოპტიმისტია: "ვიცი, რომ შეიძლება არაფერი გამოვიდეს, მაგრამ მე ყველაფერს ვიღონებ. როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, მნიშვნელოვანი მატჩების წინ ღამით ვერ ვიძინებდი. ახლაც იგივე მელის, მაგრამ ეს მახარებს."

# სატრანსფერო ბაზარზე ვაჭრობა გრძელდება

აკა ტონია

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაწყებული სატრანსფერო ციებ-ცხელება გრძელდება. ევროპის მრავალმა კლუბმა უკვე შეძლო ამა თუ იმ ვარსკვლავის ხელში ჩაგდება, ზოგიც ხელმოცარული დარჩა. ინფორმაციები ტრანსფერების შესახებ ყოველდღიურად იცვლება და ხშირად ურთიერთგამომრიცხავია. ჯერაც გაურკვეველია ჟუნინიოს ამბავი: 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ტურნირის დამთავრებისთანავე, თავის ყოფილ კლუბში, მადრიდის "ატლეტიკოში" გადავიდა. ახლა კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჟუნინიო ინგლისურ "მიდლსბროსთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს.

### "რეალი" ხახამშრალი რჩება

უკანასკნელ კვირას მადრიდის "რეალში" დიდი დაძაბულობა იყო. სამეფო კლუბს საშინლად არ უმართლებს სატრანსფერო ბაზარზე. მადრიდელებმა ვერაფრით მოიცილეს თავიდან ის ფეხბურთელები, რომელთა გაყიდვას უკვე დიდი ხანია ცდილობენ. სტივ მაკმანამანს, პედრო მუნიტისს და მეკარეებს - სეზარს და კარლოს სანჩესს - როგორც ჩანს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, არავითარ შემთხვევაში არ მიატოვონ "რეალი". ერთადერთი, ვისი გასხვისებაც ესპანელებმა შეძლეს, ბოსნიელი ელვირ ბალიჩია, რომელიც "გალათასარაიში" გადავიდა. ეს არის და ეს, სხვა გარიგება "რეალს" არ ჰქონია. არადა, საუკუნის კლუბი აპირებდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებულიყო. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ბევრს საუბრობდნენ შევჩენკოს, კრესპოს, ნესტას და სხვა ვარსკვლავების შეძენაზე. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი მადრიდელებმა ტურნირის გამარჯვებულების რონალდოსა ("ინტერი") და რონალდინიოს ("პარი სენ ჟერმენი") გადაბირება გადაწყვიტეს. რონალდინიომ პარიზის მიტოვება არ ისურვა, რის გამოც ეს ტრანსფერი გამოირიცხა. არ მოხერხდა გარიგება არც რონალდოსთან, რადგან მილანის "ინტერმა", ფეხბურთელის სურვილისამებრ, მას ხელფასი გაუზარდა (4 მლნ ევროდან - 6.2 მლნ ევრომდე). ასე რომ, რონალდო "ინტერში" დარჩა.

"რეალის" უპირველესი კონკურენტი "ბარსელონა" სატრანსფერო პოლიტიკაში ამჯერად უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, გაყიდვის საქმეში. კატალონიელებმა შეძლეს, გუნდიდან გაეშვათ ვეტერანები: აბელარდო ("ალავესში"), სერხი (მადრიდის "ატლეტიკოში"), ალფონსო ("ბეტისში"), მეკარეები – დუტრუელი ("ალავესში") და რეინა ("ვილარეალში"). აგრეთვე გაიყიდა იტალიელი კოკო (მილანის "ინტერში"). რაც შეეხება შენაძენს, "ბარსამ" აქაც იხეირა - არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი ხუან რამონ რიკელმე გადაიბირა. რიკელმემ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთელი 2007 წლამდე დარჩება "ბარსელონას" შემადგენლობაში. სატრანსფერო თანხა, სავარაუდოდ, 11.5 მილიონი ევროა.

### მადრიდის "ატლეტიკო" "მილანის" ფილიალი ხდება

ესპანეთის "პრიმერა დივიზიონს" მადრიდის "ატლეტიკო" ბევრი ახალშეძენილი მოთამაშით უბრუნდება. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი სატრანსფერო საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა და, სხვა გუნდებთან შედარებით, ყველაზე მეტი გარიგება, ალბათ, სწორედ, "ატლეტიკომ" განახორციელა.

მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე, მადრიდელებმა დაიბრუნეს თავისი ყოფილი ფეხბურთელი ჟუნინიო, რომელიც, შესაძლოა, ინგლისურ "მიდლსბროში" გაასხვისონ.

მადრიდის "ატლეტიკოში" წლევანდელ სეზონში, ალბათ, იტალიური "მილანის" ოთხ ფეხბურთელს ვიხილავთ. კლუბში იჯარით გადავიდნენ დემეტრიო ალბერტინი და ესპანელი ხოსე მარი. სამშობლოს დაუბრუნდება "მილანის" კიდევ ერთი თავდამსხმელი ხავი მორენო. რიგით მეოთხეა არგენტინელი ფაბრიციო კოლოჩინი. მართალია, ის "ატლეტიკოში" "ალავესიდან" გადადის, მაგრამ ეს ფეხბურთელი "მილანის" საკუთრებაა და "ალავესში" იგი იჯარით იყო განათხოვრებული.

სავარაუდოდ, თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდება ამჟამად "ლაციოში" მოთამაშე არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო სიმეონეც, რომელიც "ატლეტიკოში" გადასვლით ძალიან დაინტერესებულია და კლუბის ხელმძღვანელობას სთხოვს, რომ ტრანსფერი დროზე განხორციელდეს.

მადრიდის "ატლეტიკოს" მიერ განხორციელებული გარიგებების გამო, სავარაუდოა, რომ "რეალს", "ბარსელონას", "დეპორტივოს" და "ვალენსიას" საკმაოდ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდათ.

### ნესტა თითქმის "ინტერშია"

"ლაციოს" მცველის ალესანდრო ნესტას ტრანსფერის ირგვლივ დაწყებული მითქმა-მოთქმა, ალბათ, მალე დასრულდება, რადგან მისი "ინტერში" გადასვლის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ ის 99 პროცენტით "ინტერშია". თუმცა, გარიგების დეტალები ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მილანელები "ლაციოს", ნესტას სანაცვლოდ, 30 მილიონ ევროს და ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველს კლებერსონს სთავაზობენ. კლებერსონი ჯერ კიდევ "ატლეტიკო პარანაენსეს" საკუთრებაა, მაგრამ მისით ძალიან არის დაინტერესებული "ლაციო". "ინტერს" კი ფეხბურთელის შეძენა სწორედ ნესტაში გასაცვლელად სურს.

კახი კალაძის "მილანი", ალბათ, ამჯერადაც ხმაურიანი ტრანსფერის გარეშე გავა ფონს. ბევრს საუბრობდნენ ახალი "მილანის" მშენებლობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, იტალიელებს მომავალ სეზონშიც მალდინისა და შევჩენკოს იმედი აქვთ. მათ შორისაა ქართველი კახი კალაძეც, რომელსაც 2002 წლის "მილანის" ძირითად შემადგენლობაში, ალბათ, გარანტირებული აქვს ადგილი. მით უფრო, რომ ტრავმირებული ფერნანდო რედონდო ჯერ კიდევ ვერ მომჯობინდა.

33 წლის არგენტინელი ნახევარმცველი ორი წლის წინათ გადავიდა "მილანში", სადაც პირველივე ვარჯიშზე დაშავდა. ტრავმის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ რედონდო სამშობლოში დაბრუნდა და იქ მთელი გასული სეზონი გაატარა. ახლა კი, ვითომდა გამოჯანმრთელებული ფეხბურთელი, მილანში დაბრუნდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ტკივილები ჯერ ისევ აწუხებს. რედონდოს უკანასკნელი იმედი პარიზელი ექიმი სელენია. იგი უშუალოდ მუხლის სპეციალისტი გახლავთ და, რონალდო რომ დიდ ფეხბურთს დაუბრუნდა, მისი დამსახურებაცაა.



ბარსელონას კარს მომავალ სეზონში გერმანელი ენკე დაიცავს REUTERS

ერთადერთი ტრანსფერი, რომელიც "მილანმა" ჯერჯერობით განახორციელა, იტალიელი დალა ბონას შეძენაა. სემ დალა ბონა 1998 წელს, 17 წლის ასაკში, გადავიდა ლონდონის "ჩელსიში", რომლის შემადგენლობაში 55 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. ამჟამად 21 წლის ნახევარმცველი თავის დროზე იტალიის 18 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი იყო.

### ჟუნინიო "მიდლსბროში" მესამედ გადადის

ახლად გამომცხვარი მსოფლიო ჩემპიონი ჟუნინიო ახლოსაა იმასთან, რომ, თავისი კარიერის მანძილზე, მესამედ გადავიდეს ინგლისურ "მიდლსბროში".

"მიდლსბრო" 29 წლის ჟუნინიოსთვის პირველი გაჩერება იყო მას შემდეგ, რაც მან ევროპაში თამაში გადაწყვიტა. მაშინ "მიდლსბრო" უმაღლესი ლიგიდან გავარდა და იძულებული გახდა, ჟუნინიო მადრიდის "ატლეტიკოსთვის" მიეყიდა. "მიდლსბრო" ლიგაში დაბრუნდა და თავისი ყოფილი ფეხბურთელი ამჯერად იჯარით გადმოიყვანა "ატლეტიკოდან". ცოტა ხანში მადრიდელებმა ჟუნინიოს კვლავ უკან უხმეს და ის ისევ "ატლეტიკოში" აღმოჩნდა. ამჯერად თავისი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან თავად "ატლეტიკო" გავარდა და ჟუნინიოს ბრაზილიურ "ვასკო და გამაში" მოუხდა გადასვლა. "ვასკოს" მოჰყვა "ფლამენგო", შემდეგ - მსოფლიო ჩემპიონატი და ჟუნინიო კვლავ მადრიდშია. აქვეა "მიდლსბროც", რომლის ხელმძღვანელობა "ატლეტიკოს" დაუკავშირდა და ჟუნინიოს შეძენის სურვილი გამოთქვა. ინგლისური კლუბის სურვილის თანახმად, ეს ტრანსფერი მალე განხორციელდება და მისი საფასური, სავარაუდოდ, 9 მილიონი ევრო იქნება.

ინგლისურ "პრემიერლიგაში" "მიდლსბროს" მეტოქე ლონდონის "არსენალი", როგორც ჩანს, თავისი მობერებული დაცვისა და მეკარის ხარჯზე აპირებს წარმატებების მიღწევას.

"არსენალის" მეკარე დევიდ სიმენი იმდენად დათრგუნულია ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში დაშვებული შეცდომის შემდეგ, რომ ფეხბურთიდან წასვლასაც კი ფიქრობს. ამას ემატება ასაკი - ის მალე 39 წლის გახდება.

ლონდონელთა ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი კი ყველანაირად ცდილობს, ვეტერანი მეკარე გუნდში დატოვოს. სიმენის წასვლის შემთხვევაში "არსენალი" ნამდვილად დადგება მეკარის პრობლემის წინაშე, რადგან კლუბმა გუნდის მეორე გოლკიპერი, ავსტრიელი ალექს მანინგერი გაყიდა. მანამდე მანინგერი იტალიურ "ფიორენტინაში" ჰყავდათ განათხოვრებული, ახლა კი ბარსელონის "ესპანიოლს" მიჰყიდეს 1.5 მილიონ ევროდ.

დარჩება თუ არა ადამსი, ჯერ გაურკვეველია. ის კი უკვე გადაწყდა, რომ "არსენალის" ღირსებას მომავალ სეზონშიც დაიცავენ ვეტერანი მცველები ტონი ადამსი და მარტინ კიოუნი. ორივე ფეხბურთელი 36 წლისაა და მათთან კონტრაქტების გაგრძელება საკმაოდ დიდი სიურპრიზია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საუბარი იყო ტონი ადამსის ფეხბურთიდან წასვლის შესახებ, ხოლო კიოუნი "სანდერლენდში" აპირებდა გადასვლას.

ქართული ფეხბურთი

# 19-წლამდელთა ნაკრები ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს...

მიხეილ აბაიშვილი

ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველმა 19-წლამდელთა ნაკრებმა მოახერხა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირიდან გაღწევა. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი წელს შვეიცარიაში გაიმართა. კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ქვეჯგუფში ჯერ გერმანიის და პოლონეთის გუნდებთან ფრედ ითამაშა, შემდეგ უნგრეთის ნაკრები დაამარცხა და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მართალია, ქართველი 19-წლამდელები ამ ეტაპზე მასპინძლებთან – შვეიცარიელებთან დამარცხდნენ, მაგრამ უკვე ამ მატჩში მონაწილეობით სანაკრებო ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომს ჯერ ოფიციალური გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ ცხადია, ასეთი წარმატების შემოქმედ მწვრთნელს, კობა ჟორჟიკაშვილს პოსტზე დატოვებენ. უფრო მეტიც - მას ნაკრების მომზადებაში დახმარების თვალსაზრისით, ფედერაცია სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებს. კერძოდ, სფფ-ში დამუშავდა პროექტი, რომლის მიხედვითაც ჟორჟიკაშვილის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში. 19-წლამდელთა ნაკრები სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს განიცდის და ლიგაში ერთიანი გუნდით თამაში ამ ნაკრებს ძალზე წაადგება.

19-წლამდელთა ნაკრები პირველ ლიგაში კონკურსგარეშე იასპარეზებს და მას არც უმაღლეს ჯგუფში შეეძლება გადმოსვლა, არც ქვედა ლიგაში ჩანაცვლდება. თუმცა, სატურნირო ცხრილში ეს გუნდი დაფიქსირდება და მას, სხვა გუნდების მსგავსად, დაერიცხება ქულები.

ამ ნოვაციის პრაქტიკაში გასატარებლად პირველი ლიგის გათამაშების დებულებისა და სტრუქტურის შეცვლაც გახდება საჭირო. უმაღლესი ჯგუფის მსგავსად, პირველი ლიგაც ორ ეტაპად თამაშდებოდა. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ საუკეთესო ექვსეული უმაღლესი ჯგუფის ორი საგზურისთვის პაექრობდა, მეორე ექვსეული კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის აგრძელებდა ბრძოლას. პირველ ლიგაში უკვე არის ორი ისეთი გუნდი, რომლებიც ნაწილობრივ კონკურსგარეშე ასპარეზობენ. ნაწილობრივ, რადგან, მართალია, გასავარდნ ზონაში მოხვედრის შემთხვევაში ეს გუნდები ტოვებენ ლიგას, მაგრამ თუ პირიქით მოხდა და მათ საუკეთესო ექვსეულში გასვლა მოახერხეს, უმაღლეს ჯგუფში გადასვლის უფლება არ აქვთ. ეს გუნდებია თბილისის "დინამოს" და "ლოკომოტივის" დუბლშემადგენლობები - "დინამო 2" და "ლოკომოტივი 2". პირველი ლიგა ძველი დებულებით რომ ჩატარდეს, დიდი იქნება იმის ალბათობა, რომ სამი კონკურსგარეშე დაშვებული გუნდი ერთად მოხვდეს პირველ, ან მეორე ექვსეულში. ასეთ შემთხვევაში ირღვევა ტურნირის საშეჯიბრო პრინციპი. ამიტომაც, პროექტის მიხედვით, პირველი ლიგის გათამაშება მოხდება არა ორ ეტაპად, არამედ საქართველოს ჩემპიონატების გათამაშების ძველი პრინციპით – ორ წრედ.

პირველი ლიგა ორეტაპიან ჩემპიონატს ერთი სეზონის შემდეგ დაუბრუნდება და ამისათვის გავარდნილი ორი გუნდის ნაცვლად რეგიონალლიგებიდან სამი გუნდით შეივსება. შესაბამისად, პირველი ლიგის გუნდთა რაოდენობა 14 გახდება და პირველი ეტაპის შემდეგ გუნდები არა ექვსეულებად, არამედ შვიდეულებად დაიყოფა.

არის ერთი დაბრკოლებაც - ჯერჯერობით ცნობილი არ არის იმ ქართული კლუბების პოზიცია, რომლებშიც 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატები თამაშობენ. არ არის გამორიცხული, ეს კლუბები საკუთარი ფეხბურთელის ნაკრებში მთელი სეზონით გაშვების წინააღმდეგნი წავიდნენ. ამ ნაბიჯის გადადგმას კლუბებს ვერავინ აიძულებს, ხოლო თუ ისინი კეთილ ნებას გამოიჩენენ და ნაკრებს ასეთი ფორმით დაეხმარებიან, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის რომიკო შოთაძის თქმით, მათთან ფედერაცია გააფორმებს კონტრაქტს, ნაკრებში მივლინებული ფეხბურთელის კლუბთან კავშირი მკაფიოდ იქნება განსაზღვრული.

პროექტს უკვე გაეცნენ სფფ-ს ალმასკომის წევრები. იგი შესათანხმებელია ქართულ კლუბებთან და, 31 აგვისტოდან, ამ რიცხვში კი სტარტს აიღებს პირველი ლიგის გათამაშება, ჟორჟიკაშვილის გუნდი შეიძლება ეროვნულ ჩემპიონატში ვიხილოთ.

# „ასე იტყოდა ზარატუსტრა...„

ნინო პირველი

განტერესებთ, რატომ ზარატუსტრა და რა შუაშია ნიცშე ფეხბურთთან? მაშინ კარგად მომისმინეთ...

იყო და არა იყო რა, ბუნდესლიგაში იყო 188 სანტიმეტრის სიმაღლის ქერათმიანი და ცისფერთვალა, შეუპოვარი და ძლიერი ოლივერ კანი. ის მიუნხენის "ბაიერნში" თამაშობდა და გერმანიის საუკეთესო გოლკიპერად ითვლებოდა. "ქერა ბესტიამ" (გეცნოთ ტერმინი? ნიცშესეულია) ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო მეკარის წოდება, ერთხელ "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის თასი მოაგებინა, როცა მილანის გადაჭედილ "სან-სიროზე" "ვალენსიასთან" ფინალური მატჩის პენალტების სერიაში ესპანელების სამი თერთმეტმეტრიანი აიღო. მოკლედ, ისე მოხდა, რომ 2001 წელს კანმა და "ბაიერნმა" ყველაფერი მოიგეს (გერმანიის თასის გარდა) და წლის გმირებად იქცნენ.

მომდევნო სეზონში კანმა საკლუბო დონეზე ბევრს ვერაფერს მიაღწია, მაგრამ მუნდიალზე საოცრებები მოახდინა. ყოვლად უიმედო და განწირული გერმანიის ნაკრები, რომელსაც ყველა აუტსაიდერად თვლიდა, ფინალში გავიდა. არა, თავისით არ გასულა, კანმა და ბალაკმა გაიყვანეს. ოლივერ კანმა ბრწყინვალედ ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალში შეცდომა მოუვიდა და მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა, სამშობლოში მაინც გმირის სტატუსით დაბრუნდა.

გარდა იმისა, რომ გერმანიის ნაკრები ფინალში კანის კარგი თამაშის წყალობით გავიდა, გუნდის კაპიტანს მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერის წოდება მიანიჭეს, რაც არავის გაკვირვებია, და "ოქროს ბურთის" კანდიდატადაც დაასახელეს. ეს უკვე საოცრება იყო. მუნდიალის ისტორიაში მეკარე არასოდეს გამხდარა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი. ოლივერ კანის უცნაურმა ფენომენმა ყველანაირი სტერეოტიპი დაამსხვრია...

ჰოდა, ამდენი ჯილდოს შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ კანი მთელმა გერმანიამ ლამის გააღმერთა. ფრანკფურტის აეროპორტში გერმანიის ნაკრებს უამრავი ფანი შეეგება და იოკოჰამადან დაბრუნებული ფეხბურთელებს ტრიუმფალური დახვედრა მოუწყო. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, კანი იყო. ჰოო, ახლა კი ნათლად გამოჩნდა, როგორ მონატრებია გერმანიას ზეკაცი. ის


ოლივერ კანი და ფრიდრიხ შილერი

"ქერა ბესტია", რომელსაც შეშლილი გენიოსი ფრიდრიხ ნიცშე ამაოდ ეძებდა, გერმანიამ კანის სახით იპოვა. შეუპოვარი, ძლიერი, ამბიციური, მუდამ ლიდერობისკენ მსწრაფი, გაუტეხელი და დაუძლეველი ოლივერ კანი ზეკაცად იქცა, თუმცა, არა დიდი ხნით...

როცა მთელ ქვეყანას ერთი კაცის სახელი აკერია პირზე და სხვას ველარავის ამჩნევს, ადრე თუ გვიან, ამ კაცის კოლეგები ბოლმით ალივსებიან და თავიანთ აღშფოთებას სახალხოდ ამოაფრქვევენ. ბუნდესლიგაში, კანის გარდა, სხვა მეკარეებიც თამაშობენ, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ისე ხშირად არ ექცევიან, როგორც კანი. ოლივერ კანს ყველგან ცნობენ, დანარჩენ გერმანელ გოლკიპერებს კი - ნაკლებად. ასე, მაგალითად, საეჭვოა, საქართველოში ბევრმა იცოდეს, ვინ არის ფრანკ როსტი. ეს ახალგაზრდა (თუმცა, აღარც ისე ახალგაზრდა - უკვე 29 წლისაა) გასულ სეზონში ბრემენის "ვერდერში" თამაშობდა და სწორედ მას უნდა უმადლოდეს დორტმუნდის "ბორუსია", რომ ჩემპიონი გახდა. რომ არა როსტის ორი სულელური შეცდომა, იქნებ მარად მეორე ლევერკუზენის "ბაიერს" წლეულს მაინც მოეპოვებინა ჩემპიონის ტიტული... ფრანკ როსტი ახალი სეზონიდან გელზენკირხენის "შალკეში" გადადის და, როგორც თვითონ ამბობს, ჩემპიონობისთვის აპირებს ბრძოლას.

მოკლედ, სწორედ ამ ადამიანს აზრად მოუვიდა, ეთქვა, რომ კანი ზეკაცი არ არის. "როდესაც ოლივერ კანი სულ უბრალო ბურთს მოიგერიებს, მთელი სტადიონი ისტერიკაში ვარდება. გამოდის, რომ გერმანიაში სხვა მეკარე არ არსებობს, ბუნდესლიგას მარტო კანი ჰყავს, სხვა დანარჩენები კი შემწვარი ძეხვები არიან. ეს ხომ უსამართლობაა. გაიგეთ, კანი ზეკაცი არ არის", - ამბობს როსტი, რომელსაც აწუხებს ის, რომ ეროვნულ ნაკრებში კანს შეურყეველი პოზიციები აქვს და მას ნაციონალურ გუნდში არ იწვევენ. სხვათა შორის, "ვოლფსბურგის" გოლკიპერიც როსტის აზრს იზიარებს. რაო, ბუნდესლიგის მეკარეები კანის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობენ?

ნაკლებად მოსალოდნელია, რომ როსტის ამ პროვოკაციულ გამოხდომას რაიმე შედეგი მოჰყვეს. რუდი ფიოლერისთვის კანი ერთადერთი და განუმეორებელია და ნაკრებში მას ოთხი წლის შემდეგაც მიიწვევს. როსტს კი, ალბათ, მესამე მეკარის ამპლუაშიც არ ეღირსება მუნდიალზე მოხვედრა, მით უმეტეს, ასეთი სკანდალის შემდეგ.

გერმანული ფეხბურთის ავტორიტეტები საშინლად გაღიზიანდნენ როსტის თავხედობის გამო. "მაგან ჯერ კანის დონეს მიაღწიოს და მერე გააკრიტიკოს ის. კანი მწვერვალებს იპყრობს და ჰაერში დაფრინავს, როსტი კი მიწაზეც ძლივს დაფორთხავს. როგორ უნდა შეადარო ისინი ერთმანეთს?" - აღშფოთებას ვერ მალავს კანის მწვრთნელი, წარსულში ცნობილი მეკარე ზეპ მაიერი. "როსტს ასეთი რამ არ უნდა ეთქვა თავისი კოლეგის შესახებ, ეს ჩემთვის ყოვლად გაუგებარი თავხედობაა", - მტკიცედ ამბობს "ბაიერნის" თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი.

რას ფიქრობს თავად კანი? გერმანულმა "ბილდმა" შვებულებაში მყოფ ოლივერ კანს სარდინიაში მიაგნო და კომენტარი სთხოვა. ოლის არ მოეწონა, რომ ცურვასა და გოლფის თამაშში ხელი შეუშალეს და პირქუშად განაცხადა, რომ როსტის ისტერიებზე რეაქცია არა აქვს. "მე მას თავს არ გავუყადრებ, არც გავლანძღავ. პასუხს მაშინ მოვთხოვ, როცა ბუნდესლიგა დაიწყება". ასეთია კანის კომენტარი და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღე დაადგება "შალკეს" "ბაიერნთან" შეხვედრაში? ზეკაცი შელახული ღირსებისთვის პასუხს ითხოვს და, ვაი მას, ვისაც "ქერა ბესტიას" რისხვა თავს დაატყდება...

# ქართველებმა „ზილი„ გადაარჩინეს

**რუსეთი. პრემიერლიგა. მე-14 ტური:** *ლოკომოტივი – ცსკა 0:0, ალანია – ტორპედო ზილი 5:2, შინიკი – ანჟი 6:0, სატურნი – დინამო 0:3, ურალანი – სოკოლი 1:1, კრილია სოვეტოვი – ტორპედო (მ) 1:0, როსტსელმაში – როტორი 0:3, სპარტაკი – ზენიტი 4:3.*

რუსეთის პრემიერ-ლიგის მე-14 ტურში, როგორც იქნა, ვლადიკავკაზის "ალანიამაც" გაიმარჯვა და ეს ქართული დუეტის დახმარებით მოახერხა. ოსური კლუბის ხუთი გოლიდან, ორი დემეტრაძის ანგარიშზეა, ორი კი - აშვეთიასი. დემეტრაძემ პირველი და ბოლო ბურთები გაიტანა. აშვეთიამ კი 45-ე და 70-ე წუთებზე გამოიჩინა თავი.

ამჟამად, "ალანია" კრიზისიდან გამოსავალს ეძებს და, ამ მიზნით, ხარჯსაც არ ერიდება. ოსებმა კლუბში მიიწვიეს რუსეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბორის იგნატიევი. მოლაპარაკებას აწარმოებენ მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვთან, რომელიც ამჟამად ავსტრიის ერთ-ერთ კლუბში თამაშობს. თავდასხმის გასაძლიერებლად კი კვლავ ქართველებს მიმართეს.

"ალანია" რუსეთის ჩემპიონატში ყველაზე ქართული გუნდია. ოსური კლუბის რიგებში, ამჟამად, სამი ქართველი ფორვარდი ირიცხება – გიორგი იმედაძე, გიორგი დემეტრაძე და მიხეილ აშვეთია, აგრეთვე მცველი ომარ თეთრაძე. თუმცა, ძირითად შემადგენლობაში სამი თამაშობს. დემეტრაძის გამოჩენის შემდეგ, გიორგი იმედაძემ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ოსებმა კარგად იციან ქართველი ფეხბურთელების ფასი. მათ არ დაავიწყდათ, რომ 90-იანი წლების შუაგულში, სწორედ, ქართველი ფეხბურთელების დახმარებით გახდა "ალანია" რუსეთის ჩემპიონი. მაშინ კლუბში ცხადაძე, შელია, თეთრაძე, რევიშვილი და მიხეილ ყაველაშვილი ირიცხებოდა. მიშა იმ წელს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც კი გახდა.

ოსური კლუბის რიგებში ანალოგიური მიღწევა გიორგი დემეტრაძესაც მიუძღვის. სწორედ აქედან დაიწყო "დემეს" ალმასვლის პერიოდი – კიევის "დინამო", "რეალ სოსიედადი", მოსკოვის "ლოკომოტივი" და ისევ "ალანია". ქართველი ფორვარდი ყველაზე კარგად, სწორედ, "ალანიას" შეეწყო. ამიტომ ოსები, დემეტრაძის გადმოსაბირებლად, ბასკებთან მუდმივად აწარმოებენ მოლაპარაკებას.

"რეალ სოსიედადი" წინააღმდეგი არ არის გაყიდოს ქართველი ფორვარდი. მოლაპარაკების პროცესში პრობლემა არ ყოფილა, ამიტომ მხარეები იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში ტრანსფერის საკითხი დადებითად გადაწყდება. ამჟამად, "ალანია" გასავარდნ ზონაშია და ერთი ქულით ჩამორჩება მე-14 ადგილზე მყოფ "როსტსელმაშს".

ოსები იმედოვნებენ, რომ დემეტრაძე მათ კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. გიორგი კი მომავალს იმედის თვალით უყურებს: **"იმედი მაქვს, ვლადიკავკაზში გადმოსვლით თამაშის მეტი საშუალება მომეცემა. მოხარული ვარ, რომ პირველივე შეხვედრაში დუბლის შესრულება შევძელი. ეს ფაქტი ძირითად შემადგენლობის დამკვიდრებაში აუცილებლად დამეხმარება. ვფიქრობ, მიხეილ აშვეთიასთან ერთად, უფრო მეტს მივაღწევთ,"** – განაცხადა გიორგი დემეტრაძემ.

## სატურნირო მდგომარეობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** | 15 | 10 | 4 | 1 | 22:6 | 34 |
| **ცსკა** | 13 | 9 | 2 | 2 | 25:11 | 29 |
| **სპარტაკი** | 14 | 8 | 2 | 4 | 26:20 | 26 |
| **კრ. სოვეტოვი** | 14 | 7 | 3 | 4 | 19:15 | 24 |
| **დინამო** | 14 | 7 | 1 | 6 | 18:13 | 22 |
| **სატურნი** | 14 | 6 | 4 | 4 | 18:17 | 22 |
| **შინიკი** | 14 | 6 | 3 | 5 | 23:19 | 21 |
| **ზენიტი** | 13 | 6 | 3 | 4 | 18:15 | 21 |
| **როტორი** | 14 | 6 | 3 | 5 | 13:13 | 21 |
| **ურალანი** | 14 | 3 | 6 | 5 | 16:17 | 15 |
| **ტორპედო** | 14 | 3 | 4 | 7 | 16:17 | 13 |
| **ზილი** | 14 | 3 | 4 | 7 | 10:22 | 13 |
| **ანჟი** | 14 | 2 | 7 | 5 | 10:23 | 13 |
| **როსტსელმაში** | 13 | 3 | 3 | 7 | 13:23 | 12 |
| **ალანია** | 14 | 3 | 2 | 9 | 19:22 | 11 |
| **სოკოლი** | 14 | 2 | 3 | 9 | 6:15 | 9 |

*Tour de France*

# ტური ემიგრაციიდან ბრუნდება

ლუჩანო ტაიოლი

რეიმსი

სპეციალურად "24 საათისთვის"

ტურ დე ფრანსი სამშობლოში მობრუნდა. მეორე ეტაპის შემდეგ ველოსიპედისტთა მთელმა ამქარმა გუდა-ნაბადი აიკრა და გერმანია-საფრანგეთის საზღვარი გადაკვეთა.

მესამე ეტაპზე, მეციდან რეიმსამდე, სერიოზულ გართულებებს არავინ ელოდა და პროგნოზი გამართლდა კიდეც, თუ არ ჩავთვლით ორ ამბავს, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ერთი ის იყო, რომ ორმა მრბოლმა სტარტისთანავე მიატოვა პელოტონი. ერთი მათგანი, რაღა თქმა უნდა, ცნობილი ავანტიურისტი, ერთთავად ყველაზე აქტიური მრბოლის სახელისთვის მეომარი ფრანგი ჯეკი დურანდი იყო. მისი გეგმა - საკმაოდ მარტივი და, კაცმა რომ თქვას, სწორიც - იმ ვარაუდს ეფუძნებოდა, რომ ინდივიდუალურ-გუნდური ეტაპის წინ არავინ დახარჯავდა ენერგიას მის დევნაში. თავიდან ასეც ჩანდა. სამოცდამეათე კილომეტრზე პელოტონთან სხვაობამ თერთმეტი(!) წუთი შეადგინა. მაგრამ ეს იყო და ეს. ფრანგმა ვითარება კი შეაფასა სწორად, მაგრამ საკუთარი ძალების შეფასებაში შეცდა. არც მეწყვილე გამოადგა ხეირიანი და უკვე მესასე კილომეტრის შემდეგ ეს ტანდემი მოყვარული ველოსიპედისტების გზააბნეულ წყვილს უფრო წააგავდა. პელოტონმა ისე გადასანსლა ჯეკიცა და მისი პარტნიორიც, რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევა არც დასჭირვებია.

მეორე უსიამო ამბავი ისევ ჩვენს ნაცნობ მწვანეებს - "კრედიტ აგრიკოლას" გადახდა. ფინიში ჯერ კიდევ შორს იყო, როცა მისმა ერთმა წევრმა, საკმაოდ ცნობილმა სპორტსმენმა სტიუარტ ოგრეიდმა შეუძლოდ იგრძნო თავი. ეს ის გუნდია, რომელმაც შარშან წუთნახევარი მოუგო ინდივიდუალურ-გუნდურ რბოლაში ტურის ჩემპიონის ლანს არმსტრონგის "პოსტალ სერვისს". ერთი კაცის დაკარგვაც კი საგრძნობლად ამცირებდა გუნდის სახვალიო შანსებს. თანაგუნდელებმა, განსაკუთრებით კი ბესიმ და ვოიგტმა, ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ სტიუარტს ფინიშამდე რაც შეიძლება ნაკლები დატვირთვა მიეღო. ხან ერთს მიჰყავდა მეგობარი, ხან - მეორეს. რა თქმა უნდა, გამოიძახეს ექიმიც და ტესტიც ჩაუტარეს. ცხადია, ეს ის არ არის, ყოველდღიურ ცხოვრებაში ათასჯერ რომ გვინახავს. სპორტსმენი, თავის ველოსიპედიანად, გვერდით მიჰყვება გუნდის ავტომობილს. ექიმი სარკმელში თავგამოყოფილი ატარებს ტესტს. საძილე არტერიის მიდამოებში უსინჯავს გულისცემას. მერე სპორტსმენს სთხოვს, ცოტა ხნით წაიმუშაოს პედლებით და ისევ უსინჯავს გულისცემას. სხვაობისა და სხვა, მხოლოდ პროფესიონალებისთვის ცნობილი მონაცემების მიხედვით ადგენს, როგორი დატვირთვის გაძლების უნარი აქვს გულს. ექიმი თავს იქნევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საშიში არაფერია და რომ ოგრეიდის შეუძლია რბოლის გაგრძელება. ამგვარად, ცოტა არ იყოს, გაზვიადებულია "როიტერის" მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ სპორტსმენს გულის შეტევა დაემართა.


Tour de France-ს ლიდერი ერიკ ზაბელი REUTERS


მესამე ეტაპის გამარჯვებული რობი მაკ'ივენი REUTERS

მესამე ეტაპის ფინიში წინა ორივით ცხარე გამოდგა. მშობლიურ მიწაზე დაჩაგრულმა ზაბელმა საფრანგეთში მოინდომა რევანშის აღება. მიაღწევდა კიდეც მიზანს, რომ არა ავსტრალიელი მაკ'ივენის, ცოტა არ იყოს, არასპორტული მანევრი. საქმე ის არის, რომ ფინიშის სწორზე დაწინაურებული სპორტსმენი ვალდებულია, მოძრაობა პირდაპირ, ყოველგვარი მარჯვნივ თუ მარცხნივ გადახვევების გარეშე განაგრძოს. მაკ'ივენი ირიბად, იმ მხარეს წავიდა ფინიშისკენ, საიდანაც ზაბელი აპირებდა გვერდის ავლას. თუმცაღა, მსაჯებმა კროსინგი არ ჩათვალეს და გამარჯვებულად ავსტრალიელი გამოცხადდა. ისე, არც გერმანელი დარჩა გულნაკლული: მეორე ადგილისთვის განსაზღვრული რვაწამიანი ბონიფიკაციის გათვალისწინებით ზაბელი თავში მოექცა ტურში მონაწილეთა სიას. ლიდერის ყვითელი მაისურა არცთუ ურიგო კომპენსაციაა.

რობი მაკ'ივენისთვის ეს მეცამეტე გამარჯვება იყო წლევანდელ სეზონში. ორი მათგანი ავსტრალიელმა ჯიროში მოიპოვა.

"ძნელია იმის თქმა, რომ ან ზაბელზე, ანდა ჩიპოლინიზე უკეთესი ვარ. ჩვენ ვიმარჯვებთ და ვმარცხდებით კიდეც. მაგრამ მოხდა ისე, რომ დღეს გავიმარჯვე. ამიტომ სრული უფლება მაქვს, ვთქვა: დღეს მე საუკეთესო ვარ მსოფლიოში".

ვერაფერს იტყვი, თამამი განცხადებაა, თუმცა, ცოტა არ იყოს, ნაადრევი. ტურში იმიტომაც არის დაწესებული ჯილდო საუკეთესო სპრინტერისთვის, რომ ის საუკეთესოს უნდა გადაეცეს ტურის ფინიშზე, პარიზში! მანამდე კი სამი ათასი კილომეტრი და პირენეებისა და ალპების ოცამდე მთაა გადასავლელი. საუკეთესო სპრინტერის ნომინაციაზე არაფერს ვიტყვი, მივა კი ავსტრალიელი ბოლომდე?

## ტექნიკური შედეგები

*III ეტაპი. მეცი-რეიმსი. 174,5 კმ*
1. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 4 სთ. 13 წთ. 37 წმ.
2. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 4 სთ. 13 წთ. 37 წმ.
3. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) - 4 სთ. 13 წთ. 37 წმ.

**საერთო ჩათვლა**
1. ერიკ ზაბელი - 13 სთ. 31 წთ. 35 წმ.
2. რობი მაკ'ივენი - +8 წმ.
3. რუბენს ბერტოლატი (შვეიცარია) - +14 წმ.

**საუკეთესო სპრინტერი**
1. ერიკ ზაბელი - 96 ქულა
2. რობი მაკ'ივენი - 91
3. ოსკარ ფრეირე ("მაპეი", ესპანეთი) - 71

**მთის მეფე**
1. ქრისტოფ მენგინი (FDJ, საფრანგეთი) - 29 ქულა
2. შტეფან ბერგესი (AG2r, საფრანგეთი) - 26
3. ლუდო დიერკსენსი ("ლამპრე", ბელგია) - 15

**ყველაზე აქტიური მრბოლი**
1. ჯეკი დურანდი (FDJ, საფრანგეთი) - 25 ქულა
2. შტეფან ბერგესი (AG2r, საფრანგეთი) - 24
3. ფრენკ რენიე ("ბონჟური", საფრანგეთი) - 20

**გუნდური**
1. CSC - ტისკალი - 40 სთ. 36 წთ. 10 წმ.
2. კოფიდისი - +3 წმ.
3. US პოსტალი - +3

*კრივი*

# სად - შენ, სად - მე

## ლუისს არ სჯერა, რომ კლიჩკო რკინის კაცია

პაატა თოთაძე

რომ ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონს ლენოქს ლუისს ვლადიმერ კლიჩკოსი ეშინიაო, ალბათ, არ ვიქნებით მართალი. კაცმა მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, სულ ახლახან კი ნოკაუტით თვით მაიკ ტაისონიც გააგორა. ასეთ კაცზე ვინ იტყვის, მშიშარააო. მაშ, რა გახდა იმის მიზეზი, რომ მსოფლიო ჩემპიონმა კლიჩკოსთან ბრძოლას თავი აარიდა? შესაძლოა, მან მართლაც გადაწყვიტა, რომ სპორტიდან წავიდეს და სურს, ეს ტრიუმფატორმა გააკეთოს. ანდა, მართლა ფიქრობს, რომ კლიჩკო მასთან საბრძოლველად არ არის მზად. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ლუისმა უარი თქვა კლიჩკოსთან შეხვედრაზე. მიზეზად კი ასეთი რამ დაასახელა: დარწმუნებული ვარ, უკრაინელს ნოკაუტით მოვუგებ და მასთან ჩხუბზე დროს ვერ დავკარგავო.

რას იზამ, ლუისი ჩემპიონია და უფლება აქვს, მეტოქეები თავად შეარჩიოს. მაგრამ აქ სხვა რამ არის საინტერესო: ლუისს სთავაზობენ, იჩხუბოს IBF–ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ოფიციალურ ჩელენჯერთან კრის ბერდთან, რომელიც, არცთუ დიდი ხნის წინათ, კლიჩკომ მთელი ქვეყნის დასანახავად, სასტიკად სცემა. თუ ბრიტანელი ბერდთან შეხვედრაზე დათანხმდება, მაშინ ბევრს გაუჩნდება ეჭვი, მართლა ხომ არ შეეშინდა ლუისს გიგანტი კლიჩკოსი, რომელიც მასზე ათი წლით ახალგაზრდაა და, სპეციალისტთა თქმით, ლუისზე ძლიერი დარტყმაც აქვს. აბა, ტყუილად ხომ არ შეარქვეს უკრაინელს "რკინის კაცი".

კიდევ ერთი ფაქტი, რამაც კრივის მოყვარულთა და ამ სამყაროს წარმომადგენელთა გაკვირვება გამოიწვია: ლუისმა თქვა, კლიჩკოსთან ბრძოლაზე დროს ვერ დავკარგავო. ცნობილია, რომ ამჟამად ლუისი პრომოუტერებისა თუ ტელეკომპანიებისთვის ყველაზე სანატრელი კლიენტია. ასე რომ, კლიჩკოსთან ჩხუბით ის გაცილებით მეტ ჰონორარს მიიღებდა, ვიდრე ეს ტაისონთან შერკინებით მოახერხა. თუმცა, ფული მისთვის აღარ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც ცოტა ხნის წინათ იყო. მან უკვე იმდენი იშოვა, რომ თავისუფლად შეუძლია, უზრუნველად გაატაროს დარჩენილი ცხოვრება. ასე რომ არ იყოს, ალბათ, ჰოლიფილდთან ბრძოლაზეც დათანხმდებოდა, საიდანაც ასევე სოლიდურ ჰონორარს გამოჰკრავდა ხელს. ყველაზე სავარაუდო, ალბათ, მაინც ისაა, რომ მას, უბრალოდ, მობეზრდა ამდენი ჩხუბი და გადაწყვიტა, კრივს თავი დაანებოს. ამას გააკეთებს კიდეც ბერდთან მატჩის შემდეგ, რომელსაც, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უპრობლემოდ მოიგებს.

# პერმში თერთმეტი ქართველი იჩხუბებს

დღეიდან ათი დღის განმავლობაში კრივის ქართველ გულშემატკივრთა ყურადღება რუსეთისკენ, კერძოდ, პერმისკენ იქნება მიპყრობილი. ამ ქალაქში მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, სადაც სხვებთან ერთად, მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. კრივის ფედერაციის გენერალური მდივნის ზურაბ კიკნაველიძის თქმით, ამგვარ ტურნირებზე საქართველოს ნაკრები ასეთი წარმომადგენლობითი 1993 წლის შემდეგ არ ყოფილა. დღეს პერმში 11 მოკრივე გაემგზავრება, თუმცა მათი რაოდენობა შესაძლოა ერთით მეტიც ყოფილიყო, რადგან შეჯიბრი 12 წონით კატეგორიაში გაიმართება. ის ერთი, რომელშიც ქართველი ვერ იჩხუბებს 48 კგ წონითი კატეგორიაა. ამას ორი მიზეზი აქვს. უპირველესად ის, რომ ჩვენებს ამ წონაში წარმატების არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდათ და მეორე - ფინანსების უქონლობა. მოკლედ, რუსეთში საქართველოს ღირსებას 11 მოკრივე დაიცავს:

51 კგ. წონითი კატეგორია – რამაზ ბებნაძე (ვარიანი)
54 კგ. – ლაშა ოჩიგავა (ფოთი)
57 კგ. – კონსტანტინე კუპატაძე (თბილისი)
60 კგ. – ავთანდილ კაშია (ქუთაისი)
63,5 კგ. – პაატა ვარდუაშვილი (ვარიანი)
67 კგ. – მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი)
71 კგ. – ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა)
75 კგ. – დავით წიკლაური (თბილისი)
81 კგ. – დავით გეგეშიძე (თბილისი)
91 კგ. – ბექა ლობჟანიძე (გორი)
ზემძიმე – გაგა ბოლქვაძე (ქუთაისი)

მათგან წარმატების მოპოვების შანსი ხუთ მოკრივეს აქვს. ყველაზე მეტად ქართული კრივის მაღალჩინოსნებს ანატოლი ქავთარაძის ეიმედებათ. თავი უნდა გამოიჩინოს რამაზ ბებნაძემაც, რომელსაც ასეთი სახის ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება არ აკლია. შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ კონსტანტინე კუპატაძეს და პაატა გეგეშიძეს, თუმცა ორივე მათგანი ძალიან ნიჭიერი და სწრაფად მზარდი მოკრივეა. გეგეშიძე, როცა მხოლოდ 86 კგ-ს იწონიდა, საქართველოს ჩემპიონატში 91 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, შემდგომ წონა დაიკლო, რაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მეტოქეებზე. ქართველთა კიდევ ერთი იმედი გაგა ბოლქვაძეა, რომელსაც ვლადიმერ ჭანტურია ჰყავს დამარცხებული. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ წონაში ბევრი სახელიანი მოკრივე გამოდის და ბოლქვაძესაც იოლი ბრძოლები ნამდვილად არ მოელის.

პრეს-პიესა

# ქეთათოს ამბავი № 3



ლევან კიკალიშვილის ნახატი

ლაშა ბუღაძე

## სცენა I

*საძინებელი ოთახი. ქეთათოს დედ-მამას მშვიდად ძინავს. უეცრად ოთახში 6 წლის ქეთათო შემოვარდება.*

**ქეთათო.** *(კივილით)* ვაიმე, დავიღუპეთ! სახელმწიფოებლიობას ველ ვინალჩუნებთ... დედიკო! მამიკო! ადექით, ლა დლოს ძილია!

**დედა.** *(გაეღვიძება)* რა ხდება!.. რა იყო, ქეთათო, მოხდა რამე?

**მამა.** *(გაეღვიძება, მაგრამ ბოდავს)* ექვსი ბოთლი ჩააბარა ცხონებულმა მამაჩემმა... გადი ძაღლო იქით!..

**ქეთათო.** *(ახოხდება საწოლზე, ზედ ხტის)* ადექით, თქვე დამპლებო, ლუსები შემოვიდნენ და გვიპყლობენ... ჯალი შემოვიდა... კონსტიტუცია თავზე დაახიეს ბატონ ჯონი ხეცულიანს, რომელმაც თავის დლოზე ხსენებული კონსტიტუცია დაამტკიცა...

**მამა.** *(საბოლოოდ გამოფხიზლდება)* რას ამბობს ეს ბავშვი?

**დედა.** რუსები შემოსულან, დევი...

**მამა.** *(საწოლზე შედგება, ნიფხვის მეტი არაფერი აცვია, კაკო ყაჩაღისებრ შეჰყვირებს)* ააიიიტ!

**დედა.** დევი, ჩამოდი ძირს, მოიფიქრე რამე...

**მამა.** გავიქცეთ, სწრაფად... ჩაალაგეთ ბარგი... რუსები არ მაპატიებენ 90-იანი წლების ბოლოს "ცისკარში" პატრიოტულ ლექსებს რომ ვბეჭდავდი... ამათ ყველაფერი ახსოვთ! ეგ მკითხველი ხალხია... წიგნიერი...

**ქეთათო.** *(უეცრად სიცილს დაიწყებს)* ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, მაინც ლა სასაცილოები ხალთ! ეს ლა მშიშლები ყოფილხალთ... დამშვიდდით, ალანაილი ლუსები ალ შემოსულან – ვიხუმლე... თქვენი ლეაქცია მაინტელესებდა...

**დედა.** გადაირიე, დედიკო?

**მამა.** ერთიც იქნება და დავახრჩობ ამ ბავშვს!

**ქეთათო.** ჰა-ჰა-ჰა! ლამდენი ვიცინე, შეიძლება ითქვას, ლომ ადლენალინი გამოვუშვი... ჰა-ჰა-ჰა!

*(მედიდურად გადის - გაოგნებული დედ-მამა საწოლს უბრუნდება)*

## სცენა II

*იგივე ღამე. საძინებელი ოთახი. დედ-მამას ძინავს. განვლო მხოლოდ ორმა საათმა... უეცრად ოთახში ქეთათო შემოვარდება.*

**ქეთათო.** *(კივილით)* ვაიმე! დავიღუპეთ! სახელმწიფოებლიობა საფლთხის წინაშე დგას, დედიკო, მამიკო! გაიღვიძეთ, თქვე კლეტინებო! პლეზიდენტი გაიქცა... ასევე პეტლე მამლაძეც!

**დედა.** *(გაეღვიძება)* რა ხდება, ქეთათო?

**მამა.** *(იღვიძებს, მაგრამ წვალებით, ბოდავს)* ექვსი შვილი ჰყავდა ცხონებულ მამაჩემს... გადი ძაღლო იქით!

**ქეთათო.** გაიღვიძეთ! ქალაქში ამელიკელები შემოვიდნენ და გვიპყლობენ! დავიღუპეთ!

**მამა.** *(გაიღვიძებს, მაგრამ ყურადღებას არ მიაქცევს ქეთათოს)* მანანა, ნუ უსმენ, აფრენს ეს ბავშვი... დაიძინე, გენაცვალე...

**დედა.** ქეთათო, დედიკო, მოგვასვენე, რა...

**ქეთათო.** *(სიბრაზისაგან გამწვანდება)* აჰ, ასე ალა! ლუსები შემოდიან-მეთქი, ლო გითხალით, კი წამოვალდით გადალეულებივით და ამელიკაზე, ლო გეუბნებით - მშვიდადა ხალთ, დამპლებო თქვენა! ამ დლოს, ეს ელთი და იგივეა! ელთი და იგივე! აჰ, თქვე დასავლული ოლიენტაციის ღოლებო... ალაპატლიოტებო! მოვა დლო და დედას გიტილებთ ოლივეს... *(გავარდება ოთახიდან)*

**მამა.** მანანა, შენ, შემთხვევით, ეს ბავშვი კაგებეს სკოლაში ხომ არ მიგიყვანია?

დედა. გეკადრება, დევი!

**მამა.** აბა, მაშინ რა ეშმაკი შეუჩნდა!

ფარდა

სკანვორდი



## TV პროგრამა 11 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ფიფქია
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ჯაშუშთა შვილები". მთ. როლებში: ანტონიო ბანდერასი, კარლა გუჟინო

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ქიმერიონი
15.15 მხ.ფ. "ექვსი"
17.05 "ერთი რაკურსით მსხვილ ხედზე"
17.25 საყმაწვილო ფესტივალი - "ოქროს მართვე"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 დროშა
18.35 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ისტორიანი
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.50 "თბილისის დროით"
22.15 თეთრი ფარდა
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "ბრიტანიკი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "უცხოპლანეტელები"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "გაიტაცე 60 წუთში"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 "იდენ ტვ"
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 ოაზისი
00.15 მხ.ფ. "აჩრდილი სახლიდან გორაზე"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
08.15, 20.15 აღსავალი
08.20, 09.55, 11.55, 20.20, 21.55, 23.55 მუსიკა
08.25 მხ.ფ. "ლამაზი არსებები"
10.10 მხ.ფ. "თავისუფლების სიმაღლეები"
20.25 მხ.ფ. "მუზა"
22.05 მხ.ფ. "მაიერლინგი"

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "ოცეულები" განმეორებით
12.30 "მო" განმეორებით
14.30 მხ.ფილმი
16.10 მუსიკა
17.35 "სწ.მედია" მხ.ფ. "აცტეკების მზე"
19.00 მუსიკა
20.00 ჩაძიროგანა
22.00 ევრო-ქართული ათეული
23.00 "სოლო"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ლუ:ინის დაცვა". მთ. როლში ჯონ ტურტურო
01.45 "ღამურა" მხ.ფ. "გაქცეული". მთ. როლებში ჰარისონ ფორდი, ტომი ლი ჯონსი
03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ "ჯერი მაგუაიერი"
14.00 მხ.ფ "შერკინება"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ფლიუკი"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ. ფილმი "თამაში"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-2 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-2 სერია
10.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა"
10.30 მხ. ფილმი "ნიჭიერი მისტერ რიპლი"
12.45 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
13.35, 19.00 დისქავერი
14.45 მთავარი თემა
15.30 მხ. ფილმი "სიყვარულის ფორმულა" რეჟ. მარკ ზახაროვი
17.00, 18.45, 20.20, 00.20 მუსიკა
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-3 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-3 სერია
19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 მთავარი თემა

22.15 მხ. ფილმი "ამერიკის ფავორიტები" მთ. როლებში ჯულია რობერტსი, ბილ კრისტალი
00.40 მხ.ფილმი "შავი მთვარე" მთ.როლებში ტერეს ქიუსი, კატრინ ჰარბორი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტფილმი "ბიჭუნა ჯუნგლებიდან"
10.45 კომედია "მატჩი"
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "უკანასკნელი ჯვაროსნები"
13.15 დოკუმენტური ფილმი
14.15 მელოდრამა "კრამერი, კამერის წინააღმდეგ"
16.15 მულტფილმი "გვიმრების ხეობა"
17.25 კომედია "იდეალური ქმარი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 " Пресс-папье"
თ19.40 მსოფლიო კინოს კლასიკოსები "იანკი დუდლ დენდი"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 თრილერი "შავი ნაგაზი"
03.30 კომედია "ლხინში სიცოცხლის გატარება"
05.20 მუსიკა

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მოკლედ... სპორტი
10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
10.55 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის ბელზი"
11.20 მულტსერიალი
11.35 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.40 მუსიკალური ტაიმაუტი
12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.30 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 "სახლიდან გაუსვლელად"
13.35 სპორტი
13.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "პაემანი"
20.30 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.50 მუსიკალური ობიექტივი
21.10 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.20 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.50 მოკლედ... სპორტი
21.55 მუსიკალური ტაიმუტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "მოზღვავება" ა.შ.შ. 1985 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ალფრედ ჰიჩკოკი. როლებში: ჯეიმს სტიუარტი, კიმ ნოვაკი.
00.20 პრესის მიმოხილვა
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.10 მუსიკალური ბიორითმი - "სფაის ბელზი"
01.35 მხ.ფ. ჟანრებში: - "დანსტონის გამოჩენა" ა.შ.შ. 1996 წელი. კომედია. რეჟისორი - კენ კვაპისი. მთ. როლში: ჯეისონ ალექსანდრი.
03.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "семейные узы"
11.10 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ"
13.10 КОАПП
12.35 Дисней-клуб.
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
14.50, 17.40 "ЕРАЛАШ"
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "саломея"
20.15 х.ф. "СВЯТОША"
22.00 Время.
22.35 "Русская рулетка"
23.25 Человек и закон
00.00 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "БУРЯ СТОЛЕТИЯ". Фильм 1-й

### РТР

06.50, 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.40, 19.05 Дорожний патруль
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09. 10, 15.20 Вести-спорт
09.15 Открытая таможня
10.10 Док. сериал "Это - голивуд!"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "ЗЕЛЛИ И Я"
13.55 Док. сериал "Архивные тайны"
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
18.20 Док. Фильм "Союз бывших"
19.50 Сериал "комиссар рекс"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
22.55 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ПРОКЛЯТИЕ ЕГИПЕТСКОЙ ГРОБНИЦЫ"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ЗНАМИНИТОСТЬ"

### НТВ

07.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. ЛОВЛЯ НА ЖИВЦА"
11.25 Чистосердечная признание
11.55 Шоу Елены Степаненко.
13.20 "КРУЖЕВА"
15.05 "Принцип "Домино"
16.25 Вкусные истории
16.40, 19.40 Криминал
17.30 х.ф. "ОСОБЫЙ СЛУЧАЙ". "УБИТЬ, ЧТОБЫ ВЫЖИТЬ"
18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
20.35, 00.35 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
01.40 "О, счасливчик!"
02.15 "МЕРТВЫЕ СВИДЕТЕЛИ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"